# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ხუთშაბათი, 7 დეკემბერი. 2023 წ. №137-138 (9669-9670) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


## რეფორმა თუ დივერსია?!

# ანტისაგანმანათლებლო ლახვარი ილესება

## პედაგოგიკის დოქტორი აღშფოთებულია!




იხ. 3 გვ.


## ძალაუფლების შეკავების ხელოვნება

დიპლომატია და მისი განხორციელების მეთოდები 11



## შუამავლის შეძმას მისი მოსმენა სჯობს!





9

## „ვეფხის-ტყაოსნის" დიდი მკვლევარის („მჩხრეკავის") კვირეული

### დღის ციტატა



**ილჰამ ალიევი,**
აზერბაიჯანის პრეზიდენტი

ჩვენ სრულად გვესმის საქართველოს სურვილი, გაწევრიანდეს ევროკავშირში. მე ვუსურვებ ქართველ მეგობრებს წარმატებას და ვულოცავ საქართველოს სტატუსის მინიჭებას.

### თენგიზ საგარეჯოელი:




იხ. 6 გვ.


## ვტიროდი, როგორც უძღები შვილი...



8

## ხიმშიაშვილები – სამშობლოს წინაშე თავდადებულნი

### მეგზევეთა დღე

## თამაზ შილაკაძე

# გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა ქვეყნის 5 ღირსება და სახელია!

# ვაი, სირცხვილო!



პოლონეთში 19 წლის გოგონას გატაცების ბრალდებით საქართველოს სამი მოქალაქე დაკავეს. როგორც პოლიციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, გატაცებული ასევე წარმოშობით ქართველია.

მომხდარის შესახებ პოლიციას ახალგაზრდა ქალის დედამ შეატყობინა. ინციდენტი ქალაქ სკერნევიცეში მოხდა. გამტაცებლების მანქანა პოლიციამ ხუთ საათში აღმოაჩინა. ბოროტმოქმედებმა გატაცებული ქალი ქალაქ ვერუშუვში წაიყვანეს.

დაკავებული პირები 38, 37 და 33 წლის არიან. სასამართლომ მათ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში დაკავებულებს ხუთ წლამდე პატიმრობა ემუქრებათ.



# პირველად იყო სიტყვა...

## ნაცები გარბიან, მაგრამ სად?

**„ნაციონალურ მოძრაოგას“ პარტიის წევრეგი ყოველდღიურად ტოვეგენ. პარტიიდან გასვლის პროცესი გრძელდეგა.**

„ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარეს, ლევან ხაბეიშვილს ხობის საკრებულოს 11 წევრი გაემიჯნა – მათ პარტია ოფიციალურად დატოვეს.

**„მოსყიდვებით და ინტრიგებით შექმნეს ხელოვნური კრიზისი, რასაც მოჰყვა ანგარებული პერსონების, ფსევდო „მიშისტების“ ფსევდოჰუმანიზმზე დაფუძნებული კამპანია. ამან გამოიწვია ღირსეული და მრავალ ბრძოლა გამოვლილი ადამიანების გვერდზე გაწევა. შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის ძიების პროცესში ხელი შეეშალა ერთობის იდეას, რაც კონკრეტული ადამიანების კერძო ბიზნესინტერესებით იყო ნაკარნახევი. მაშინ როცა მიხეილ სააკაშვილი ერთობაზე საუბრობს, მისი საპირისპირო ახალი მენეჯმენტიდან „მგლით ბილეთები“ არის აფრიალებული“**, – აღნიშნა პარტიის ყოფილმა წევრმა, ია ჯიშკარიანმა.

## სად იპარებიან ასე ნაწილ-ნაწილ?

„სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრის, **პაატა მანჯგალაძისთვის** გაუგებარია, რას ემსახურება „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების ნაწილ-ნაწილ წასვლა პარტიიდან.

**„მართლა ვერ ვიგებ, ეს ნაწილ-ნაწილ წასვლები რას ემსახურება და ამას რა ამოცანა აქვს. ერთმანეთთან კონტაქტი არ აქვთ, ტელეფონი არ აქვთ, ვერ თანხმდებიან კონკრეტულ თარიღზე თუ რას ემსახურება ასე ნაწილ-ნაწილ წასვლა? ზოგი თურმე პარტიიდან მესამეჯერ მიდის. არ ვიცი, ეს ვიცი, რომ ირაკლი კობახიძემ გააკეთა განცხადება – ძალიან მომწონს, კარგიაო და რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება, უკეთესიაო. კობახიძის ნათქვამის მიხედვით არ იმოქმედონ, შეთანხმდნენ და წავიდნენ. მათ სხვა ლიდერი ჰყავთ და სხვა გეგმა აქვთ. წარმატებებს ვუსურვებ ამ ადამიანებს. თუ ამ საერთო ბრძოლაში არ იქნებიან, მაშინ თამაშგარეში ყოფნა მოუწევთ. მე ვიცნობ ამ ადამიანებს, ბევრ ადამიანთან ერთად წლების განმავლობაში აქციებზე ვყოფილვარ, სულერთი არ არის და არაფერი ხდება, ამას ვერ ვიტყვი. მაგრამ ის, რომ ქვეყანა დაინგრევა და „ნაციონალურ მოძრაობას“ პრობლემა შეექმნება, ეს ნამდვილად სიმართლე არ არის“**, – განაცხადა პაატა მანჯგალაძემ.

## სამაგალითო პარტნიორი კვლავ გვერდით დგომას გვპირდება

**საქართველოს თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილეს ჯოშუა ჰაკს შეხვდა.**

თავდაცვის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე საქართველოსა და აშშ-ს შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში სტრატეგიული თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. მხარეებმა გლობალური და რეგიონული უსაფრთხოების გამოწვევებზე ისაუბრეს. თავდაცვის მინისტრმა აშშ-ის მხარეს სამაგალითო პარტნიორობისთვის, პოლიტიკური და პრაქტიკული მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

ყურადღება გამახვილდა ნატოში ინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესსა და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში საქართველოს მნიშვნელოვან წვლილზე. საუბარი შეეხო თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით განხორციელებულ ნაბიჯებსა და განვითარების სამომავლო გეგმებს. აღინიშნა აშშ-ის მზარდი საგარეო სამხედრო დაფინანსებისა და ერთობლივი საერთაშორისო სწავლებების მნიშვნელობა. შეხვედრას აშშ-ის ელჩი რობინ დანიგანი და აშშ-ის სამხედრო ატაშე, პოლკოვნიკი ჯოზეფ ბილბო დაესწრნენ.



## ბრალდებები რეალობას აცდენილია!

**„ქრონიკა“ მეოთხე ქვეით ბრიგადას ესტუმრა. ჟურნალისტ გიორგი აგაზაძეს ადგილზე კვების ხარისხის შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია.**

კონტრაქტორის მიერ მოწოდებული პროდუქცია შესაბამისი ტემპერატურის დაცვით ინახება, შემოტანის თარიღი კი ჟურნალში დასტურდება. სამზარეულოში მოხვედრამდე პროდუქტი დასამუშავებელ სექციაში გადააქვთ. საწყობში ჯერ პროდუქტი ვიზუალურად მოწმდება, შემდეგ კი ამოწმებენ მომზადებულ კერძს, რისთვისაც სინჯებს იღებენ.

**„დღის განრიგის მიხედვით კვება არის სამჯერადი და ყოველდღიურად სხვადასხვა საკვებს ვიღებთ. ყველაფერი შესაბამისი გვაქვს, რაც ჯარისკაცს ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისთვის სჭირდება“**, – ამბობს კაპრალი ლევან ბოღიშვილი. ჯარში უხარისხო კვების შესახებ ბრალდებები, რეალობას აცდენილია – ასე პასუხობს თავდაცვის მინისტრი ერთ-ერთი მედიასაშუალების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას.

## ...კიდევ 23 იდენტიფიცირებული პირის ცხედარი გადმოასვენეს

**შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ერთობლივი თანამშრომლობით, ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო მექანიზმის ფარგლებში, ამჯერად უგზო-უკვლოდ დაკარგული 23 იდენტიფიცირებული პირის ოჯახებისთვის დაბრუნება მოხერხდა, მათგან 21 სამხედრო და ორი მშვიდობიანი მოქალაქეა.**

ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონიდან გადმოსვენებული, 1990-იანი წლების შეიარაღებული მოქმედებების დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა სამოქალაქო პანაშვიდი ორი დღის განმავლობაში სამების საკათედრო ტაძარში გაიმართება. დღეს 17 მებრძოლს დიღმის ძმათა სასაფლაოზე, დანარჩენებს კი, ოჯახების გადაწყვეტილებით, სხვადასხვა ლოკაციაზე, მათ შორის საგვარეულო სასაფლაოებზე სამხედრო პატივით დაკრძალავენ.

1990-იანი წლების შეიარაღებული მოქმედებებისა და 2008 წლის აგვისტოს ომში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების მექანიზმების ფარგლებში, პირველი იდენტიფიცირება და გადმოსვენება 2013 წელს განხორციელდა. ამ დრომდე, მექანიზმების ფარგლებში, ნაპოვნია 604 ადამიანის ნეშტი, მათგან იდენტიფიცირებულია 288.

## ბულგარეთის ელჩი: გვსურს, მეგობარი საქართველო ჩვენ გვერდით იყოს



ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოს (EUGBC) ორგანიზებით, შავი ზღვის პლატფორმის ყოველწლიური კონფერენცია იმართება.

**„დღეს ძალიან კარგი კონფერენცია გვქონდა. მეორედ ვესწრები შავი ზღვის პლატფორმის კონფერენციას. უნდა აღვნიშნო, რომ არის წინსვლა ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა შუა დერეფანი. კარგია, რომ ვსხედვართ და ვსაუბრობთ მეგობრებთან და დაინტერესებულ მხარეებთან, რაც ყოველთვის კარგია, რადგან ეს გვაახლოვებს არსებული პრობლემების გადაჭრასთან. განვიხილეთ გამოწვევები და შესაძლებლობები. ვხედავთ შესაძლებლობებს, ვიცით, რა გამოწვევები გვაქვს, მხოლოდ მათი გადაჭრა დაგვრჩა, თუმცა ეს მარტივი არ არის. ეს კარგი კონფერენციაა, ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭო, ჩვენ მხარს ვუჭერთ მას და გავაგრძელებთ მხარდაჭერას. პირველ რიგში, ბულგარეთი მუდმივად მხარს უჭერდა საქართველოს. ძალიან გვსურს, რომ ჩვენი მეგობარი საქართველო ჩვენ გვერდით იყოს. ეს მნიშვნელოვანია პირველი კითხვის კონტექსტში, შავი ზღვის კონფერენციასთან დაკავშირებით. დიდი სხვაობა იქნება, თუკი რეგიონში უფრო მეტად იქნება წარმოდგენილი ევროკავშირი. ჩვენ ძალიან ვუჭერთ მხარს, ამ მხარდაჭერის ისტორიაც გვაქვს. ეს იქნება კიდევ ერთი ინსტანცია, სადაც ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს. ვიმედოვნებ, რომ კარგი სიახლე იქნება საქართველოსთვის“**, – განაცხადა ბულგარეთის ელჩმა ვალკანვმა.

## რუმინეთის ელჩი: ჩვენ ერთსულოვანი გადაწყვეტილების იმედი გვაქვს...



**ევროპული საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა იყოს მიღებული ერთსულოვნად, ევროკავშირის 27 წევრი სახელმწიფოს მიერ**, – ამის შესახებ საქართველოში რუმინეთის ელჩმა, რაზვან როტუნდუმ განაცხადა.

მისივე თქმით, რუმინეთი მხარს უჭერს საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას.

**„როგორც იცით, 14-15 დეკემბერს შედგება ევროპული საბჭოს სხდომა, სადაც გადაწყვეტილებას მიიღებენ, მიენიჭება თუ არა საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, ასევე გადაწყვეტილება იქნება რამდენიმე სხვა ქვეყანასთან დაკავშირებითაც. ეს გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა იყოს მიღებული ერთსულოვნად, ევროკავშირის 27 წევრი სახელმწიფოს მიერ. ყველა ქვეყნის სახელით ვერ ვისაუბრებთ, მაგრამ რაც შეეხება რუმინეთს, რუმინეთის პარლამენტმა დაამტკიცა რეზოლუცია, რომლითაც ის მხარს უჭერს ევროკომისიის რეკომენდაციას, საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ“**, – განაცხადა რაზვან როტუნდუმ.

### დიალოგი რაც შეიძლება მალე უნდა დაიწყოს!

## გალის ოკუპირებულ რაიონში IPRO-ის ფარგლებში შეხვედრის გასამართად სივრცეს ამზადებენ

გალის ოკუპირებული რაიონის ე.წ. ადმინისტრაციის დე ფაქტო ხელმძღვანელი კონსტანტინე ფილია აცხადებს, რომ „ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის“ (IPRO) ფარგლებში შეხვედრის გასამართად სივრცეს ამზადებენ.

**„ჩვენ ვამზადებთ ზონას, რომელიც მდებარეობს ენგურის ხიდის შემდეგ, ჩვენს საკონტროლო პუნქტთან მისვლამდე. პირველი პუნქტი, სადაც მხოლოდ შემოწმება მიმდინარეობს, მთელი საბაჟო სტრუქტურების გადმოკვეთამდე. ზევით მზადდება ზონა, იქ იქნება საკონფერენციო დარბაზი და გაიმართება შეხვედრები. ისე გამოვა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაა, მაგრამ ისინი ჩვენთან სრულად არ შემოვლენ. იქ შევეცდებით, რომ ამ ფორმატში პრეტენზიები მოვაგვაროთ... დავიწყოთ ნორმალური დიალოგი“**, – განაცხადა, „რადიო თავისუფლების“ ცნობით, ფილიამ.

როგორც „რადიო თავისუფლება“ იტყობინება, დე ფაქტო ხელისუფლება აცხადებდა, რომ ქართული მხარე მოითხოვდა, მოლაპარაკების მონაწილეებს ენგურის ხიდი პირადობის მოწმობით გადაეკვეთათ, რასაც ე.წ. ხელისუფლებისგან წინააღმდეგობა მოჰყვა.

ამასთან, კონსტანტინე ფილიამ შემდეგი განაცხადა: **„ჩვენ მზად ვართ კეთილმეზობლობისთვის, მზად ვართ თანასწორი დიალოგისთვის“.**




რაც შეეხება ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებს, ფილიამ თქვა: **„დაე, ეს ჟენეველები აქ შემოვიდნენ, ჟენევა შორსაა და ყველას არ ესმის ყველაფერი. ... იქ, ჟენევაში, არაფერი გადაწყდება“.**

ფილიამ დაამატა, რომ „საქართველოში არიან ძალები, რომლებსაც ესმით, რომ საჭიროა, ამ ფურცლის გადაშლა. საქართველოს მთავრობა იძლევა სიგნალს იმის შესახებ, რომ მას არ სურს მეორე ფრონტის გახსნა, არ სურს იყოს რუსეთის წინააღმდეგი“, მაგრამ მანვე აღნიშნა „დასავლეთის მიერ ძალიან სერიოზულად დაფინანსებული“ ოპოზიციის შესახებ.

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში გალში შეხვედრა 2018 წლიდან არ გამართულა. ქართული მხარე ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან დიალოგს ჟენევის საერთაშორისო დისკუსიის ფარგლებში აწარმოებს.

საქართველოსა და რუსეთის გარდა, მოლაპარაკებებში მონაწილეობენ აშშ-ის წარმომადგენლები და თანათავმჯდომარეები ეუთოს, ევროკავშირის და გაეროს მხრიდან.

№137-138. ხუთშაბათი, 7 დეკემბერი, 2023 წელი.

## პედაგოგიკის დოქტორი აღშფოთებულია!

# ანტისაგანმანათლებლო ლახვარი ილესება



**განათლების მინისტრის პოსტზე გიორგი ამილახვარი რომ დანიშნეს, ღია წერილით მივესალმე მას, როგორც რაინდული გვარის მატარებელს და გულწრფელად გამოვთქვი იმედი იმისა, რომ იგი აღადგენდა მოსწავლეთა აღზრდის სისტემას, რომლის გაუქმებამ, ფაქტობრივად, გნეობრივი კატასტროფის წინაშე დააყენა ჩვენი მომავალი თაობა. იმედი კი მქონდა, მაგრამ საქმეში ხარ? მინისტრს ამილახვარს, თურმე, ლახვარი ჰქონია უბეში განათლების სისტემისათვის გულში ჩასაცემად. განათლების სისტემის დალახვრა საქართველოს დალახვრაა, რადგან ქვეყნის მომავალი იმაზეა დამოკიდებული, როგორი თაობა იზრდება დღეს, ეს უძველესი და უკვდავი დებულებაა, რომლის ჭეშმარიტებაში ეჭვი არავის შეჰპარვია დღემდე!**

**დღეს?**

მას შემდეგ რაც განათლების მინისტრად „ცნობილი“ სანტექნიკოსი ლომაია დანიშნეს, მან და მისმა მომდევნო მინისტრებმა ფეხებზე დაიკიდეს განათლების მეცნიერება და დაიწყო ამ მეცნიერების უმოწყალო ჩაგვრა საქართველოში. არაერთგზის მივმართეთ (მე და ჩემმა მეგობრებმა!) განათლების სამინისტროს უმაღლეს ჩინოსნებს, მაგრამ პასუხი არავინ გვაღირსა. მე, პირადად, პედაგოგიკის ჩაგვრის თაობაზე სტატიები გამოვაქვეყნე ავტორიტეტულ გაზეთსა და განათლების მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში, მაგრამ არავინ გამომხმაურებია. გვიან მივხვდი, ორი მიზეზი ჰქონდა განათლების მესვეურთა დუმილს: ერთი ის იყო, რომ სანტექნიკოსებს, ციხის ზედამხედველებს, ყოფილ პოლიციელებს, ბუღალტრებსა და ამგვარი კვალიფიკაციის სხვა მინისტრებს მეცნიერული პოზიციებიდან პასუხისგაცემა, ცხადია, არ შეეძლოთ; მეორე მიზეზი კი ის იყო (და არის!), რომ მათი უცხოელი პარტნიორები უკრძალავდნენ მათ განათლების სისტემის ავ-კარგზე ქართველ სპეციალისტებთან დავა-კამათში მონაწილეობას. ამიტომ იყო, რომ დღემდე ვერავის შევასმინეთ, რომ აღზრდის მწყობრი სისტემის გარეშე, განათლების სისტემა აზოზოქრებულ ოკეანეში უკომპასო ხომალდს ჰგავს, რომელმაც არ იცის საით მიექანება და არც ის იცის, რომელი კლდის რიფებს მიემსხვრევა თავის მგზავრებთან ერთად!

ეს იყო, კი, მაგრამ ის ე.წ. „რეფორმა“, რომელიც საქართველოს განათლების სამინისტრომ დაპანონსა, საქართველოში განათლების სისტემის მიწასთან გასწორების მზაკვრული გეგმაა. ამ გეგმის ავტორებს იმის იმედი აქვთ და არც თუ უსაფუძვლოდ, რომ სკოლის მასწავლებელთა დიდმა ნაწილმა ზერელედაც კი არ იცის ის მეცნიერული საფუძვლები, რასაც სწავლება-სწავლის პრაქტიკა ეფუძნება.

პედაგოგთა კადრების საამისოდ მომზადება კარგა ხნის წინ დაიწყო. ჯერ იყო და სკოლიდან დაითხოვეს გამოცდილი და სამეცნიერო ტრადიციებზე აღზრდილი კადრები (სხვათა შორის, ორი წლის ხელფასს აძლევდნენ!); მერე კი, ის მოსაზრება დაამკვიდრეს, რომ პედაგოგიური განათლება საჭირო არ არის, მთავარია იცოდე საგანი, ხოლო სწავლების ორგანიზაციასა და მეთოდიკას ორკვირიან ტრენინგებზე დაეფლებითო. კი, აბა!

განათლების მეცნიერების უგულებელყოფით, ვიღაცის ხუშტურებისა, თუ „გონივრული“ მოსაზრებების მიხედვით განათლების სისტემის მართვამ რა შედეგებამდეც შეიძლება მიგვიყვანოს, ამის კლასიკური მაგალითია ხუთი წლის ბავშვების სკოლაში მიღების უაპელაციო გადაწყვეტილება, რომელიც საგანმანათლებლო საქმის სრულიად უვიცმა პრეზიდენტმა მიაღებინა თავის ციხის ზედამხედველ განათლების მინისტრს.

არც იმ პრეზიდენტმა და არც მისმა განათლების მინისტრმა არ იცოდნენ, რომ არსებობს ცნება „სწავლისათვის მზაობა“, ამის ცოდნა პრეზიდენტს შეიძლება არ მოეთხოვებოდეს, მაგრამ განათლების მინისტრმა ეს თუ არ იცის, მაშინ რა ბაზასილი უნდა იქ, სადაც სწავლების პროცესები იგეგმება და იმართება!

განათლების მეცნიერება ზოგს (სამწუხაროდ, განათლების დარგის მაღალჩინოსნებსაც!) რაღაც მოარული ტრადიციული შეხედულებები ჰგონია, რომელსაც გინდა გაითვალისწინებ და გინდა არა! განათლების მეცნიერება ინტეგრირებული დარგია, რომელიც მოიცავს ფილოსოფიას, ფსიქოლოგიას, ბიოსოციოლოგიასა და მედიცინას; მისი საერთო სახელია პედაგოგიკა, რომელიც ორი განმსაზღვრელი ელემენტისაგან შედგება – აღზრდა და სწავლება. კლასიკურ პერიოდში ორივე ამ ნაწილს დიდაქტიკა ერქმევა.

ცოდნა სჭირდება ყოველივე ამას, ბატონებო, ცოდნა! მე არ ვიცი, როგორი სანტექნიკოსი იყო ის განათლების მინისტრი, ან როგორი პროფესიონალები იყვნენ ის ნაპროკურორალი, ნაპოლიციელი, ნაბუღალტრალი, ციხის ყოფილი ზედამხედველი, მაგრა ის კი კარგად დაინახა ყველამ, რომ მათ წარმოდგენაც არ ჰქონდათ საგანმანათლებლო საქმის ავკარგზე.

> **მე „ჩვენი“ განათლების მინისტრისა და მისი მრჩეველი-კონსულტანტების გონებრივ შესაძლებლობაზე კარგა ხანია მაღალი წარმოდგენა აღარ მაქვს, მაგრამ პიტალო დეგენერატები არ არიან ისინი, თუმცა მათ მწირ გონებაში შეუძლებელია ერის გადაშენების ასეთი მზაკვრული გეგმა მომწიფებულიყო. ისინი ჩვენი დაუძინებელი ევროპელი და ამერიკელების დაქირავებული აგენტები არიან, რაც დიდად ამძიმებს მათ დანაშაულს სამშობლოს (მათი კი არა, ჩვენი სამშობლოს!) წინაშე.**

**ახლანდელ მინისტრსა და მის „გუნდს“ რა განუზრახავთ, იცით? განათლების სისტემის დეცენტრალიზაცია!**

რას ნიშნავს ეს, ამის დაწვრილებით ახსნას არ შევუდგები, რადგან მასობრივი მკითხველისთვის დეტალები შეიძლება გასაგები არ იყოს, რადგან ამას განათლების მეცნიერების ცოდნა სჭირდება, ისევე, როგორც ნეიროქირურგიას, კვანტურ მექანიკას, სიმრავლეთა თეორიას, ბიოენერგეტიკას და ა. შ., რაც ყველას როდი მოეთხოვება. ის, რაც ყველამ უნდა იცოდეს და შეუძლია გაიგოს ის არის, რომ არ შეიძლება ნორმალურმა სახელმწიფომ, რომელსაც ეროვნული ხელისუფლება და ეროვნული საშინაო და საგარეო პოლიტიკა აქვს, დაუშვას სამი რამის დეცენტრალიზაცია! ეს არის ჯარი, ანუ შეიარაღებული ძალები, რკინიგზის ტრანსპორტი და განათლების სისტემა! პირველი ორის დეცენტრალიზაცია სახელმწიფოებრიობის მოშლას, ხოლო მესამის დეცენტრალიზაცია ერის, როგორც ხალხის ისტორიული ერთობის მოშლას.

ამას მხოლოდ სრულიად დეგენერატი ვერ მიხვდება! ადამიანს, რომელსაც ინტელექტის იოტისოდენა ნასახი მაინც აქვს, იცის, რომ სკოლა ინარჩუნებს და გადასცემს თაობას იმ კულტურულ, ეთნოფსიქიკურ, ტრადიციულ თავისებურებებსა და ისტორიული განვითარების ტენდენციებს, რაც ამა თუ იმ ერებისათვის არის დამახასიათებელი. სკოლას აკისრია უმთავრესი ეროვნული მისია: მშობლიური ენისა და წინაპართა მიერ დაცული და დღემდე მოტანილი მამულისადმი სიყვარული და თავდადება, ანუ პატრიოტთა აღზრდა.

აი, ამის წინააღმდეგ არის მიმართული საქართველოს განათლების სამინისტროს (უფრო კი ჩვენი დაუძინებელი მეგობრების!) ის დივერსია, რაც „შეფუთულია“ ტერმინით „რეფორმა“!

მე „ჩვენი“ განათლების მინისტრისა და მისი მრჩეველი-კონსულტანტების გონებრივ შესაძლებლობაზე კარგა ხანია მაღალი წარმოდგენა აღარ მაქვს, მაგრამ პიტალო დეგენერატები არ არიან ისინი, თუმცა მათ მწირ გონებაში შეუძლებელია ერის გადაშენების ასეთი მზაკვრული გეგმა მომწიფებულიყო. ისინი ჩვენი დაუძინებელი ევროპელი და ამერიკელების დაქირავებული აგენტები არიან, რაც დიდად ამძიმებს მათ დანაშაულს სამშობლოს (მათი კი არა, ჩვენი სამშობლოს!) წინაშე.

საქართველოში თუ მთლად არ ჩამქრალა საღი მეცნიერული აზრი და ის ცოდნა, რასაც ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები აძლევენ სტუდენტებს, თუ კიდევ რამე ძალა და ენერგია შესწევთ ქართველ, საყოველთაოდ ცნობილი დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სპეციალისტებს, თუ ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიას „პროფილი“, არ შეუცვლია და, საერთოდ, ქართველი ინტელიგენცია ცოცხალი თუა, ერთობლივად შევუძახოთ ქართველებს გამოფხიზლდნენ და წინ აღუდგნენ ამ ანტიეროვნულ, დამაქცევარ „რეფორმას“, რომელიც უკანასკნელი რეფორმა იქნება ქართული განათლების ისტორიაში.

ეს „ამილახვრისეული“ ლახვარი თუ განხორციელდა, ვეღარც ის რაღაც სტატუსი გიშველით ქართველნო, რომლის აღსანიშნავი ზეიმისათვის გამზადებს ხელისუფლება და ვეღარც ის „საშინაო დავალებები“, რომლის გულმოდგინედ შესრულებისთვის „იღვწის“ ე.წ. პარლამენტი და ე.წ. საქართველოს მთავრობა. ახლა ქართველი ხალხის წინაშე დგას ერთადერთი და ჭეშმარიტი ლოზუნგი: „სამშობლო საფრთხეშია!“

მე ახლა სხვა გზა არ მაქვს, რობერტ ბერნსივით ვედრებით უნდა მივმართო უფალს: „ჰოი, უფალო, გვედრებ კივილით, გადაუხადე საქართველოს მტრებს სამაგიერო კბილის ტკივილით!“



**ზურაბ ცუცქირიძე,**
**პედაგოგიკის დოქტორი**
555-56-75-37

# როდესაც თვით მინისტრი გაჯილდოვებს!

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი ამილახვარმა ეროვნული კონკურსის „Worldskills საქართველო 2023“ გამარჯვებულები დააჯილდოვა. მინისტრმა ახალგაზრდებს კონკურსში გამარჯვება მიულოცა, წარმატებები უსურვა და შესაბამისი სერტიფიკატები გადასცა.



**გიორგი ამილახვარი: „მოგეხსენებათ, ჩვენი ხელისუფლებისთვის პროფესიული განათლება არის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი. შესაბამისად, წლიდან წლამდე პროფესიული განათლება უფრო ფართოვდება, ხდება უფრო ხელმისაწვდომი და, რაც მთავარია, უფრო მოთხოვნადი და პრესტიჟული.**

**ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ეს ღონისძიება, სადაც ტარდება საერთაშორისო დონის კონკურსი პროფესიული უნარების კუთხით და წელს, მრავალწლიანი პაუზის შემდგომ, პირველად ჩატარდა საქართველოში სამი მიმართულებით: ვებტექნოლოგიები, კულინარია და კონდიტერია.**

**კონკურსის ფარგლებში, ჩვენს არაჩვეულებრივ ექსპერტებთან და ჟიურის წევრებთან ერთად, გამოვავლინეთ და დავაჯილდოვეთ გამარჯვებულები – თითო ადამიანი თითოეული მიმართულებით, რომლებიც შემდგომ წელს უკვე საფრანგეთში, ქალაქ ლიონში გაემგზავრებიან ვორლდსქილსის კონკურსის ფინალურ ეტაპზე. მოხარული ვარ, რომ დღეს საქართველოში გაცილებით უფრო ხელმისაწვდომი და გაცილებით უფრო მოთხოვნადი ხდება პროფესიული განათლება, ვიდრე უმაღლესი განათლება. რა თქმა უნდა, ჩვენი სამინისტრო ამას კიდევ უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობს და მეტ ინვესტიციას ჩადებს პროფესიული განათლების განვითარებაში, რადგან მიგვაჩნია, რომ ეს არის ხერხემალი ეკონომიკის განვითარების და ყველაზე მოკლე გზა დასაქმებისკენ.“**

# საახალწლოდ სუპერპროექტები სრულდება, ახლები – იწყება!



**გუშინ თბილისის მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ რუსთაველის გამზირზე ქვეყნის მთავარი ნაძვის ხე და მასთან ერთად დედაქალაქში ყველა ილუმინაცია 15 დეკემბერს, 20:00 საათზე აინთება.**

კახა კალაძემ დედაქალაქის მოსახლეობას ქვეყნის მთავარი ნაძვის ხის ანთების ღონისძიებაზე დასწრებისკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ სტუმრებს საინტერესო და მრავალფეროვანი სანახაობა დახვდებათ.

**„მინდა, მივმართო დედაქალაქის მოსახლეობას და ზოგადად ყველას, ვისაც სურვილი აქვს, მობრძანდით. საღამოს 8 საათზე გაიმართება ნაძვის ხის და საახალწლო ილუმინაციების ანთების ცერემონია. ყველას გეპატიჟებით. საკმაოდ საინტერესო საღამო იქნება. სპეციალურად ამ დღისთვის თეატრალიზებული მუსიკალური წარმოდგენა მოეწყობა, რომელიც შობის ამბავს და ნაძვის ხის დადგმის ტრადიციის შესახებ მოგვითხრობს. ჯადოსნური შოუს დასასრულს, მსმენელის წინაშე ბენდთან ერთად, წარდგება Stefane Signorovi. ვფიქრობ, საკმაოდ საინტერესო სანახაობა გველის. ამიტომ, 15 დეკემბერს გელით ყველას, დიდსა თუ პატარას. ერთად ჩავიფიქროთ და ავანთოთ ქვეყნის მთავარი ნაძვის ხე“,** – განაცხადა თბილისის მერმა.

მისივე თქმით, ქვეყნის მთავარი ნაძვის ხის ანთების შემდეგ, 16 დეკემბრიდან, ორბელიანის მოედნის მიმდებარედ და დედაენის ბაღში "საახალწლო სოფელი" გაიხსნება. „საახალწლო სოფელი" 7 იანვარს, შობის დღესასწაულზე, მუსიკალური საღამოთი დაიხურება.

მთავრობის სხდომაზე თბილისის მერმა დედაქალაქში მიმდინარე საგზაო სამუშაოებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ წერეთლის გამზირის რეაბილიტაციის პროექტი მომავალი წლის იანვარში დასრულდება. უნივერსიტეტის ქუჩის დასრულების შემდეგ ბაგების დასახლებისა და უნივერსიტეტის ქუჩის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის მშენებლობაც მომავალი წლის იანვარში დასრულდება.

**„ბაგებისა და უნივერსიტეტის ქუჩის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის სამშენებლო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს და იანვარში დასრულდება. გარდა ამისა, ვგეგმავთ ახალი პროექტის განხორციელებას. ამაზე ინფორმაციას საზოგადოებას მოგვიანებით მივაწვდით. ეს არის ბაგებიდან უნივერსიტეტის ქუჩაზე გადმოსასვლელი ხიდის პირდაპირი გაგრძელება, რომელიც ერთმანეთთან ქავთარაძის ქუჩასა და ვაჟა-ფშაველას გამზირს დააკავშირებს“,** – განაცხადა დედაქალაქის მერმა.

კახა კალაძე მთავრობის სხდომაზე გამოეხმაურა "სტრატეგია აღმაშენებლის" დეპუტატის, გიორგი ვაშაძის მიერ გაკეთებულ განცხადებას, თითქოს, თბილისის მერია სატრანსპორტო პოლიტიკასთან დაკავშირებით კომპანია „სისტრას" რეკომენდაციებს არ ითვალისწინებს.

თბილისის მერის შეფასებით, გიორგი ვაშაძემ დედაქალაქის სატრანსპორტო პოლიტიკის შესახებ არაფერი იცის. შესაბამისად, მისი მხრიდან მსგავსი განცხადებების გაკეთება არასწორია.

**„აღნიშნული თემით პოპულისტური განცხადებების გაკეთება და საზოგადოების სიცრუეში შეყვანა პოზიტივს არავის მოუტანს. მას წარმოდგენა არ აქვს სატრანსპორტო პოლიტიკა რა არის, რა უნდა გაკეთდეს ამ მიმართულების მოსაწესრიგებლად. მგონია, რომ პოლიტიკოსმა ეს დეტალები არც უნდა იცოდეს. არსებობენ პროფესიონალი ადამიანები, რომელთაც განუხორციელებიათ მსგავსი რეფორმები, პროექტები და მივყვებით მათ. ჩვენ ახალს ვერ გამოვიგონებთ“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერის განცხადებით, თბილისის მერიასა და შპს „ბიზნეს ცენტრ მოზაიკას" შორის ილიას ბაღთან დაკავშირებით შეთანხმება შედგა და ტერიტორიის იერსახის აღდგენა „ბიზნეს ცენტრის" მიერ მიმდინარე წლის დეკემბერში დაიწყება და მომავალ ზაფხულს დასრულდება. მერის თქმით, დაპირებისამებრ, რეკრეაციული სივრცის მოწყობა მიმდინარეობს დიდ დიღომშიც, თავდადებულის ქუჩაზე.

**„ორი ჰექტარი ტერიტორია, რომელიც გაუსაძლის მდგომარეობაში იყო, უკვე იწმინდება სამშენებლო ნარჩენებისგან, ხორციელდება მწვანე ნარგავების გამოხშირვის, ტერიტორიის გაწმენდისა და მოვლა–პატრონობის სამუშაოები. ასევე, იხსნება უკანონო შემოღობვები, რომელიც ძალიან ბევრია. ამ ტერიტორიაზე შეიქმნება თანამედროვე რეკრეაციული სივრცე, სადაც საფეხმავლო ბილიკები, გარე განათების სისტემები, საბავშვო და სპორტული მოედნები მოეწყობა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩატარდება გამწვანების ღონისძიებები, დაირგვება ხე-მცენარეები. სამუშაოები 2024 წელს დასრულდება“,** – აღნიშნა თბილისის მერმა.

ამასთან, კალაძის თქმით, დიდ დიღომში, დემეტრე თავდადებულის ქუჩის №18ა-ს მიმდებარედ, სადაც მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობა მიმდინარეობს, დარჩენილი იყო გამწვანებული ტერიტორია, რომელიც განახლებას საჭიროებს.

კიდევ ერთი პროექტი, რომელზეც დედაქალაქის მერმა გაამახვილა ყურადღება, ფურცელაძის ქუჩაზე მდებარე ავარიული სახლების რეაბილიტაციაა. აღინიშნა, რომ პროექტ „ახალი ტფილისის" ფარგლებში, ფურცელაძის №30, №32-სა და 334-ში მდებარე ავარიული შენობები თბილისის განვითარების ფონდმა ახლით ჩაანაცვლა და შიდასარემონტო სამუშაოებიც დაასრულა.

თბილისის მერის თქმით, შენობების ავარიულობიდან გამომდინარე, თავდაპირველად, მათი დემონტაჟი განხორციელდა.

**„აღნიშნული პროექტი 2020 წელს დაიწყო და სამუშაოები უკვე დასრულდა. განხორციელებული პროექტის შედეგად, რვა ოჯახს გაუუმჯობესდება საცხოვრებელი პირობები. მათ წლის ბოლომდე ჩაბარდებათ გარემონტებული ფართები. გარდა სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებისა, განხორციელდა ფასადის სამღებრო სამუშაოები და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა“,** – განაცხადა კახა კალაძემ. მსგავსი პროექტების განხორციელება მომავალშიც ეტაპობრივად გაგრძელდება.

---



## რეკლამა, რომელიც პენსიონერების საწინააღმდეგოდაა მიმართული

**„გავითვალისწინეთ პენსიონერები, სოციალური შემწეობის მიმღები ადამიანები, ისინი შედარებით მოწყვლადი კატეგორიაა. ძირითადი ჩივილები და საჩივრები, რაც შემოდის ჩვენთან და საბანკო სისტემაში, ეხება იმას, რომ ბევრია ადამიანი, რომელიც ზოგჯერ გადაწყვეტილებას იღებს გაუცნობიერებლად, შესაბამისი ინფორმაცია მისთვის ბოლომდე მიწოდებული არ არის.**

**ჩვენ ვაზღვევთ პენსიონრებს და სოციალური შემწეობის მიმღებებს ჭარბვალიანობისგან. ამიტომ ბანკებს მივეცით მითითება, აღარ გამოიყენონ რეკლამა ისეთი პროდუქტებისთვის, როგორიც არის პენსიით უზრუნველყოფილი ან სოციალური შემწეობით უზრუნველყოფილი სესხი. მხოლოდ და მხოლოდ შესაძლებელი იქნება თავად სესხის ამღების თანხობით და ნებართვით. ეს არის შესაძლებლობა, რომ მოწყვლადი მომხმარებელი, მათ შორის პენსიონერი, მეტად დავიცვათ გაუცნობიერებელი გადაწყვეტილების მიღებისგან, მივცეთ საშუალება, მეტი ინფორმაცია მოითხოვოს ბანკისგან, ვიდრე აიღებს პენსიით უზრუნველყოფილ სესხს და ჭარბვალიანობისგან დავიცვათ. ეს ეთიკურად აბსოლუტურად გამართლებული გადაწყვეტილებაა“,** – აღნიშნა ნათია თურნავამ.

საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, პენსიით უზრუნველყოფილი სესხების რეკლამირება პენსიონერთა ინდივიდუალური თანხმობის გარეშე იკრძალება ამასთან, აღნიშნული ცვლილება გავრცელდება იმ პენსიონრებზე, რომელთა შემოსავალიც მხოლოდ პენსიით ან/და სხვა სახელმწიფო სოციალური გასაცემლით განისაზღვრება. სებ-ის ახალი გადაწყვეტილებით, კომერციული ბანკები ვერ შეძლებენ პენსიით უზრუნველყოფილი სესხების რეკლამირებას, რომლის შინაარსიც საპენსიო ან სხვა ტიპის სოციალური გასაცემლის საფუძველზე მომხმარებელს სესხს შესთავაზებს.

## ეროვნული ბანკი ოპტიმისტურადაა განწყობილი...

**სავალუტო ფონდთან ერთად ვმუშაობთ პროგრამის რაც შეიძლება სწრაფად აქტივირების მიმართულებით. პროგრამა შეწყვეტილი არ არის, მაგრამ, მაისიდან მოყოლებული, პროგრამის ერთ-ერთი ეტაპი არის შეჩერებული,** – ამის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა, ნათია თურნავამ განაცხადა.

თურნავას თქმით, საკითხთან მიმართებით საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან დადებითი დამოკიდებულებაა.

**„დადებით დამოკიდებულებას ვხედავთ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან. ერთ-ერთი საკითხი, რაზეც ვთანამშრომლობთ, არის ეროვნული ბანკის შემდგომი ინსტიტუციური გაძლიერება, კერძოდ, საბჭოს საზედამხედველო ფუნქციის გაძლიერება, რაც ჩვენი დამოუკიდებლობის გაძლიერებისკენ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევა. ამისთვის კანონმდებლობის შეცვლა თუ გახდა საჭირო, შესაბამისი კონსულტაციების შემდეგ პარლამენტს მივმართავთ“,** – განაცხადა ნათია თურნავამ.

## ნებისმიერი შესყიდვა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით მოხდება

**აზიის განვითარების ბანკმა მუნიციპალური განვითარების ფონდთან მიმართებაში უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო,** – ამის შესახებ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი.

მათივე ცნობით, აზიის განვითარების ბანკმა (ADB) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდს მიანიჭა უფლება, ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტებისათვის ნებისმიერი სახის შესყიდვა განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობისა და პროცედურების მიხედვით.

აღნიშნული უფლების დამადასტურებელი სერტიფიკატი აზიის განვითარების ბანკის პრეზიდენტმა, მასაცუგუ ასაკავამ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს, ირაკლი ქარსელაძეს და მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელ დირექტორს, დავით ტაბიძეს პირადად გადასცა.

აზიის განვითარების ბანკის ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტის დირექტორის, იუჯინ ჟუკოვის თქმით, ბანკის პარტნიორ ქვეყნებს შორის საქართველო არის პირველი ქვეყანა და მუნიციპალური განვითარების ფონდი – პირველი უწყება, რომელიც ისარგებლებს ბანკისგან მიღებული ამ განსაკუთრებული უფლებით. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მრავალწლიანი თანამშრომლობა აზიის განვითარების ბანკთან მოიცავს როგორც საგზაო, წყალმომარაგების, საგანმანათლებლო და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტებს. ბანკის მიერ გადაცემული უფლება ქმნის ინფრასტრუქტურული პროექტების უფრო დიდი მასშტაბითა და უფრო სწრაფად განხორციელების წინაპირობას.



# გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა ქვეყნის ღირსება და სახელია!



**უპირველესად მეგზევეებს უნდა მივულოცო პროფესიული დღე. ეს საერთო სახალხო ზეიმია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ყოველ წელს 10 დეკემბერს აღინიშნება.**

ეს დღე ძალიან მნიშვნელოვანია საგზაო დარგში მომუშავე პროფესიონალებისთვის, რადგან მეგზევეები ის ადამიანები არიან, რომლებიც დღე და ღამე, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში თავდაუზოგავად შრომობენ და სწორედ ამ გმირული შრომის შედეგია ის თანამედროვე და მაღალი სტანდარტების საგზაო ინფრასტრუქტურა, რომელსაც ჩვენ ყველანი ერთობლივად ვაშენებთ.

საქართველოს გზებს საერთაშორისო და ისტორიული მნიშვნელობა აქვს, უტყუარი ისტორიული წყაროების მიხედვით, ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში, სახმელეთო, საზღვაო და სამდინარო სავაჭრო გზების სისტემა კავკასიაზე გადმოდიოდა. ტრანსკონტინენტური სავაჭრო-საქარავნო გზა, რომელიც „აბრეშუმის გზის“ სახელითაა ცნობილი, ისტორიულად ჩინეთში – სანძიანში იწყებოდა და ქალაქ დუნხუანიდან ორ განშტოებად მიემართებოდა დასავლეთისკენ. ორივე გზა შუა აზიაში, ქალაქ ყაშგარში იყრიდა თავს. აქედან კი გზის ერთი – სამხრეთი განშტოება, ჩრდილოეთის შუამდინარეთის ქვეყნების, მათ შორის, ბაბილონის გავლით ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქ ანტიოქიაში ჩადიოდა. გზის მეორე – ჩრდილოეთის განშტოება კი კასპიის ზღვის, კავკასიის ალბანეთისა (თანამედროვე აზერბაიჯანის) და საქართველოს (იმდროინდელი იბერიისა და კოლხეთის) გავლით ქალაქ ფაზისში (ფოთში), შემდეგ კი შავი ზღვით ევროპაში გადადიოდა. აბრეშუმის გზის მარშრუტში ჩართულობა ქვეყანაში გზებისა და ხელოვნური ნაგებობების განვითარებას მოითხოვდა. ჩვენს ქვეყანას გზებისა და ხელოვნური ნაგებობების მშენებლობის დიდი ისტორია რომ გააჩნია ამის დასტური დღემდე შემორჩენილი უძველესი თაღოვანი ხიდებია, რომლებიც ათეულობით საუკუნის შემდეგაც ამაყად დგანან და ფუნქციონირებენ.

საქართველოში საგზაო დარგის ინსტიტუციური განვითარების ქრონოლოგია ასეთია: საქართველოში საგზაო ქსელის განვითარებაზე ზრუნავდნენ ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე და სხვა ქართველი მეფეები. თუმცა, საგზაო დარგის ინსტიტუციური განვითარების ოფიციალური სტატისტიკა მე-19 საუკუნიდან მოიპოვება.

1870-1917 წლებში, ავტოსაპაჭანო გზებს მეთვალყურეობას კავკასიის საგზაო ოლქი უწევდა.

1923 წლიდან გზების მოვლა-შენახვას, მშენებლობასა და ავტოტრანსპორტის საქმის წარმართვას სრ გზატკეცილების, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველო – „საქგზატრანსი“ აწარმოებდა. 1933 წლიდან ამავე ფუნქციებს ახორციელებდა სსრ ცენტრალურ კომიტეტთან ჩამოყალიბებული „უგზოობასთან ბრძოლის“ რესპუბლიკური შტაბი.

1936-1938 წლებში ფუნქციონირებდა ორი საგზაო ორგანო „უშოსდორი“ (საკავშირო გზებისთვის) და „გლავდორუპრი“ (რესპუბლიკური და ადგილობრივი გზებისათვის).

1953 წელს დაარსდა საბჭოთა კავშირის საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო.

1956 წელს შეიქმნა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველო.

1968 წელს გზატკეცილების მთავარი სამმართველოს ბაზაზე შეიქმნა საქართველოს საავტომობილო გზების სამინისტრო, ხოლო 1989 წელს ტრანსპორტისა და საავტომობილო გზების სამინისტროების გაერთიანებით, შეიქმნა საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტრო.

დღეს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და ხელოვნური ნაგებობების მშენებლობას, მოვლა–შენახვასა და ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, რომელიც სტრუქტურულად, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქვეუწყებო ორგანიზაციას წარმოადგენს.

**საქართველოს მეგზევეთა საზოგადოების მიზანია საავტომობილო გზების დარგში გზების, ხიდების, გვირაბების და სხვა ხელოვნური ნაგებობების მშენებლობისა და მოვლა-შენახვის ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის გატარებისათვის ხელშეწყობა, საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავება, ახალი სტრატეგიული მიმართულებების და დარგისთვის საჭირო ნორმატიული დოკუმენტაციის შედგენა-შემუშავებაში ეკონომიკური, ეკოლოგიური და ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით აქტიური მონაწილეობის მიღება, დარგში თანამედროვე ტექნოლოგიების პოპულარიზაცია და სხვა.**

**კიდევ ერთხელ მინდა მოგილოცოთ მეგზევეთა დღე და გისურვოთ წარმატებები პირად და პროფესიულ ცხოვრებაში!**



**თამაზ შილაკაძე,**

**საქართველოს მეგზევეთა საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ტრანსპორტის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი და მისი საპატიო პრეზიდენტი**

# ავტოსადგურების სერტიფიცირება იწყება

## მგზავრთა გადაყვანისთვის სპეციალური ნებართვა გაიცემა

**პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ კანონში ცვლილება. შედეგად, ავტოსადგურებს სერტიფიცირება მოუწევთ, მგზავრების გადასაყვანად კი შესაბამისი ნებართვა გახდება საჭირო. ცვლილებების მიღების ძირითადი მიზეზია საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის სფეროში და სამგზავრო ავტოსადგურებში არსებული მდგომარეობა.**

პარლამენტის მიერ კანონში დამტკიცებული ცვლილებების თანახმად, „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ კანონს ავტოსადგურთან დაკავშირებული სპეციალური მუხლები დაემატება, რომლებიც ავტოსადგურის კლასებსა და მათ სერტიფიცირებას განსაზღვრავენ.

კანონში შეტანილი ცვლილებებით, ორი უნივერსალური სახის ნებართვის შემოღება ხდება – ეს არის საავტომობილო სამგზავრო გადაყვანის ნებართვა და საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვის ნებართვა, რომლის აღების შემთხვევაში, გადამზიდველს საშუალება მიეცემა განახორციელოს როგორც საერთაშორისო რეგულარული (არარეგულარული) და ქვეყნის შიდა რეგულარული გადაყვანა, ისე საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვა.

დიდუბის ავტოსადგურის ხელმძღვანელი **ნესტორ მიქატაძე** „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ არსებულ კანონში განხორციელებულ ცვლილებებს დადებითად გამოეხმაურა. მისი აზრით, საქალაქთაშორისო მგზავრების გადაყვანა კი უნდა ექვემდებარებოდეს სანებართვო საქმიანობას.

**„ჩვენ მივესალმებით სერტიფიცირებას, მოსახვევებსა და კუთხეებში შემთხვევით გახსნილი ავტოსადგურები აღარ უნდა იყოს. ავტოსადგურების ფუნქციონირების შესახებ წესი არსებობს და მას განმარტავს ტექნიკური რეგლამენტი, მთავრობის მიერ დამტკიცებული ავტოსადგურების მოწყობის და ფუნქციონირების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ეს წესი დღესაც მოქმედებაშია, არავინ არ იცავს მას და ყველა კუთხიდან მიმდინარეობს საქალაქთაშორისო მგზავრთგადაყვანა.**

**აქედან გამომდინარე, ეს გადაწყვეტილება ჩემთვის სრულიად მისაღებია. ამიერიდან, საქალაქთაშორისო მგზავრთა გადაყვანის უფლება ექნებათ მხოლოდ ავტოსადგურებს. საკანონმდებლო შენიშვნები და წინადადებები ჩვენ ყველგან შევიტანეთ, სადაც საჭირო იყო. დღეს რაც მიღებულია, რომ საქალაქთაშორისო მგზავრთგადაყვანა დაექვემდებაროს სანებართვო საქმიანობას და მისი განხორციელების უფლება ჰქონდეთ ავტოსადგურებს, ეს ჩვენი მოთხოვნებისა და შენიშვნების დამსახურებაა“,** – განაცხადა ნესტორ მიქატაძემ „ბიზნესპრესნიუსთან“.

ამის გარდა, საქართველოს პარლამენტი მთავრობას ავალებს, რომ მოაწესრიგოს და შექმნას ტექნიკური სამსახურები ამ კანონის განსახორციელებლად. ეს იმას ნიშნავს, რომ მისაღები იქნება ტექნიკური რეგლამენტი მგზავრის გადაყვანის შესახებ, რაშიც ავტოსადგურის წარმომადგენლები მონაწილეობის მისაღებად მზად არიან. ნებართვები კონკურსის გარეშე გაიცემა და მათი გაცემის წესს საქართველოს მთავრობა სპეციალური დადგენილებით განსაზღვრავს.

გარდა ამისა, ცვლილებების მიღების შემდეგ საქართველოს კანონმდებლობაში „ავტოსადგურის“ ცნება გაჩნდება – „ავტოსადგური არის მგზავრთა გადაყვანის მიზნით ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად მოწყობილი ადგილი, საიდანაც, დადგენილი წესით, შესაძლებელი იქნება საქალაქთაშორისო და საერთაშორისო რეგულარული ანჰდა არარეგულარული სამგზავრო გადაზიდვების განხორციელება ნებართვების ფლობის შემთხვევაში“.

ამასთან, თითოეულ ავტოსადგურს ექნება ტექნიკური რეგლამენტისა და კლასის შესაბამისობის დამადასტურებელი სპეციალური სერტიფიკატი. ქართულ კანონმდებლობაში ბრუნდება „ავტობუსის“ ცნებაც – „8-ზე მეტი დასაჯდომი ადგილის (მძღოლის ადგილის გარდა) მქონე მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალება (ნებადართული საერთო მასით 5 ტონამდე)“.



გარდა ამისა, სამგზავრო გადაზიდვების განხორციელებას შეძლებენ 8 დასაჯდომი ადგილის მქონე სატრანსპორტო საშუალებები, მინივენები – 5 და 8-ზე მეტი დასაჯდომი ადგილის მქონე სატრანსპორტო საშუალებები (5 ტონაზე მეტი მასით).

მუნიციპალიტეტების საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანა დადგენილი მარშრუტების მიხედვით განხორციელდება. **ცვლილების თანახმად, ახალი წესები 2024 წლის 1 მარტიდან ამოქმედდება.**

**ბექა დანელია**

# აბა, კიდევ ვის რცხვენია ქართველობის?!

**ეს ისტორია 41 წლის წინ გადახდა თავს ერთ, თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებულ კაცს, რომელიც სოციალურ ქსელში თენგიზ საგარეჯოელის სახელითაა ცნობილი. მსგავსი სიამაყის განცდა ბევრჯერ უგრძვნიათ უცხოეთში მყოფ ქართველებს, მაგრამ „ჯვარზე ათასჯერ გაკრული და არც ერთხელ ჩამოხსნილი“ ამ ქვეყნის უძღებ შვილებს კიდევ ერთხელ გვინდა შევახსენოთ, ვისი გორისანი არიან და შემდეგ საკუთარ თავს გასცენ პასუხი – რატომ რცხვენიათ ქართველობის? (რედ.)**



## თენგიზ საგარეჯოელი:

# ვტიროდი, რადგან შემრცხვა ჩემი პატარა, ჯვარზე ათასჯერ გაკრული და არც ერთხელ ჩამოხსნილი სამშობლოს წინაშე, ვტიროდი, როგორც უძღები შვილი და ამ ცრემლებით ვითხოვდი მისგან პატიებას!

**მინდა მოგითხროთ რეალური ამბავი ჩემი ცხოვრებიდან, რომელმაც წარუშლელი და ყველაზე ამაღელვებელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ამ ფაქტს, დღემდე სიამაყით ვიხსენებ და ყოველ ჯერზე გული სიხარულით მევსება.**

**„კვალი მარადიული“**

1982 წლის ნოემბერში, ბერლინიდან ერთი კვირით ლონდონში ვესტუმრე ჩემს მეგობარს და კოლეგას ჯონ ვილსონს, რომელიც აეროპორტში დამხვდა საკუთარი მანქანით, ბრიტანელებისთვის დამახასიათებელი კონსერვატიზმით და თავშეკავებით მომიკითხა და მაშინვე მასთან სახლში მიმიწვია. სანამ ჯონის სახლამდე მივიდოდით, რომელიც ლონდონის ძველ, „კენსინგტონ ენდ ჩელსის“ უბანში მდებარეობდა, გულდასმით ვათვალიერებდი ძველ არქიტექტურას. გზად შევიარეთ კენსინგტონის ბაღში, სადაც ადგილობრივი ლუდი დავაგემოვნეთ.

ჯონის სახლი სწორედ ისეთი აღმოჩნდა, როგორსაც ველოდი: ფეხი შევდგი თუ არა, გამიჩნდა შეგრძნება, რომ მე-18 საუკუნის ინგლისელს ვსტუმრობდი. სახლის ყველა დეტალი მკაცრად კონსერვატორული, თუმცა თანამედროვე დეტალებით შეუმჩნევლად გაფორმებული იყო. გამიკვირდა ის სისუფთავე და წესრიგი, რომელიც იქ დამხვდა, რადგან ჯონს ოჯახი არ ჰყავდა და მარტოხელა მამაკაცები იშვიათად გამოირჩევიან მოწესრიგებულობით.

იმ ღამეს რომელიღაც საფეხბურთო მატჩს ვუყურეთ. უფრო სწორად, ჯონი უყურებდა, მე კი მისი ხათრით ვადევნებდი თვალს. მეორე დღეს დილიდანვე გავედით ქალაქში. ჯონი აშკარად ცდილობდა, ჩემზე ეფექტი მოეხდინა და მისი ინიციატივით, ვიქტორიანული ეპოქის საკონცერტო დარბაზ „ალბერტ ჰოლში“ გავიარეთ, რომლის ვიზუალმა და არქიტექტურულმა სინატიფემ ლამის დეპრესიაში ჩამაგდო. დიდხანს ვიტრიალე და ვათვალიერე შენობის დეტალები. მიუხედავად იმისა, რომ წლებია, ბერლინში ვცხოვრობდი და აღტაცებული ვიყავი გერმანელი ხალხის პედანტობით, გერმანული ქალაქების არქიტექტურითა და ცხოვრების სტილით, ბავშვობიდანვე ყველაზე მეტად მიზიდავდა და მაინტერესებდა დიდი ბრიტანეთი და მისი ისტორია.

ვიქტორიას და ალბერტის მუზეუმის დათვალიერებამ უფრო გაამძაფრა ჩემი ემოციები. მიუხედავად უჟმური ამინდისა, ქალაქის ქუჩები, მოვლილი სკვერები, გაზონები, ცხენებით მოძრავი პოლისმენები უცნაურად სასიამოვნო განწყობას ქმნიდნენ. გამახსენდა ჩემი ლექტორის, ცნობილი ქართველი მეცნიერის სიტყვები: „ესაა ერი, რომელიც ჭეშმარიტად იმსახურებს მსოფლიოზე ბატონობას“. საოცარ ჭეშმარიტებად მომეჩვენა ეს სიტყვები: ქვეყანა, რომელმაც მსოფლიოს აჩუქა ნიუტონი, ბაირონი, შექსპირი, ლივერპულელი ოთხეული, შერლოკ ჰოლმსი, უინსტონ ჩერჩილი და ფეხბურთი...

„ხომ შეიძლებოდა, ასეთ ქვეყანაში დავბადებულიყავი და არა პატარა აზიურ ქვეყანაში, სადაც მუდამ პრობლემებია და თავისუფლებაც კი სანატრელი აქვს“, – უნებურად წამომცდასავით ეს ფიქრი. უგუნებობა შემომაწვა, როდესაც ქართული ბაზილიკა ანგლიკანურ, უმდიდრეს ეკლესიებს შევადარე და იმედგაცრუებულმა აღმოვაჩინე – მათთან შედარებით, თუ რამდენად ღარიბულად, მოკრძალებული არქიტექტურის მქონედ და მცირედ მოჩანდა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები.

– თენგო, შენს ქვეყანაში რომ ჩამოვალ, რას ვნახავ საინტერესოს? – ისე მოულოდნელად მკითხა ჯონმა, შევცბი, და გავიფიქრე, სახეზე ხომ არ დამეტყო იმედგაცრუება და შური. წამით ისევ ჩავფიქრდი, ასეთი ლამაზი, ასეთი ბრწყინვალე, რა უნდა ვანახო? ვერაფერი გავიხსენე.

– ამაზე რომ ჩამოხვალ, მერე ვიფიქროთ, – სიტყვა ავუგდე ბანზე. ჯონმა ვერ შეამჩნია ჩემი ხასიათის ცვლილება და გააგრძელა ქვეყნის ღირსშესანიშნაობებზე საუბარი.

...კინაღამ დამავიწყდა, მეგობარი კოლეგისგან მოწვევა მივიღე, ხვალ ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო სიმპოზიუმია „ალბერტ ჰოლში“. მსოფლიოს 150 ქვეყნიდან არიან მოწვეული სტუმრები. როგორც მან ამიხსნა, ახალგაზრდები წარმოადგენენ თავის ნამუშევრებს, რომელიც შეეხება სხვადასხვა ქვეყნების ხელოვნების და კულტურის განვითარების ისტორიის მიმოხილვას. ეს ხომ ჩვენი საქმეა? – ჯონიმ ხელები გაშალა და პასუხის მოლოდინში თვალებმოჭუტული მომაჩერდა. დიდად არ მოვიხიბლე აღნიშნული შემოთავაზებით, რადგან, ისედაც ხანმოკლე შვებულების სიმპოზიუმებზე გატარება სისულელედ მომეჩვენა, მაგრამ მეგობარს უარი არ ვუთხარი.

მეორე დღეს „ალბერტ ჰოლის“ შესასვლელში დაგვხვდა ჯონის მეგობარი ქეითი, მაღალი, კაფანდარა, ცისფერთვალება და მხიარული გამომეტყველების ახალგაზრდა ქალი. ჯონიმ გაგვაცნო ერთმანეთს, თუმცა როდესაც ქეითს ჩემი ეროვნება უთხრა, სასიამოვნოდ გამიკვირდა, რომ ყველა სხვასავით, მანაც არ გაიოცა საქართველოს არსებობა. დარბაზში შესულმა აღმოვაჩინე, რომ სიმპოზიუმზე უამრავი ადამიანი იმყოფებოდა. მაყურებელთა წრიულად განლაგებული სკამების წინა ნაწილი თითქმის შევსებული იყო, სცენა მოწყობილი იყო პრეზენტატორების გამოსასვლელად, რომლის თავზე უზარმაზარი მონიტორი იყო განთავსებული. სცენის გვერდით, გრძელ მაგიდასთან, საკონკურსო კომისიის ათკაციანი ჯგუფი ისხდა, მათ შორის ქეითიც.

სიმპოზიუმი ინგლისის ნაციონალური ჰიმნით გაიხსნა. ყველა ფეხზე ავდექით. საოცარი აკუსტიკა ჰქონდა დარბაზს, ყველა ბგერა სრული ჟღერადობით მოდიოდა ყურამდე. მე და ჯონი, ქეითის დახმარებით საკონკურსო კომისიის მარჯვენა მხარეს, პირველივე რიგში ვისხედით, ისე, რომ პირდაპირ ვხედავდით სცენას და კომისიასაც.

მცირე შესავლის შემდეგ, გამოაცხადეს პრეზენტატორების სახელი და გვარები. როგორც მახსოვს, უმეტესი მათგანი ამერიკელები და ცენტრალური ევროპის ქვეყნებიდან იყვნენ. ხასიათი უფრო გამიფუჭდა, რადგან საბჭოთა კავშირის 15 ქვეყნიდან მხოლოდ ორი წარმომადგენელი იყო, ისიც ბელორუსი და ტაჯიკი. კავკასიიდან - არც ერთი.

პირველი პრეზენტატორი იტალიელი აღმოჩნდა, რომლის ნაშრომი შეეხებოდა ძველი რომიდან თანამედროვე იტალიამდე ეპოქას. მას მოჰყვა ესპანეთის, შემდეგ ავსტრიის, ნიდერლანდების, პოლონეთის, შვედეთის, ჩეხეთის, უნგრეთის, ბელგიის, საფრანგეთის, ამერიკის, თურქეთის და სხვა ქვეყნის პრეზენტატორთა გამოსვლები. უზარმაზარ საკონცერტო დარბაზში უცნაურად შემოქმედებითი აურა შეიქმნა. მსგავს მოწიწებას და პატივისცემას ამხელა აუდიტორიაში, აქამდე არასდროს შევსწრებივარ. გამოსვლების დასრულების შემდეგ, დარბაზი ხანმოკლე ტაშით გამოხატავდა მოწონებას. შეგრძნება მქონდა, რომ საკონცერტო დარბაზის ჰაერი გაიჟღინთა საფრანგეთის რევოლუციის, ინგლისური კონსერვატიზმის, ესპანური კორიდისა თუ რომაული ამფითეატრების სუნით.

წარმოდგენილი ნაშრომები აბსოლუტურად განსხვავებული იყო: ზოგი ზეპირად წარმოადგენდა მიმოხილვას, ზოგი დიდ ეკრანზე ხსნიდა ნამუშევრის დეტალებს, ზოგი ისტორიულ ფოტოებს იშველიებდა. ამ ყველაფერს ისეთი ენთუზიაზმით, ინტერესითა და აღტაცებით აკეთებდნენ, რომ აშკარა იყო, ყველა ამაყობდა საკუთარი ნაშრომით. კომისიის წევრები ყველა პრეზენტატორს გულისყურით უსმენდნენ და შენიშვნებს ფურცლებზე ინიშნავდნენ. ვიგრძენი, წინა დღის უარყოფითი ემოცია დარბაზში ყოფნისას და პრეზენტაციების მოსმენისას, უფრო მიმძაფრდებოდა. თითქოს თავი ზედმეტად და უსუსურად ვიგრძენი. რომ არა მეგობრისადმი პატივისცემა, მზად ვიყავი, დამეტოვებინა იქაურობა.

ერთსაათიან შესვენებაზე „ალბერტ ჰოლი“-ს კაფეში გავედით, სადაც შემოგვიერთდა ქეითი. რატომღაც, იმ მომენტში გულწრფელად ვუთხარი ჯონის ის, რასაც ვფიქრობდი და განვიცდიდი ეს ორი დღე. ჯონის ხმამაღლა გაეცინა, ქეითიმ კი არაფერი თქვა, მხოლოდ გაიღიმა, ან მომეჩვენა, რადგან მას ისედაც სულ მომღიმარი სახე ჰქონდა. ამან უფრო გამაღიზიანა და ვთქვი:

– ჰო, შენ გეცინება! ძალიან ადვილი და მხიარულია ცხოვრება მისთვის, ვინც დიდ და მდიდარ ქვეყანაში იბადება და დაბადებიდანვე ბედნიერებისთვისაა „განწირული“. ყველაფერს ბედი უნდა ამ სამყაროში. ამდენი ქვეყნის წარმომადგენელია აქ თავმოყრილი და შევამჩნიე, უკვე ექვსმა მათგანმა ისაუბრა ინგლისის ისტორიაზე, თითქოს მათ მშობლიურ ან სხვა ქვეყნებზე არაფერია სასაუბრო. ვის აინტერესებს პატარა ქვეყნები? თუ გინდა, მცირე ექსპერიმენტი ჩავატაროთ: ჩემი ქვეყნის სახელი რომ ჰკითხო ამ „ისტორიკოსებს“, დარწმუნებული ვარ, ყველას ამერიკის ჯორჯიის შტატი ეგონება. სამწუხაროდ, ესაა პატარა ქვეყნის ხვედრი დიდ და ულმობელ სამყაროში!

იმ დღეს, საღამოს 18:00 საათზე შეწყდა ნაშრომების პრეზენტაცია და მეორე დღეს, დილის 10 საათიდან განახლდა. კვლავ გაგრძელდა ორატორების გამოსვლები, რომლებიც მთელი აღტყინებით ცდილობდნენ, მსმენელისთვის საინტერესოდ წარმოედგინათ ნაშრომი, რაც უმეტესად, გამოსდიოდათ კიდეც. აუდიტორიას რომ გადავავლე თვალი, შევამჩნიე, რომ წინა დღისგან განსხვავებით, ახალგაზრდების რაოდენობა საგრძნობლად გაზრდილიყო. დაახლოებით საღამოს 17 საათზე, ბოლო პრეზენტაცია წარმოადგინეს, რის შემდეგაც, მოულოდნელად ტრიბუნასთან მივიდა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, 50 წლამდე ასაკის მამაკაცი, გვარად ჰარისონი, მიკროფონი აიღო და განაცხადა:

– მეგობრებო, სიმპოზიუმი მინდა დავასრულო ჩემი პრეზენტაციით, რომელიც ეხება ჩემთვის აქამდე უცნობ ქვეყნის ისტორიას.

არ მესიამოვნა, რადგან უკვე დარბაზიდან გასასვლელად ვემზადებოდი. თუმცა, ვინაიდან კომისიის მოპირდაპირედ ვისხედით, ეს უტაქტობად ჩამეთვლებოდა და იძულებული გავხდი, დავრჩენილიყავი ადგილზე.

– ეს იმდენად პატარა ქვეყანაა, რომ ამ რუკაზე არც კი ჩანს. დარბაზში სიცილი ატყდა. ჰარისონმა ხელი უზარმაზარი მონიტორისკენ გაიშვირა, სადაც მსოფლიოს რუკა გამოისახა. – ამ ქვეყნის მოსახლეობა ჩვენი ერთი ქალაქის მოსახლეობაზე სამჯერ ნაკლებია, წარმოგიდგენიათ? თუმცა, მისი ასაკი, მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებზე ათჯერ მეტია. გულწრფელად გეტყვით, ამ ქვეყნის და მისი ისტორიის აღმოჩენა ჩემთვის მსოფლიოს მერვე საოცრებაა!

ჰარისონის ასეთმა შესავალმა „ალბერტ ჰოლის“ აუდიტორია უცებ გამოაფხიზლა. დარბაზი გაისუსა და ინტერესით მიაჩერდა მომხსენებელს, თან მონიტორიზე გამოსახულ რუკას მისჩერებოდნენ. ჰარისონი აზარტში შევიდა, სცენაზე ვერ ჩერდებოდა, თვალებიდან ნაპერწკლებს ჰყრიდა და ისეთი აღტაცებით და მგზნებარებით საუბრობდა, მიუხედავად მოწყენილობისა, მეც კი დავინტერესდი.

– მაშინ, როდესაც ჩვენი საამაყო ინგლისი სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, ამ ქვეყანაში უკვე შექმნილი იყო ხელოვნების და კულტურის ბრწყინვალე შედევრები! როდესაც ჩვენთან საფუძველი ჩაეყარა პარლამენტს, ამ ქვეყანაში უკვე არსებობდა მისი წინამორბედი, მეფის სათათბირო ორგანო. როცა ამერიკა შეიქმნა, სწორედ იმ დროს, ამ ქვეყანაში დაიბეჭდა მსოფლიო პოეზიის საგანძური, სიყვარულის და მეგობრობის ბალადა! სწორედ აქ, პირველად მთელ მსოფლიოში, ხმამაღლა ითქვა, რომ ქალი და მამაკაცი თანასწორნი არიან! ხვდებით, რა დონის ცივილიზაცია, საზოგადოების განვითარების რა დონე იყო ამ ხალხში?

ამ ქვეყანამ გაუძლო რომაელთა ლეგიონებს, ალექსანდრე მაკედონელს, ჩინგიზ ყაენის და თემურ ლენგის დამანგრეველ შემოსევებს და თითქმის მომაკვდავი, დანგრეული, ათასგზის გადამწვარი და დარბეული, სასწაული ძალით, ფენიქსისებურად ფერფლიდან აღდგებოდა! ისევ ახერხებდა არათუ გადარჩენას, არამედ უფრო შესანიშნავი კულტურის და გამაოგნებელი ისტორიის წერას!

სრულიად გამოვფხიზლდი. თითქოს რაღაც ძალიან ნაცნობზე და ჯერ არდავიწყებულზე, ძალიან მშობლიურზე საუბრობდა მომხსენებელი. გარინდებული ვისმენდი თითოეულ სიტყვას და ფიქრმა გამიელვა: – ნუთუ? მაგრამ, საიდან, როგორ?- მყისვე უკუვაგდე სულელური ვარაუდი.

ჰარისონი კი ისევ აგრძელებდა საგალობელივით: – ამ ქვეყანაში სიმღერით იბადებიან, სიმღერით შრომობენ, სიმღერით საუბრობენ და სიმღერით კვდებიან! მათთვის მუსიკა სულის საკვებია, რომლითაც საუკუნეებია, უზარმაზარ ურჩხულებს შორის მოქცეუ-

ლეზი, აცოცხლებენ საკუთარ სახელს, საკუთარ ტრადიციებს და იდენტობას! ისინი უმღერიან სიცოცხლეს, უმღერიან მზეს, დიახ, მათ აქვთ მზის სადიდებელი სიმღერა, როგორც მადლიერების გამოხატვა სიცოცხლის მინიჭებისთვის!

ამ ქვეყნის შესწავლისას აღმოვაჩინე, რომ ეს ერი საკუთარ მიწას ღვთისმშობლის წილხვედრს უწოდებს! გეცინებათ? სრულიად ტყუილად! როგორ შეიძლება ამაში ეჭვი შეიტანო? სხვა რა ძალას შეეძლო გადაერჩინა ეს ერთი მუჭა ერი, რომელიც უძველესი ქალაქებით, კულტურის უძველესი ძეგლებით და საკუთარი, უნიკალური დამწერლობით იწონებს თავს?

ამ ქვეყანამ სამყაროს აჩუქა შოთა რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა, ვახტანგ ჭაბუკიანი, დავით აღმაშენებელი? ალბათ, ბევრს არ გსმენიათ ჩამოთვლილი პიროვნებები, ხომ? ეს ჩვენი სირცხვილია, მაგრამ ზუსტად ვიცი, აბსოლუტურად ყველა ქვეყანაში, სამყაროს ყველა კუთხეში იცნობენ უდიდეს სამხედრო და პოლიტიკურ მოღვაწეს, მსოფლიოს ყველა დროის უძლიერეს მხედართმთავარს, „ფოლადის კაცად" წოდებულ იოსებ სტალინს! დიახ, სტალინის ნამდვილი გვარია ჯუღაშვილი და ის ქართველი იყო!

პარისონის ბოლო წინადადებაზე დარბაზს გაოცებულმა შეძახილმა გადაუარა - აშკარად მოულოდნელი იყო მოსმენილი ინფორმაცია.

– მე სხვა პრეზენტატორებივით არ წარმოვადგენ დოკუმენტებს ნიშნად ამ ერის უნიკალურობისა. მე მინდა, მხოლოდ მათი კულტურული შემოქმედების რამდენიმე ნიმუში წარმოგიდგინოთ, რომელიც სრულყოფილად დაგვანახებს ამ ქვეყნის სახეს!

უცებ საკონცერტო დარბაზი ქართული „დაისის" ჰანგებით გაივსო. უზარმაზარ მონიტორზე ავაზასავით შემოვარდნენ ქართული ნაციონალური ანსამბლის „სუხიშვილების" სოლისტები. „დაისს" „მთიულური" მოჰყვა და... ცეცხლი დაინთო! ცეცხლი კი არა, ეს იყო ხანძარი, „ალბერტ ჰოლის" სტუმრების წინაშე წარმოდგენილი იყო „ჭეშმარიტად ქართული გენია, როკვით განფენილი".

ალბათ, ადვილად წარმოსადგენია, ამ დროს მე რა დამემართა! ეს იყო ის მომენტი, როდესაც სიტყვები სრულიად უძლური, უფერულია ემოციების და გრძნობების გადმოსაცემად. სრულყოფილად ვერც დარბაზში მსხდომთა ემოციებს აღვწერ, რადგან თავად მთვრალივით არეულს, აღქმა წამიერად დამიქვეითდა. ეს იყო სრული ფურორი! მთელი დარბაზი ფეხზე იდგა, სინქრონულად გაიძახოდა „ბრავო"-ს და უწყვეტად უკრავდა ტაშს. არ მახსოვს, რამდენი წუთი გრძელდებოდა ეს ყველაფერი. ვხედავდი, რომ ჩემს თვალწინ გაქრა მათი თავშეკავებულობა. იცინოდნენ, ყვიროდნენ როგორც სტადიონზე და ერთმანეთს ხელით რაღაცას ანიშნებდნენ მონიტორისკენ. მცირე პაუზის შემდეგ, „სულიკოს" მელოდიამ გამომაფხიზლა და სხეულში დენივით გამიარა. ვიცოდი, რომ ეს სიმღერა ბევრ ენაზე იყო ნამღერი, მაგრამ მთელი დარბაზი ასეთი სიზუსტით და ასე ერთხმად ამღერებული, აქამდე მხოლოდ „ქუინის" კონცერტზე მყავდა ნანახი.

სიმღერის დასრულების შემდეგ, პარისონმა, რომელიც სახეგაბადრული და ბედნიერი იდგა სცენაზე, ხელის აწევით სთხოვა აუდიტორიას დამშვიდება, შემდეგ კი ხმამაღლა განაცხადა: როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, ჩვენთან იმყოფება ამ ქვეყნის ერთადერთი წარმომადგენელი, რომლის სტუმრობის შესახებ არავინ ვიცოდით. მივესალმოთ მას და ერთხმად ვუთხრათ მადლობა იმისთვის, რომ არსებობენ! – პარისონი შემობრუნდა და ორივე ხელი ჩემკენ გამოიშვირა. არ მახსოვს, როდის წამოვდექი, რას ვამბობდი, რას ვაკეთებდი, რას ვლუღლუღებდი არეული... ვიდექი ფეხზე, თავზე დამნათოდა საკონცერტო დარბაზის პროჟექტორი და ვგრძნობდი დამსწრეთა ჩემკენ მომართულ მზერას.

მხოლოდ იმ წამს მივხვდი, თუ რა ბედნიერება მხვდა წილად, რომ ქართველად დავიბადე. მივხვდი, რომ სწორედ იმით ვიყავი ამაყი და გოროზი, შექსპირის – ინგლისელებზე, ჰიუგოს და ნაპოლეონის – ფრანგებზე, ველასკესის და სერვანტესის – ესპანელებზე, მიქელანჯელოს და იულიუს კეისრის იტალიელებზე აღმატებული და უფრო დიდი, რომ მე, ამ ერთი ციდა, მაგრამ უზარმაზარი გულის და სიამაყის მქონე ერის ნაწილი ვიყავი, რომელიც ვერ გააქრო სამყაროდან თავად უკვე გამქრალმა მაკედონელის იმპერიამ, დაშლილ-დანაწილებულმა რომის იმპერიამ, ათასგზის იავარქმნილმა ბიზანტიამ, მრავალჯერ სახელ და სახეცვლილმა ირანმა და ოსმალეთმა.

**მოძალებული ემოციების გამო, თავი ვერ შევიკავე, სახეზე ორივე ხელი ავიფარე და ტირილი დავიწყე...**

**ვტიროდი ყველას წინ უხმოდ, მაგრამ დიდი ცრემლებით...**

**ვტიროდი, რადგან შემრცხვა ჩემი პატარა, ჯვარზე ათასჯერ გაკრული და არც ერთხელ ჩამოხსნილი სამშობლოს წინაშე.**

**ვტიროდი, როგორც უძღები, უმადური შვილი პატარა საქართველოსი და აქ ცრემლებით ვითხოვდი მისგან პატიებას.**

04.11.2023 წელი

# ვინ არის ოლიგარქი?!

**არანაირი დეოლიგარქიზაცია „ქართული ოცნების" პირობებში არ იქნება, სანამ ანტიდასავლურ რიტორიკაზე უარს არ იტყვიან – ასეთია ქართული რადიკალური ოპოზიციის შეფასება, რომელთა განცხადებით ხელისუფლების ინტერესებში არ შედის დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონის მიღება, რადგან „ამ ქვეყნის მთავარი ოლიგარქი არის „ქართული ოცნების" არაფორმალური მმართველი ბიძინა ივანიშვილი".**

**„დეოლიგარქიზაცია შემოგდებული იყო ხაფანგად, ხაფანგის დამგები მიხვდა, რომ მასში გაებმებოდა არა ივანიშვილი, არამედ კეზერაშვილი და ხაზარაძე...**

ეს მაშინ, როდესაც ოლიგარქი, ტელეკომპანია „ფორმულას" მფლობელი **დავით კეზერაშვილის** შემდეგ, რომელმაც დაადასტურა, რომ აფინანსებს ტელევიზიებს, ანალოგიური განცხადება გააკეთა „ლელოს" ლიდერმა **მამუკა ხაზარაძემ,** რომლის განცხადებით, ორ ტელევიზიას - „არტარეასა" და „ტვ პირველს" აფინანსებს. თუმცა, მისი მტკიცებით, ტელეკომპანიების სარედაქციო პოლიტიკაში არ ერევა. აშკარაა, რომ ხაზარაძის ეს განცხადება ადასტურებს, რატომ არის ოპოზიცია დეოლიგარქიზაციის კანონის ასეთი კატეგორიული მოწინააღმდეგე.

„ქართული ოცნების" თავმჯდომარის **ირაკლი კობახიძის** განცხადებით, კეზერაშვილის შემდეგ გამოჩნდა მეორე თვითაღიარებული ოლიგარქი. მას, გარდა იმისა, რომ პოლიტიკაზე აქვს პირდაპირი გავლენა - საკუთარი პარტია აქვს შექმნილი და პირდაპირი გავლენები აქვს ტელევიზიებზე. როგორც კობახიძე აცხადებს, მამუკა ხაზარაძე უხდის თვეში 200 ათას ლარს ტელეკომპანია „ტვ პირველს" და 240 ათას ლარს - ტელეკომპანია „მთავარს", რის ხარჯზეც აქვს უზრუნველყოფილი გარკვეული დაფარვა ამ ტელეკომპანიებში, რაც ეს შეთანხმებული აქვს კეზერაშვილთან, „ნაცმოძრაობის" ლიდერებთან. მისი თქმით, ეს არის კოლექტიური „ნაცმოძრაობის" სქემა.

**„ხაზარაძემ საკუთარი ოლიგარქობა თავად აღიარა. ის ახორციელებს შესაბამისი ტელევიზიების დაფინანსებას, რათა მიიღოს შესაბამისი სატელევიზიო დაფარვა. რა თქმა უნდა, ხაზარაძე არის ჩვეულებრივი კორუმპირებული ოლიგარქი, რომელსაც კორუფციით აქვს ნაშოვნი ჯერ კიდევ 90-იან წლებში ფული, შემდეგ სააკაშვილის რეჟიმთან ერთად შოულობდა ფულს - ბიზნესის რეკეტის სქემაში იყო პირდაპირ ჩართული.**

**ის ვერ გაუტოლდებოდა სააკაშვილს, ადეიშვილსა და კეზერაშვილს ამ ამბავში, მაგრამ იყო ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტი იმ სქემისა, რომელიც დაკავშირებული იყო ბიზნესის რეკეტთან. კონკრეტული დამამტკიცებელი საბუთებიც არსებობს, არაერთი საქმე, სადაც ფიგურირებს ხაზარაძე, როგორც რეკეტიორი. ის არის ოლიგარქი და ეს არის მისი თვითაღიარება. ისედაც ყველამ ვიცოდით, მაგრამ თავად აღიარა საკუთარი ოლიგარქობა".**

* * *

ხაზარაძის ოლიგარქობაზე საუბრობს პარლამენტის თავმჯდომარე, რომლის განცხადებით, გარდა ამ ოლიგარქიისა, „ლელოს" სხვა პრობლემებიც აქვს. კერძოდ, ის, რომ ეს არის ორგანიზაცია, რომელიც არ უყურებს ეროვნულ ინტერესებს.

**„ვნახეთ, მათი ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც თავს იწონებდნენ, რომ იქ აბეზღებდნენ ქართველებს, რომ სანქციები დაეწესებინათ ქართველებისთვის და სხვა ქვეყნის ხელით მოეცილებინათ კონკურენტები სახელისუფლებო ბერკეტების მისაღებად. ეს არის სუფთა კომუნისტური, საბჭოთა აზროვნება, რომელიც მათი წარსულიდან გამომდინარე, ალბათ, საბჭოთა ნომენკლატურაში ყოფნიდან აქვთ მათ.**

**ცენტრში რომ ჩადიოდნენ ადრე, ზოგიერთი ქართველი აბეზღებდა ქართველებს, რომ მოეცილებინათ პარტიული თუ სხვა კონკურენტი და თვითონ გაეკეთებინათ კარიერა. მათთვის მოსკოვი დღეს შეიცვალა სხვა დედაქალაქებით, მიდგომა აქვთ ერთი და იგივე.**

**ვიცით, რომ კეზერაშვილს აქვს ფული, აღიარა და ვიცით, რომ აქვს მედია და ვიცით, რომ აქვს პარტია. ზუსტად იგივე გააკეთა მამუკა ხაზარაძემ, რომელმაც აღიარა, რომ ის არის ოლიგარქი და სრულად აკმაყოფილებს ოლიგარქის ყველა კრიტერიუმს. კერძოდ, აქვს ფული, აქვს პარტია, აქვს მედია. ეს არის, რისი ლუსტრაციაც მოხდა. როდესაც ოლიგარქიაზე საუბრობენ თავად ოლიგარქები, ეს, რა თქმა უნდა, არის ძალიან სამარცხვინო ქმედება",** – აცხადებს **შალვა პაპუაშვილი**.

კეზერაშვილის მსგავსად, ხაზარაძეც ამტკიცებს, რომ არ ერევა სარედაქციო პოლიტიკაში, მაგრამ „ლელოს" მოჭარბებული გავლენა აშკარაა. ის, რომ ოპოზიცია კონსტრუქციულ რეჟიმში დაბრუნდება და მმართველ გუნდთან ერთად დაიწყებს დეოლიგარქიზაციის შესახებ მუშაობს, ამის ნაკლებად სჯერათ ანალიტიკოსებს, რომელთა შეფასებით, დღეს ოპოზიციის პოლიტიკურ ინტერესში არ შედის კანონპროექტის მიღება.

„ხალხის ძალის" წევრი, ანალიტიკოსი **დავით ქართველიშვილი** აცხადებს, რომ დეოლიგარქიზაციის თემა შემოგდებული იყო ერთ-ერთ ხაფანგად, რომელშიც შემომგდების ლოგიკით უნდა გახვეულიყო საქართველოს მოქმედი ხელისუფლება, მაგრამ, როდესაც ვენეციის კომისიას გადაეგზავნა კანონპროექტი, ხოლო შემდგომ სამოქმედო გეგმა, ამ ხაფანგის დამგები მიხვდა, რომ იმ ფორმით, რა ფორმითაც საქართველოს პარლამენტმა განიხილა უკრაინაში 2019 წელს მიღებული ანალოგიური კანონი, პირველ რიგში, გაებმებოდა არა ბიძინა ივანიშვილი, არამედ კეზერაშვილი და ხაზარაძე.

**„ევროპულმა სტრუქტურებმა აღარ გვირჩიეს ამ კანონის მიღება და ევროკომისიამ, ფაქტობრივად, იმ 12 დათქმის ნუსხიდან ამოიღო კიდეც ეს საკითხი, რომელიც აშკარად პერსონიფიცირებულად გამოიყურებოდა და რაღაც ზოგადი ფორმულირება დაგვიტოვეს. ხელისუფლება მოიქცა ძალიან გრძნულად, მან უარი არ უთხრა იმას, რაც თავიდანვე გამოიყურებოდა ძალიან არადემოკრატიულად, მიკერძოებულად და ერთ პიროვნებაზე მორგების სურვილით.**

**გაყვა ამ თამაშის წესებს ბოლომდე, ხაფანგში ფეხი არ ჩაყო და აქეთ დააყენა ამ ხაფანგში მოხვედრის საშიშროების წინაშე ის ძალები, რომლებსაც სულ საპირისპიროს ამტკიცებდნენ. ამიტომ, დავანებოთ თავი ამ ოლიგარქების საკითხს. თუმცა, ვაღიაროთ, მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ იქნება მიღებული და, დიდი ალბათობით, ვერც მიიღებდა, საქართველოში კლასიკურ ოლიგარქებს წარმოადგენენ კეზერაშვილი, როგორც მინიმუმ, და ხაზარაძე",** - აღნიშნა **დავით კეზერაშვილმა**.

* * *

ანალიტიკოსი **ედიშერ გვენეტაძე** კი აცხადებს, რომ ხაზარაძე არის მე-5 კოლონის ერთ-ერთი მეთაურთაგანი საქართველოში, რომელმაც აშშ-სგან მოითხოვა ქვეყნის დასანქცირება.

**„ჩავიდა ოკეანის გაღმა თავის პატრონებთან, რომელთა გარეშე ის „ბლატაობს" ქართულ პოლიტიკაში, ამ დროს მისი რეიტინგი არის ძალიან მიზერული და გააკეთა ის განცხადება, რაც ვნახეთ და ამით მან დაადასტურა, რომ ის არის ნამდვილი ოლიგარქი, რომელიც პოლიტიკაში შემოსული არის საკუთარი ფულების დასაცავად. მეტიც, ხაზარაძეს აბსოლუტურად არაფერი არ აინტერესებს, მან მოითხოვა ქვეყნის დასანქცირება და ეს გააკეთა ირიბი ფორმით.**

**ამდენს ხვდება ხაზარაძე, რომ შეფუთულიყო. ხაზარაძე არის შეფუთული მე-5 კოლონის ერთ-ერთი მეთაურთაგანი საქართველოში, რომელიც ფულისათვის ყველას და ყველაფრის გამყიდველია. არ დაერიდება არაფერს, ოღონდაც კი ფული მოიპოვოს და სხვადასხვა ხერხებით მოპოვებული ფული პოლიტიკურად ჰქონდეს დაცული. აი, ეს არის ჩემი აზრი ხაზარაძის მიმართ",** - აცხადებს **ედიშერ გვენეტაძე**.

კონსტიტუციონალისტ **ვახტანგ ძაბირაძის** განცხადებით, როცა ოლიგარქიაზე არის ლაპარაკი, შემოღებული უნდა იყოს ზოგადი კრიტერიუმები ცალკე როგორც კეზერაშვილზე, ასევე ხაზარაძეზე და ივანიშვილზე. მისი თქმით, როცა იქნება ჩამოყალიბებული კრიტერიუმები და ამ კრიტერიუმებში ვინც ჩაჯდება, შემდეგ იმაზე უნდა ამოქმედდეს კანონი.

**„ხვალ რომ გამოჩნდეს პიროვნება, რომელიც დააფინანსებს ტელევიზიას, ის ოლიგარქი იქნება თუ არა - ზოგად პრინციპებზე არის ლაპარაკი. ხაზარაძემ განაცხადა, რომ ტვ. „პირველს" აფინანსებს, კეზერაშვილი „ფორმულას". ასე რომ ვიმსჯელოთ, ივანიშვილი ყველაფერს აფინანსებს. რა მნიშვნელობა აქვს ფულს პირდაპირ რიცხავ, თუ გავლენა გაქვს ტელევიზიაზე. ამიტომ, არ ვთვლი, რომ ასე კონკრეტულ პიროვნებებზე უნდა დაიწყოს კანონის მორგება. ვთვლი, რომ ზოგადად უნდა შემუშავდეს კრიტერიუმები, ვინც შეიძლება ჩაითვალოს ოლიგარქად. ხვალ რომ ხაზარაძემ და კეზერაშვილმა დაანებონ თავი პოლიტიკას და ვიღაც სხვა გამოჩნდეს, იმას რა მოვუძებნოთ მერე?**

**ამიტომ, ჯერჯერობით დეოლიგარქიზაციის საკითხს ორივე მხარე იყენებს მხოლოდ პოლიტიკური პიარის თვალსაზრისით. რეალურად, არც ერთს არ უნდა ნაბიჯის გადადგმა. თუ ვინმეს უნდა სერიოზულად იმუშაოს დეოლიგარქიზაციაზე, მარტო ტელევიზია არაა საკმარისი, თუმცა ერთ-ერთი კომპონენტია, ისევე როგორც პოლიტიკა. აუცილებელია კრიტერიუმების შემუშავება, რაც არც ხელისუფლებას უნდა და თქვენ წარმოიდგინეთ, არც ოპოზიციას",** – აცხადებს **ვახტანგ ძაბირაძე**.

**თამთა ქარჩავა**




**ვიცით, რომ კეზერაშვილს აქვს ფული, აღიარა და ვიცით, რომ აქვს მედია და ვიცით, რომ აქვს პარტია. ზუსტად იგივე გააკეთა მამუკა ხაზარაძემ, რომელმაც აღიარა, რომ ის არის ოლიგარქი და სრულად აკმაყოფილებს ოლიგარქის ყველა კრიტერიუმს. კერძოდ, აქვს ფული, აქვს პარტია, აქვს მედია. ეს არის, რისი ლუსტრაციაც მოხდა.**



ქართველი კაცისათვის დედასავით სათაყვანო და ტკბილი სამშობლოს სიყვარული ოჯახიდან, გვარიდან და წარსულიდან იწყება.

„ერის დამხობა იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას რწმენა ეკარგება თავის წარსულის...“






# ხიმშიაშვილები – სამშობლოს წინაშე თავდადებულნი

**ისტორია ერის სარკეა, გარდასულ დღეთა მესაიდუმლე, ქვეყნის აღზევებისა და დაცემის მიუკერძოებელი შემფასებელი. ქართველი ერის ისტორია იქმნებოდა ისეთ დიდ ხალხებთან ურთიერთობაში, როგორებიც იყვნენ: შუმერები, ხეთები, ფინიკიელები, ასურიელები, ბერძნები, რომაელები და სხვები. მათგან ბევრი ბედუკუღმართობის მსხვერპლი გახდა. საბედნიეროდ, ჩვენი ერი მათ შორის აღმოჩნდა, ვინც ყველა ჭირსა და ვარამს გაუძლო, დაძლია სპარსთა, არაბთა, მონღოლთა, ოსმალოთა თუ ათასი ჯურის დამპყრობთა შემოსევები. იშვიათად მოიპოვება მსოფლიოში მეორე ქვეყანა, რომელსაც ამდენი რბევა-აოხრება განეცადოს. ღვთის მადლით საქართველო ყოველთვის ფეხზე დამდგარა და აყვავებულა. საქართველოს გადარჩენაში დიდი წვლილი მიუძღვის ერს და იმ გვარის წარმომადგენლებს ვინც აქ ცხოვრობდა და ცხოვრობს. ერთ-ერთი ასეთი სახელოვანი გვარია ხიმშიაშვილები.**

ამ მეტად საინტერესო საგვარეულომ ბევრი სახელოვანი მამულიშვილი გაუზარდა მშობლიურ საქართველოს, როგორც აღმოსავლეთ, ასევე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (აჭარაში). ამ გვარმა ბევრი ჭირ-ვარამი გადაიტანა, მაგრამ ყოველთვის გვერდში ედგნენ საქართველოს და მის მეფეებს. ხიმშიაშვილი ეპონიმური გვარსახელია, მას ისევე როგორც ანალოგიურ გვარებს (ბარათაშვილი, გურამიშვილი და ა.შ.) საფუძვლად უდევს საგვარეულოს შტოს დამწყები უფროსი მამაკაცის სახელი. პირველად გვარი ხიმშიაშვილი იხსენიება XIV საუკუნის ბოლოსთვის, 1390 წელს, აღმოსავლეთ საქართველოში, არაგვის ხეობაში, სოფელ ძაგნაკორაში (ბულაჩაური). ხიმშიაშვილების წინა გვარია – აბაზაძე. ამირინდო ხიმშიას ძე აბაზაძე პირველი პიროვნებაა, რომელმაც თავად ხიმშიაშვილების გვარს სათავე დაუდო და პირველი იხსენიება ხიმშიაშვილად. ხიმშიაშვილი ძველი ქართული თავადური (ფეოდალური) გვარია.

ამავე პერიოდში ხიმშიაშვილები შემძლე, ერთგული მეომარნი, ერთობილნი, ყმით, სახლის კაცნით გამორჩეული ყოფილან. ასე ხასიათდება თავად ხიმშიაშვილების გვარი. ასევე ხიმშიაშვილები აჭარაში იყვნენ ზემო აჭარის სანჯაყ-ბეგები. როგორც სხვა გვარებშიც, ხიმშიაშვილების გვარში იყვნენ: როგორც თავადური შტოს, ასევე აზნაურული და გლეხური შტოს წარმომადგენლები.



საგვარეულოს წინამძღოლი ვალერი ხიმშიაშვილი

ხიმშიაშვილის გვარი XVIII საუკუნის დასაწყისში ჩნდება ზემო აჭარაში. ამავე პერიოდში ზემო აჭარაში ჩნდება ხიმშიაშვილების მეორე შტო. პირველი ხიმშიაშვილი, რომელიც აჭარაში გადავიდა და აჭარელ ბეგ ხიმშიაშვილებს დაუდო სათავე სოფელ ბულაჩაურიდან გადასული თავადი ზაალ შერმაზანის ძე ხიმშიაშვილი იყო. გადასვლის შემდეგ ისმაილ ხიმშიაშვილი, სელიმ ფაშა აბდულის ძე ხიმშიაშვილის პაპა (ბაბუა), ასევე ზაალის ძმის გიორგი შერმაზანის ძე ხიმშიაშვილის შთამომავლები არიან.

ხიმშიაშვილები ჩანან რაჭაში, სოფ. წესში. ისინი აქ იყვნენ აზნაურებიც და გლეხებიც. 1850 წელს სოფელ წესიდან, ორი აზნაურული ოჯახი გადავიდა იმერეთში, ქუთაისში. იქ დასახლდა მწერალ კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ხიმშიაშვილის პაპა. მეორე ოჯახი იყო, ევტიხი სიმონის ძე ხიმშიაშვილი, რომლის შვილიშვილი დიომიდე დიანოზის ძე ხიმშიაშვილი გადავიდა საცხოვრებლად ქალაქ ჭიათურაში.

ისტორიულ დოკუმენტებში აზნაური ხიმშიაშვილი ჩანს სოფ. მეტეხში. ის წარმოშობით სოფელ ხეითიდანაა. 1842 წელს სოფ. ხეითში მცხოვრებმა ჯიმშერ თევდორეს ძე ხიმშიაშვილმა მიიღო აზნაურობა. ის საცხოვრებლად გადავიდა სოფელ სანებელში. მისი შვილი მიხეილი საცხოვრებლად გადადის სოფელ მეტეხში. ჯიმშერის მეორე უკანონო შვილი ანდრია გადადის სოფელ თრანში. ის გლეხად ფიქსირდება. აზნაური ხიმშიაშვილები სახლობდნენ ცხინვალში, სოფელ ნიჩბისში, ოქონაში, კნოლევში, ხოვლეში, რუისში, არბოში, ფრინევში, დიღომში, ბახტრიონში, ჟინვალში, ქვემო სახასოში, ხვითში, ფერხადანში. ყველანი ისინი ენათესავებიან სოფ. ბულაჩაურში მცხოვრებ თავად ხიმშიაშვილებს. ასევე იყვნენ გლეხი ხიმშიაშვილები. ისინი ცხოვრობდნენ სოფლებში ბორბალოსა და კარდენახში. მათ არავითარი კავშირი არა აქვთ, თავად და აზნაურ ხიმშიაშვილებთან. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ცხოვრობდნენ პიროვნებები სახელით – ხიმშია. აქედან გამომდინარე, ამ სახელისგან წარმოიშვნენ ხიმშიაშვილები, რომლებსაც ერთმანეთთან გვარის გარდა ნათესაობა არ აკავშირებდათ.

თავადი ხიმშიაშვილები სოფელ ბულაჩაურიდან გადავიდნენ საცხოვრებლად, თბილისში, თელავში, ოდიშში, სიღნაღში, მარტყოფში, წვერში, ახატანში, რუისში, ზემო ხანდაკში, რუსეთში.

ხიმშიაშვილების გვარიდან ბევრი სახელოვანი პიროვნებაა გამოსული. სამხედრო და სასულიერო პირები, ექიმები, მასწავლებლები, ჟურნალისტები, მწერლები, პროფესორები და სხვა. ასევე, ეროვნული გმირები – ზემო აჭარის სარჯაყბეგი, სელიმ და ფაშა ხიმშიაშვილები და პოლკოვნიკი გიორგი ნიკოლოზის ძე ხიმშიაშვილი.

გვარში იყო **შვიდი გენერალი, ოცდათექვსმეტი პოლკოვნიკი, ოცდაოთხი ვიცე-პოლკოვნიკი** და სხვა სამხედრო ჩინის ოფიცრები. **ჰყავდათ პირველი მსოფლიო ომის გმირი და წმინდა გიორგის ჯვრის კავალერი, როტმისტრი თავადი მიხეილ გიორგის ძე ხიმშიაშვილი.** პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობას იღებდა **316 ხიმშიაშვილის გვარის წარმომადგენელი**. აქედან **ცოცხალი დაბრუნდა 210, 106 გმირულად დაიღუპა.** ხიმშიაშვილის გვარის წარმომადგენლები ომში მამაცობისათვის დაჯილდოებული იყვნენ სხვადასხვა ორდენებით და მედლებით.

წმინდა გიორგის ჯვრის ორდენოსნები იყვნენ: **თავადი გიორგი სპირიდონის ძე ხიმშიაშვილი** (1836-1917), გენერალ-ლეიტენანტი; არტილერიის და ინფანტერიის გენერალი; თავადი **ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ხიმშიაშვილი** (1805-1860), გენერალ მაიორი. თავადი **ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ხიმშიაშვილი** (1869-1911), პოლკოვნიკი; თავადი **გიორგი ნიკოლოზის ძე ხიმშიაშვილი** (1892-1923), პოლკოვნიკი; (16.03.1918), თავადი **ნიკოლოზ რამაზის ძე ხიმშიაშვილი** (1864-1914), ვიცე-პოლკოვნიკი; თავადი **ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ხიმშიაშვილი** (1871-1914), პოდპოლკოვნიკი.

მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობას იღებდა **129 ხიმშიაშვილის გვარის წარმომადგენელი.** აქედან მშობლიურ კერას დაუბრუნდა **92 ადამიანი. გმირულად დაიღუპა 37.** ომის დროს ხიმშიაშვილების გვარის წარმომადგენლები დაჯილდოებული იყვნენ სამთავრობო ჯილდოებით.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ვერც ხიმშიაშვილის გვარი გადაურჩა რეპრესიებს, დახვრეტას, დაპატიმრებას, გასახლებას, ქონების ჩამორთმევას...

რეპრესირებული იყვნენ თავადები ნიკოლოზ გიორგის ძე, გიორგი ნიკოლოზის ძე, დიმიტრი ალექსანდრეს ძე, ალექსანდრე მიხეილის ძე, ვახტანგ ილიას ძე, სულხან (სიმონი) ილიას ძე, დიმიტრი დავითის ძე ხიმშიაშვილები, თავადის ასული ეკატერინე ნიკოლოზის ასული ხიმშიაშვილი-ხოხლოვა, ბეგის ასული ზინაიდა (ზექია) ფეიზულა ქობლიანელი (ჯაყელი) – ხიმშიაშვილი; თავადის ასული ეკატერინე ივანეს ასული მაღალაშვილი-ხიმშიაშვილი; თავადის ასული ოლღა ნიკოლოზის ასული მაღალაშვილი-ხიმშიაშვილი, თავადის ასული ნინო ნიკოლოზის ასული კოტეტიშვილი-ხიმშიაშვილი; ბეგი თახსიმ იუსუფის ძე ხიმშიაშვილი; ბეგი ქაზიმი თემურის ძე, ბეგი ასლან მურთაზის ძე, ბეგი ჰაიდარი ასლანის ძე, ბეგი ახმედ ისას ძე, ბეგი ისრაფილ თემურის ძე, ბეგი იბრაჰიმ თემურის ძე, ბეგი ჯალილი ჯემალის ძე, ბეგი დემურალი სელიმის ძე, ბეგი შახი სეფერის ძე, ბეგი ოსმან მურადის ძე, ბეგი ზაბითი ჯემალის ძე, ბეგი ზაბითი მემედის ძე ხიმშიაშვილები; ბეგის დურსუნის ასული ხატიჯე ხიმშიაშვილი; ბეგი ეუბის ასული გულეფერი; ბეგი ბეითალის ასული ზექიე ბეჟანიძე-ხიმშიაშვილი. აზნაური დავითი დიანოზის ძე, აზნაური კონსტანტინე (კოტე) ალექსანდრეს ძე ხიმშიაშვილები.

**ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრები იყვნენ: თავადი ნიკოლოზ გიორგის ძე, ბეგი თემურ შერიფის (ალექსანდრე) ძე, აზნაური იასონ ლევანის ძე, აზნაური დავით ვასილის ძე ხიმშიაშვილები. ღირსების ორდენოსანი მწერალი, აზნაურ ალექსანდრეს ასული დარეჯან (დოდო) ხიმშიაშვილი-ვადაჭკორია.** 2010 წლის 10 ოქტომბერს ხიმშიაშვილების გვარი დაილოცა პატრიარქის მიერ.

ამჟამად საქართველოში 1800-მდე ხიმშიაშვილი ცხოვრობს. არიან სასულიერო პირები, მასწავლებლები, ექიმები, ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომლები და სხვა.

ღმერთო, ამრავლე ხიმშიაშვილის გვარი, რომელთა ღვაწლი საქართველოს ისტორიაში ნამდვილად დასაფასებელია.

**ვალერიან ლომიძე,**
**სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობის წევრი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**

# „ვეფხისტყაოსნის“ დიდი მკვლევარის („მჩხრეკავის“) კვირეული



**მე-20 საუკუნის ცნობილი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, მეცნიერის, გამომცემლისა და პუბლიცისტის, გამოჩენილი რუსთველოლოგის ვიქტორ ნოზაძის დაბადების 130 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების კვირეული დაიწყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 5 დეკემბერს გამართული სამეცნიერო კონფერენციით.**

უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა **ნანა გაფრინდაშვილმა** შესავალ სიტყვაში ილაპარაკა ვიქტორ ნოზაძის დრამატული მოვლენებით აღსავსე ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ეტაპებზე, ბიოგრაფიის საკვანძო მომენტებზე, საქართველოს მოწყვეტილი გულმხურვალე მამულიშვილის სამშობლოსთან, ზოგადად ეპოქასთან მრავალფეროვან კავშირებზე. ხაზი გაუსვა მის ღვაწლს, „ვეფხისტყაოსნის“ „მჩხრეკაობის“ ანუ მრავალასპექტიანი კვლევების ნაშრომთა მნიშვნელობის შესახებ.

პროფესორმა ნ. გაფრინდაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ვიქტორ ნოზაძის ბევრი სამეცნიერო ნაშრომი ჯერაც გამოუქვეყნებელია და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის არქივშია დაცული, ამდენად მათი გამოცემა ისტორიული სამართლიანობის აღდგენის გარდა, დიდ სამეცნიერო ღირებულებასაც წარმოადგენს. მან მადლობა გადაუხადა ვიქტორ ნოზაძის საზოგადოებას და მის მესვეურებს დაუღალავი საქმიანობისთვის.

ეს აზრი სავსებით გაიზიარა უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა **ჯაბა სამუშიამ,** რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვიქტორ ნოზაძის გამოუქვეყნებელი ნაშრომების დასტამბვით, ქართული სამეცნიერო საზოგადოება ერთგვარად აბრუნებს ვალს მისი ღვაწლის წინაშე. რექტორმა ასევე ილაპარაკა დიდი რუსთველოლოგის, სამეცნიერო კვლევების მნიშვნელობაზე მის როლზე ევროპული საზოგადოებრიობისთვის საქართველოს უკეთ გაცნობაში.

სახელოვანი წინაპრის სახელობის საზოგადოების თავმჯდომარემ **სიმონ ნოზაძემ** განაცხადა, რომ ახლახან გამოვიდა ვიქტორ ნოზაძის სამეცნიერო ნაშრომთა ექვსტომეულის მე-4 ტომი, ხოლო უზბეკეთში მიმდინარეობს წინასწარი სამუშაოები თემურ-ლენგის შემოსევის შემდეგ საქართველოდან გატანილი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების კვალის მისაგნებად. მან დამსწრეთ გააცნო საზოგადოების მოღვაწეობის სამომავლო გეგმები, რაშიც აუცილებლად საჭირო იქნება სხვადასხვა პროფილის სპეციალისტების ჩართვა, მოკლედ ისაუბრა „ვეფხისტყაოსანში“ ვიქტორ ნოზაძის მიერ საგულდაგულოდ შესწავლილი ზოგიერთი ასპექტის შესახებ.

ბატონმა სიმონ ნოზაძემ კონფერენციის მონაწილეთ ამცნო, რომ 2024 წლის სექტემბრიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაფუძნდება ვიქტორ ნოზაძის სახელობითი სტიპენდია.

სიტყვით გამოსულმა ცნობილმა ქართველოლოგმა, აკადემიკოსმა ელგუჯა ხინთიბიძემ ილაპარაკა ვიქტორ ნოზაძის თავდადებასა და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულზე, მის ტრაგიზმით აღსავსე ცხოვრების გზაზე, ხაზგასმით აღნიშნა, რომ, ცალკე აღებული, იგი ერთი დიდი ეტაპია რუსთველოლოგიის დარგში, რაც უდიდესი ეროვნული საქმეა.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა ვიქტორ ნოზაძის საზოგადეობის დაარსების ერთ-ერთი თაოსანი, მეცნიერის შთამომავალი ირინა ნოზაძე, რომელმაც ილაპარაკა ორგანიზაციის შექმნის ისტორიასა და სამომავლო გეგმებზე.

შემდეგ დაიწყო კონფერენციის სამეცნიერო მუშაობა, რომლის დროსაც მისმა მონაწილეებმა მოისმინეს რამდენიმე მოხსენება. კერძოდ, „ვიქტორ ნოზაძის „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველების“ ადგილი რუსთველოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში“ (მომხსენებელი ნესტან სულავა), „ვიქტორ ნოზაძის ერთი უჩვეულო რეცენზიის თაობაზე – არგონავტებიდან სტალინამდე“ (მომხსენებელი რუსუდან ნიშნიანიძე), „საკრალიზებული“ ეპითეტები „წმინდა ნინოს ცხოვრების“ მიხედვით“ (მომხსენებელი გიორგი ალიბეგაშვილი) და სხვა.

გუშინ, 6 დეკემბერს, ვიქტორ ნოზაძის დაბადებიდან 130 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მონაწილენი ეწვივნენ ვიქტორ ნოზაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ მოძვის საჯარო სკოლას, სადაც მოსწავლეებთან და პედაგოგებთან შეხვედრის შემდეგ დაათვალიერეს მეცნიერის მუზეუმი. შემდეგ საჯარო ლექციები თემებზე „ვიქტორ ნოზაძის ბიოგრაფია და რუსთველოლოგიური მოღვაწეობა“ და „ვიქტორ ნოზაძის სამეცნიერო მემკვიდრეობა“ წაიკითხეს საზოგადოების თავმჯდომარემ **სიმონ ნოზაძემ** და თსუ ასოცირებულმა პროფესორმა **ნესტან სულავამ.**

**დღეს უნივერსიტეტში გაიხსნება ვიქტორ ნოზაძისადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, მერე კი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართული ემიგრაციის მუზეუმში მოეწყობა დიდი მკვლევარის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა.**

**ოთარ ტურაბელიძე**

# წიგნი, რომელიც მართლაც ეკადრება გალაკტიონს!

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციამ ერთგულ მკითხველსა და წიგნის მოყვარულებს მართლაც დიდებული სიურპრიზი მოუმზადა – გამოვიდა გალაკტიონ ტაბიძის ლექსების მინიატიურული გამოცემა, რომელსაც კარგა ხანია მკითხველებმა სიყვარულით „გულის ჯიბით სატარებელი წიგნები“ შეარქვეს. გამოცემის შემდგენელი გახლავთ **ნოდარ ტაბიძე,** მთავარი რედაქტორი **ლია ნადარეიშვილი,** ხოლო მხატვარი **გიორგი წერეთელი.** ეს გალაკტიონის რჩეული ლექსების რიგით მეორე გამოცემაა, რომელიც მკითხველთა თხოვნით მწიგნობართა ასოციაციამ გამოსცა.




შესანიშნავ კრებულში გამოყენებულია გალაკტიონის გრაფიკული ჩანახატები. სასიხარულო ფაქტია, რომ თანამედროვე ახალგაზრდობას განსაკუთრებით გამორჩეულად უყვარს დიდი გალას პოეზია, სწორედ ამის დასტურია ამ მშვენიერი წიგნის ხელმეორედ გამოცემა.

გალაკტიონის რჩეულის წინასიტყვაობა ეკუთვნის შესანიშნავ პუბლიცისტს **იოსებ ჭუმბურიძეს,** რომელმაც სეფე წერილში, რჩეული ოსტატობით, ლაკონურად გადმოსცა არამარტო გენიოსი პოეტის შემოქმედების ნიუანსები, არამედ გალაკტიონოლოგიის მკვლევართა ჩანაწერებიც მოიხმო და წიგნს ამით ისეთი სიმდიდრე შესძინა, როგორც გალას ეკადრებოდა. თავს უფლებას მივცემ და ამ პატარა წარდგინებაში წიგნის წინასიტყვაობიდან რამდენიმე ამონარიდს შევთავაზებ ჩვენი გაზეთის მკითხველებს.

**„გარეშე პოეზიისა და მაღლა-მაღლა ფრენისა მას არაფერი აინტერესებს. დიდებულია იგი, როცა მაღლა დაფრინავს, ხოლო სასაცილოა, როცა ძირს ეშვება და ჩვეულებრივი ადამიანის სახეს იღებს (დიდი პოეტის ძმა პროკლე ტაბიძე). – ამ განსაცვიფრებლად ზუსტ დახასიათებაში მხოლოდ ერთ სიტყვას თუ დავიწუნებთ და „სასაცილოს“ „ტრაგიკულით“ შევცვლით, რაც გენიალურ პოეტს ცხოვრებისეულ პროზასთან, აუტანელ ყოფასთან აკავშირებდა.**

**ზამთრის მოახლოებით შეშფოთებული პოეტი განათლების სახალხო კომისარს დახმარებას, ანუ პალტოს შესაძენად საჭირო თანხის გამოყოფას სთხოვს. რეზოლუცია კი ასეთია: „უარი ეთქვას“...**

**განა შეიძლება, აქ რაიმე სასაცილო იყოს?!“**

ანდაც, **„მე რომ გაფრენა არ შემიძლია, ეს უკვე ნიშნავს გარდაცვალებას“, – წერდა ტერენტი გრანელი;**

**კოლაუ ნადირაძეს კი ეგონა: „გაფრენა არის ისე ადვილი, თუკი გაბედავ და გაშლი მკლავებს“...**

**მკლავების გაშლა კი მხოლოდ გალაკტიონმა გაბედა და ამით თავისივე ნათქვამი დაამტკიცა: „არავინ არის ჩემი ტოლი და ჩემი მსგავსი, ერთადერთი ვარ, მაღალი ვარ, ვარ უკეთესი“...**

**სწორედ ამაზე ითქმის, ძალა შემწევს ქადილისაო“.**

ასე ეფერება იოსებ ჭუმბურიძე გალაკტიონს და თავისი წინასიტყვაობით უკვე სხვანაირად განაწყობს მკითხველს, ახლებურად წაიკითხოს უკვე მილიონჯერ გადაკითხული და გათავისებული გალა. უფრო ღრმად ჩაწვდეს იმ გენიოსის ცხოვრების ფილოსოფიას, რომელიც მართლაც არაჩვენებურ, არაამქვეყნიურ სიზმრებს ხედავდა და განა მარტო სიზმრებს? არაჩვეულებრივად ცხოვრობდა, მოღვაწეობდა, გალაქტიკას ეთამაშებოდა გალა.

**„იმას კი ვინატრებდი: ეს ლამაზი მინიატიურული გამოცემა უთვალავ ეგზემპლარად დაებეჭდათ და ყველა ქართველი ახალგაზრდისთვის ჩამოერიგებინათ“...** – ბრძანებს დასასრულს ბატონი იოსები.

**ღმერთმა გისმინოთ!**

**მამუკა ვაშაკიძე**

# ივანე ჯავახიშვილის აქამდე უცნობი ნაშრომი

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის გამოუქვეყნებელი ნაშრომი – „აჭარისტანი“ – გამოსცა. ფართო საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი კვლევის მანქანაზე ნაბეჭდი ასლი საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას პირად ფონდში, ინახება.**

ნაშრომის დედანი, ხელნაწერის სახით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის მუზეუმშია დაცული. კვლევა მოიცავს აჭარის შესახებ ისტორიული წყაროების მიმოხილვას შუა საუკუნეებიდან 1878 წლამდე.

წიგნი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით გამოსაცემად მოამზადა და წინათქმა დაურთო ეროვნული არქივის სამეცნიერო განყოფილების თანამშრომელმა, ისტორიკოსმა ლევან ჯიქიამ.

წიგნის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია ეროვნული არქივის ვებგვერდზე:

https://archive.gov.ge/ge/sametsniero-publikatsiebi/ivane-javakhishvili-acharistani-1



**რატომ გააქტიურა ოპოზიციამ 2024 წლის არჩევნებში ემიგრანტების მონაწილეობის თემა? მათ გააცნობიერეს, რომ ვერც სოციოლოგიური გამოკითხვების რეიტინგებით და ვერც ადგილზე რეალური, პრაქტიკული მხარდაჭერით, მომავალ არჩევნებში გამარჯვების არანაირი შანსი არ აქვთ და მათი მაქსიმუმი პარლამენტში რამდენიმე მანდატია.**

**სწორედ ამის მკაფიოდ გაცნობიერების შემდეგ დაიწყო ემიგრანტების მობილიზაციის მძლავრი კამპანია. ამ კამპანიაში, ჯერჯერობით, აქტიურად არიან ჩართული „ნაციონალური მოძრაობა“ და მათი სატელიტი „ლელო,“ ასევე – „გირჩი ჯაფარიძის“ პარტია და ელენე ხოშტარიას „დროა.“ მათი გათვლა მარტივი და გასაგებია. ვიდრე სხვა პარტიები, მათ შორის „ქართული ოცნება“ ამ მიმართულებით ამუშავდებიან, ემიგრანტების მნიშვნელოვანი რაოდენობა უკვე ამ პარტიებს ექნებათ „დაბევებული“.**



# ემიგრანტების ხელის შემყურე ოპოზიცია



ემიგრანტებთან დაკავშირებით, რადიკალური ოპოზიციისათვის შთაგონების ერთ-ერთ შესაძლო წყაროდ შეიძლება იყოს მოლდოვის მაგალითი, სადაც 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, პროევროპელმა კანდიდატმა **მაია სანდუმ,** ძირითადად, ახალგაზრდობის და ევროპაში მცხოვრები მოლდოვური დიასპორის ხმების წყალობით შეძლო არჩევნების მოგება. გარდა ამისა, მათ ხელთ აქვთ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ემიგრანტთა მიერ მიცემული ხმის შედეგები, სადაც „ქართული ოცნების“ მხარდაჭერამ 40%-ს ვერ გადააჭარბა. როგორც ჩანს, ოპოზიციის გათვლა ემყარება იმას, რომ ემიგრანტებში მაღალია ანტისახელისუფლებო განწყობები, რაც, სხვათა შორის, არ არის საფუძველს მოკლებული.

ცნობილია, რომ 2024 წლის არჩევნებზე დიდ ფსონს დებს დასავლეთი, შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ არჩევნებში ემიგრანტების მონაწილეობის ადვოკატირებაში აქტიურად ჩაერთო ნიდერლანდების ორგანიზაციის – „მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრის“ საქართველოს წარმომადგენლობა. მისი ადგილობრივი ხელმძღვანელი **ლევან ცუცქირიძე** დიდად არც მალავს თავის ოპოზიციურ დამოკიდებულებას ხელისუფლების მიმართ. ცოტა ხნის წინ მათ საერთაშორისო კონფერენცია მოაწყვეს საქართველოს ევროპული ინტეგრაციის წინასაარჩევნო გარემოსა და არჩევნებში პოლიტიკური მონაწილეობის საკითხების შესახებ. კონფერენციიის ერთ-ერთი მთავარი თემა სწორედ არჩევნებში ემიგრანტების მონაწილეობა გახლდათ. კონფერენციაში მონაწილეობა სალომე ზურაბიშვილმაც მიიღო და კიდევ ერთხელ დაადასტურა საკუთარი მხარდაჭერა არჩევნებში უკლებლივ ყველა ემიგრანტისთვის ხმის მიცემის უფლების უზრუნველყოფისთვის. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ პოლიტიკური და სამოქალაქო ლიდერები, ჟურნალისტები და მეტწილად ოპოზიციური მედიის წარმომადგენლები, ასევე – რთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წევრები. დიდი ალბათობით, ეს კონფერენცია იყო, ასე ვთქვათ, „პირველი მერცხალი“ ამ თემის „ასაწევად“, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე, რომელიც არჩევნების მოახლოების კვალობაზე კიდევ უფრო გააქტიურდება.

უფრო მეტიც, რადიკალური ოპოზიციის ორმა პარტიამ – **ელენე ხოშტარიას** „დროა“და **ჯაფარიძის** „გირჩი – მეტი თავისუფლება“ – იწყეს კამპანია არჩევნებისთვის ემიგრანტების მობილიზაციისთვის. ამას გარდა, საარჩევნოდ ემიგრანტების მობილიზაციის პროცესში აქტიურად ჩაერთვნენ „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი სატელიტი „ლელო.“ მათი წარმომადგენლები აშშ-ში უკვე შეხვდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლებს.

ოპოზიცია და მასთან აფილირებული ყველასთვის ცნობილი და ფაქტობრივად, მათ პარტუჯრედებად გადაქცეული არასამთავრობო ორგანიზაციები, ქართველი ემიგრანტებისათვის 2024 წლის არჩევნებზე საარჩევნო უბნების რაოდენობის გაზრდას და მათთვის არჩევნებში ონლაინ მონაწილეობის საშუალებას ითხოვენ. მათი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ისინი არჩევნების არალეგიტიმურად გამოცხადებით იმუქრებიან. განსაკუთრებული წინასწარმეტყველების უნარი არაა საჭირო, იმის მისახვედრად თუ რა ჩანაფიქრი დგას ამ ყველაფრის უკან.

**ოპოზიციამ უკვე დაიწყო კომუნიკაცია საზღვარგარეთ მყოფ ქართული დიასპორებთან და მათი სურვილის საჯარო სივრცეში უკვე შემოვარდა ნარატივი საზღვარგარეთ მყოფ „მილიონამდე ამომრჩეველზე“. ასევე, შემოაგდეს ინფორმაცია, რომ ამომრჩეველთა 20%-ზე მეტი საქართველოს ფარგლებს გარეთ ცხოვრობს და არ შეუძლია ხმის მიცემა. ოპოზიციის მიერ კულტივირებულმა და, დიდი ალბათობით, გამოგონილმა ციფრებმა, მათივე გათვლით, საზოგადოებაზე და დასავლურ აუდიტორიაზე შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს და ხელისუფლებაზე ზეწოლისკენ უბიძგოს საარჩევნო წესების შესაცვლელად, იმისათვის, რომ ოპოზიციამ მეტი ხმა მიითვალოს.**

სხვათა შორის, 2012 წელს, ქართველი ემიგრანტების გარკვეულ რაოდენობას, რომელსაც არჩევნებში მონაწილეობის მხრივ პრობლემები შეექმნა, საქართველოში სხვა და სხვა გზებით დაბრუნდნენ, იმდენად დიდი იყო ავტორიტარული ხელისუფლების შეცვლის სურვილი.

**რამდენად დიდია საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართულ დიასპორაში ხელისუფლების ცვლილების სურვილი, ამის თქმა დაზუსტებით, პრაქტიკულად, შეუძლებელია. სადღეისო რეალობა ისეთია, რომ საზღვარგარეთ მყოფი ქართული ემიგრაციის დიდი უმრავლესობა იქ არალეგალურ ან ნახევრადლეგალურ მდგომარეობაშია. ამავე დროს, ბევრ მათგანს უცხო ქვეყნის მოქალაქეობა აქვს მიღებული და საქართველოს მოქალაქეობა დატოვებული.**

საარჩევნო უბანზე მისვლისას ემიგრანტს თან უნდა ჰქონდეს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი.

**არალეგალურ პირობებში მომუშავე ქართველ ემიგრანტებს, თუ მართლა განსაკუთრებული პოლიტიკური მოტივები არ ამოძრავებთ, საერთოდ არ აინტერესებთ არჩევნებში მონაწილეობა. რატომ უნდა გარისკონ საკუთარი თავის იდენტიფიცირებით და ამით ქვეყნიდან დეპორტაციის რისკები გაზარდონ, რომელიმე ოპოზიციური პარტიის სასარგებლოდ, როდესაც სასწორის მეორე პინაზე მათ კმაყოფაზე მყოფი ოჯახის ფინანსური კეთილდღეობა დევს?! აქედან გამომდინარე, ბევრი მათგანი, ალბათ, თავს შეიკავებს.**

რაც შეეხება ემიგრანტებისთვის დამატებითი საარჩევნო უბნების გახსნას, ეს ხელისუფლების პრეროგატივაა, მაგრამ მათთვის ონლაინ რეჟიმში ხმის მიცემის დაშვებას უკვე სერიოზული რისკები ახლავს, კიბერთაღლითობის და სხვა მსგავსი პრობლემის გათვალისწინებით.

**ბოლოს და ბოლოს, თუ ემიგრანტებს, რომლებიც ოპოზიციას საკუთარ „ოქროს ელექტორატად“ მიაჩნია, ასე ძალიან სურთ არჩევნებში მათი მონაწილეობით ხელისუფლების შეცვლა, მაშინ ორიოდე დღით საქართველოში ჩამოსვლაც არ უნდა იყოს მათთვის პრობლემა.**



**ზაალ ანჯაფარიძე**

## ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი – რეგიონის ერთ-ერთი მთავარი კონტრიბუტორი

**ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში კვების ახალი კონცეპტუალური სივრცე – AIR FOOD-ი გაიხსნა. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას საქართველოს აეროპორტების გაერთიანება ავრცელებს.**

მათივე ცნობით პირველი ადგილობრივი ბიზნესია, რომელმაც დავით აღმაშენებლის სახელობის აეროპორტში ოპერირება დაიწყო. ქუთაისის აეროპორტში AIR FOOD-ის კონცეპტუალურ სივრცეში ამ ეტაპზე 15 ადამიანია დასაქმებული. საქართველოს აეროპორტების გაერთიანების გენერალური დირექტორის, ირაკლი ქარქაშაძის განცხადებით, AIR FOOD-თან თანამშრომლობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ადგილობრივი მეწარმეების წახალისება, მათი მხარდაჭერა და ცნობადობის გაზრდაა.

**„ჩვენს აეროპორტს საკმაოდ ორიგინალური, ავიაციაზე ორიენტირებული და სრულიად განსხვავებული კონცეფციის მქონე კვების ობიექტი შეემატა. კიდევ უფრო მეტად გვახარებს ის ფაქტი, რომ ახალი, კონცეპტუალური კვების ობიექტი ადგილობრივია. კონცეფცია სამ მიმართულებას აერთიანებს და რაც მთავარია, არის ქართული, ადგილობრივი ბრენდი და ასევე, ადგილობრივი მეწარმეების, მცირე მარნების ხელშეწყობას ისახავს მიზნად. ჩვენ ხელს ვუწყობთ აეროპორტში ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას და, რაც მთავარია, ვაგრძელებთ, ვიყოთ რეგიონის ეკონომიკაში ერთ-ერთი მთავარი კონტრიბუტორი“,** – განაცხადა ირაკლი ქარქაშაძემ.



**„ჩვენს აეროპორტს, საშუალოდ, ყოველდღიურად 4 500 მგზავრი სტუმრობს. წლის ბოლომდე კი მილიონ 7 000-მდე მგზავრი გვეყოლება. ეს რიცხვი მომავალი წლიდან კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან ახალი მიმართულებები და ავიაკომპანიები გვემატება. ინტერესი ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის მიმართ მზარდია, შესაბამისად, აუცილებელია, რომ ინფრასტრუქტურა და სერვისი იყოს მაღალი სტანდარტის, რასაც ჩვენ პარტნიორებთან ერთად აეროპორტის მგზავრებს შევთავაზებთ“,** – განაცხადა საქართველოს აეროპორტების გაერთიანების დირექტორმა.

AIR FOOD-ი ერთ კონცეპტუალურ სივრცეში აეროპორტის მგზავრებს სამი ტიპის მომსახურებას სთავაზობს: ბარის ტიპის მომსახურებას, სადაც წარმოდგენილია კოქტეილები, ადგილობრივი წარმოების პრემიუმ ხაზის ალკოჰოლური სასმელები; სწრაფი კვების ობიექტს, სადაც იყიდებაFood Box-ები ე.წ. Take away მომსახურებით და შესაძლებელია მგზავრმა გაფრენისას თან წაიღოს; აეროპორტების გაერთიანების ცნობით, ასევე, AIR FOOD-ის მომხმარებელს საშუალება აქვს, სხვადასხვა ტიპის სენდვიჩები, ჰოთდოგები და გამომცხვარი პროდუქტების ნაირსახეობა დააგემოვნოს“.



# შუამავლის შეჭმას მისი მოსმენა ჯობს!

## ძალაუფლების შეკავების ხელოვნება

## დიპლომატია და მისი განხორციელების მეთოდები

**დიპლომატია სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია, რომელიც მას, სხვა სახელმწიფოებთან მიმართებაში დასახული მიზნებისა და სტრატეგიების მშვიდობიანი გზით მოგვარების საშუალებას აძლევს. შესაბამისად, საერთაშორისო ხელშეკრულებები, შეთანხმებები, ალიანსები და საერთაშორისო ურთიერთობების სხვა გამოვლინებები, როგორც წესი, დიპლომატიური პროცესებისა და მოლაპარაკებების შედეგია.**



დიპლომატიის წარმოშობის ისტორიასთან დაკავშირებით, დიპლომატებს გვაქვს ასეთი ხუმრობა: დიპლომატია შეიქმნა მაშინ, როდესაც ადამიანები (დაპირისპირებული მხარეები) მიხვდნენ, რომ შუამავლის შეჭმას მისი მოსმენა სჯობს.

თავად ტერმინი დიპლომატია მომდინარეობს მე-18 საუკუნის ფრანგული ტერმინიდან diplomate („დიპლომატი), რომელიც ეფუძნება ძველბერძნულ სიტყვას „დიპლომა“, რომელიც, ორიგინალურად, „ორად დაკეცილ საგანს“ ნიშნავდა. კონვერტის გამოგონებამდე, დოკუმენტის დაკეცვა მისი შიგთავსის კონფიდენციალურობის დაცვას ემსახურებოდა.

მოგვიანებით, ეს ტერმინი ყველა ისეთ ოფიციალურ დოკუმენტთან მიმართებაში გამოიყენებოდა, რომლებიც მთავრობებს შორის შეთანხმებებს შეიცავდა და, შესაბამისად, საერთაშორისო ურთიერთობებთან იგივდებოდა. ერთი სიტყვით, დიპლომატი იყო პიროვნება, რომელიც ერთი მონარქის მიერ დაწერილ და ორად დაკეცილ დოკუმენტს ხელიდან ხელში გადასცემდა მეორე მონარქს.

საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი თანამედროვე ტიპის მოდელი (თავისი რეგიონალური და ფუნქციონალური დეპარტამენტებით), კარდინალმა რიშელიემ შექმნა, რომელიც 1624-1642 წლებში საფრანგეთის პრემიერ მინისტრის ფუნქციებს ასრულებდა. შემდგომ კი, საფრანგეთის რევოლუციურმა პერიოდმა და ნაპოლეონის ეპოქამ დამატებითი ბიძგი მისცა საგარეო საქმეთა ბიუროკრატიზაციას, რის შედეგადაც, 1825 წელს, ჩამოყალიბდა საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრუქტურის საბოლოო თანამედროვე მოდელი. სწორედ ამიტომ დიპლომატიური ტერმინების უმეტესობა ფრანგული წარმოშობისაა და ფრანგული ენის ცოდნა ფრიად სასურველი ნებისმიერი დიპლომატისთვის.

აშშ-ის მეორე პრეზიდენტის, ჯონ ადამსის აზრით, ამერიკის ელჩს, ქვეყნის საგარეო ინტერესების ოპტიმალურად განსახორციელებლად, შემდეგი თვისებები უნდა ჰქონოდა:

1. უნდა იცოდეს ზოგადი ისტორია - როგორც უძველესი, ისე თანამედროვე - კერძოდ საფრანგეთის, ინგლისის, ჰოლანდიისა და ამერიკის ისტორიები;

2. კარგად უნდა ერკვეოდეს ეთიკის პრინციპებში და ბუნებისა და სახელმწიფოების კანონებსა და კანონზომიერებებში;

3. უნდა იცოდეს რომაული - კონტინენტალური, ევროპის საჯარო სამართლისა და ინგლისისა და შეერთებული შტატების (ანგლო-საქსური) პრეცედენტული სამართლის კანონები და მათ შორის არსებული განსხვავება;

4. იცოდეს იმ დიადი ადამიანების წერილები, მემუარები და ისტორიები, რომლებიც განაგებდნენ სახელმწიფოთა და მსოფლიოს საქმეებს.

5. ელჩი უნდა იყოს ასაკოვანი, რომ ჰქონდეს განსჯის საუკეთესო უნარი, რომელიც მის საქმიან გამოცდილებას ეფუძნება;

6. უნდა იყოს აქტიური, ყურადღებიანი და შრომისმოყვარე

7. უნდა ჰქონდეს წრფელი გული და დამოუკიდებელი სულისკვეთება;

8. თავისი ქვეყნის ინტერესი თავისი ქცევის წესად უნდა აქციოს

დიპლომატიაში, როგორც სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი მოლაპარაკებების ხელოვნებაში, ისტორიული გამოცდილებით, მისი განხორციელების შემდეგი სახეები და მეთოდები გამოიკვეთა:

1. ძალისმიერი დიპლომატია - Coercive diplomacy

2. ზღურბლზე მიყვანის დიპლომატია - rinkmanship diplomacy

3. უკანა არხების დიპლომატია - ack channel diplomacy

4. შატლის დიპლომატია - Shuttle diplomacy

5. ეკონომიკური დიპლომატია - conomic diplomacy

6. საგანმანათლებლო დიპლომატია - Educational diplomacy

7. სპორტული დიპლომატია - Sport diplomacy

8. სახალხო დიპლომატია - Public diplomacy

9. კულტურული დიპლომატია - Cultural diplomacy

10. სამეცნიერო დიპლომატია - Science diplomacy

11. კიბერ დიპლომატია - Cyber diplomacy

12. ენერგეტიკული დიპლომატია - Energy Diplomacy

13. რეგიონალური დიპლომატია - Regional diplomacy

14. სამედიცინო დიპლომატია - Health diplomacy

### ძალისმიერი დიპლომატია - Coercive diplomacy

შეიძლება ითქვას, რომ დიპლომატიის განხორციელების ყველაზე ნაკლებად დიპლომატიური, თუმცა, ყველაზე მეტად ეფექტიანი მეთოდი „ძალისმიერი დიპლომატიაა. როგორც წესი მას დიდი სახელმწიფოები (იმპერიები) მიმართავენ, როდესაც დრო ცოტა აქვთ თავიანთი გადაუდებელი და სასწრაფო მიზნის მისაღწევად. ამის კარგი მაგალითია, 2001 წელს, ჯორჯ ბუშის უმცროსის მიერ პაკისტანის მთავრობის იძულება, რათა ამ უკანასკნელს ამერიკული ჯარები ავღანეთში შეეშვა პაკისტანის ტერიტორიის გამოყენებით.



11 სექტემბრის ტერორისტული აქტის განხორციელებით, ტერორისტული დაჯგუფების, ალ ქაედას ლიდერმა, ბინ ლადენმა, 3.000-მდე ამერიკის მოქალაქე მოკლა და ავღანეთში მიიმალა. ეს არნახული ტრაგედია და შეურაცხყოფა იყო ამერიკისთვის. შესაბამისად, ბუშმა გადაწყვიტა ავღანეთში ჯარები გაეგზავნა. და რადგან, ავღანეთი ხმელეთში ჩაკეტილი სახელმწიფოა, ყველაზე მოკლე გზა, იქ ამერიკული ჯარების შესაყვანად პაკისტანის გავლით იყო შესაძლებელი. ამიტომ, ბუშმა პაკისტანის პრეზიდენტ, მუშარაფს, ასეთი პირობა დაუყენა: ან აიღებთ ფულს და ჩემს ჯარებს ავღანეთისკენ გაატარებთ, ან ჯერ თქვენ გადაგივლით და მერე შევალ ავღანეთში. პაკისტანი უმალ დათანხმდა და უკვე, 7 ოქტომბერს, ამერიკამ ავღანეთში სამხედრო ოპერაცია (Enduring peace) დაიწყო. ძალისმიერმა დიპლომატიამ წარმატებით იმუშავა.

### ზღურბლზე მიყვანის დიპლომატია - Brinkmanship diplomacy



შეიძლება ითქვას, რომ ზღურბლზე მიყვანის დიპლომატია ძალისმიერი დიპლომატიის გამოყენებისას იჩენს ხოლმე თავს, იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი მხარე იწყებს ძალისმიერი დიპლომატიის გამოყენებას და მეორე მხარე არ ნებდება მას და საპირისპირო ადეკვატური ძალის გამოყენებით ემუქრება მოწინააღმდეგეს.

ეს ისეთი საგარეო პოლიტიკური პრაქტიკაა, რომლის დროსაც ორივე მხარეს, მათ შორის წარმოქმნილი კონფლიქტი, კონფრონტაციის ზღურბლამდე მიჰყავთ, რათა აგრესიული მოლაპარაკებების შედეგად მომგებიანი პოზიცია მოიპოვონ. იგი ხასიათდება აგრესიული რისკების აღებით, რაც ორივე მხარეს პოტენციური კატასტროფის (გარდაუვალი შეჯახების) წინაშე აყენებს, როდესაც ორივე მხარე თანაბრად ზარალდება (collateral damage).

უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ზღურბლზე დადგომის ამგვარი პრაქტიკა კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟიდან არსებობდა, თავად მისი აღმნიშვნელი ტერმინი - „ზღურბლზე მიყვანის დიპლომატია“ (Brinkmanship diplomacy) აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა, ჯონ ფოსტერ დალესმა მოიგონა, რომელიც, 1956 წელს, ჟურნალ Life-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ამტკიცებდა, რომ „უნარი - დაპირისპირების ზღურბლზე ისე მიხვიდე, რომ ის ომში არ გადაიზარდოს - დიპლომატიის აუცილებელი ხელოვნებაა... თუ ზღურბლზე დადგომის გეშინია, მაშინ წაგებული ხარ,“ წერდა დალესი. ამის საპასუხოდ, ამერიკელმა პოლიტიკოსმა და დიპლომატმა, ადლაი სტივენსონმა (Adlai Stevenson) დალესს დასცინა და მის ზღურბლზე დადგომის დიპლომატიურ მეთოდს უგუნური საქციელი უწოდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტერმინი არაერთხელ გამოიყენებოდა ცივი ომის პერიოდში, რომელიც შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებული უაღრესად დაძაბული ურთიერთობებით ხასიათდებოდა.

ზღურბლზე დგომის დიპლომატიის საუკეთესო მაგალითი იყო, 1962 წელს, საბჭოთა კავშირის მცდელობა, კუბაზე, ფარულად განეთავსებინა ბირთვული რაკეტები, რასაც შეერთებული შტატების ადექვატური საპასუხო რეაქცია მოჰყვა, რამაც აშშ და საბჭოთა კავშირი კინაღამ ბირთვულ ომამდე მიიყვანა. პრეზიდენტ კენედის ბრძანებით, ამერიკის ატომური ბომბებით დატვირთული სამხედრო თვითმფრინავები, რამდენიმე დღის მანძილზე, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვრების პერიმეტრზე დაფრინავდნენ, რის შედეგადაც, შეშინებულმა ხრუშჩოვმა ატომური რაკეტებით დატვირთული ატლანტიკის ოკეანეში მყოფი კუბაზე მიმავალი საბჭოთა გემები შუა გზიდან მოატრიალა და უკან დააბრუნა. ზღურბლამდე მიყვანის დიპლომატიის ეს დუელი აშშ-ის გამარჯვებით დამთავრდა.

### უკანა არხების დიპლომატია. ჰენრი კისინჯერი, დიპლომატიის „მარკო პოლო.“ – Backchannel diplomacy

უკანა არხის დიპლომატია მის მონაწილეებს საშუალებას აძლევს, მომწიფებული და, შესაბამისად, გადაუდებელი სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, საიდუმლო დიალოგი გამართონ უცხო ქვეყნების იმ პირებთან, რომლებთანაც ღიად საუბარი იმ ეტაპზე მიზანშეწონილი არ არის. ამის კლასიკური მაგალითია ჰენრი კისინჯერის მიერ 1971 წლის ივლისში ჩინეთში განხორციელებული საიდუმლო ვიზიტი და იქ გამართული ფარული მოლაპარაკებები.

იმ ეტაპზე, შეერთებული შტატები ჩინეთის კომუნისტურ სახელმწიფოს არ აღიარებდა, რადგან ამერიკის მოსახლეობის უმრავლესობა, კორეის ომის შედეგებიდან გამომდინარე, მაო ძედუნის მიერ შექმნილ ტოტალიტარული რეჟიმს ამერიკის მტრად განიხილავდა. თუმცა, რიჩარდ ნიქსონმა, რომელიც გაბედული სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების უნარით გამოირჩეოდა, ჩათვალა, რომ დრო იყო ამერიკას ჩინეთთან სახელწიფო, დიპლომატიური ურთიერთობები დაემყარებინა. ამისათვის კი საჭირო იყო დიპლომატიური საფუძვლის მომზადება, რაც ჩინეთში ჩასვლის გარეშე ვერ მოხერხდებოდა. გარღვევა მოხდა 1971 წლის აპრილში, როდესაც, ჩინეთის პრემიერ მინისტრმა და საგარეო საქმეთა ფაქტიურმა მინისტრმა, ჟოუ ენლაიმ, ამერიკელებს ფარული გზავნილი მიაწოდა, რომელშიც ეწერა: „ჩინეთის მთავრობა კიდევ ერთხელ ადასტურებს მზადყოფნას, საჯაროდ მიიღოს პეკინში აშშ-ის სპეციალური წარმომადგენელი (მაგალითად, ბატონი კისინჯერი).“

კისინჯერმა ნიქსონისგან ჩინეთში გამგზავრების დავალება მიიღო. უკანა არხის ეს დიპლომატიური მისია იმგვარ, სრულიად საიდუმლო, ვითარებაში ხორციელდებოდა, რომ თვით სახელმწიფო დეპარტამენტის დიპლომატებიც კი არ ჩააყენეს საქმის კურსში. კისინჯერის ჩინეთში შესვლის ამბავი არავის არ უნდა გაეგო. ამის უზრუნველყოფა პაკისტანის პრეზიდენტმა, იაჰია ხანმა იკისრა, რომელმაც კისინჯერი მიიღო და მასთან გამართულ სადილზე კისინჯერის ჩინეთში შესვლის მისიას „ოპერაცია მარკო პოლო“ უწოდა.

კისინჯერი, პაკისტანის ავიახაზებით, პეკინში გადააფრინეს, საიდანაც მან ნიქსონს მაო ძედუნის მიერ მომზადებული „ნაყინი“ ჩამოუტანა, რომლის „გასინჯვის“ შედეგად ნიქსონმა კომუნისტურ ჩინეთთან სახელმწიფო ურთიერთობების დამყარების საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო, რაც, 1972 წელს, მისი პეკინში ვიზიტითა და, 1979 წელს, ამერიკა-ჩინეთის სახელმწიფოთა შორის დადებული ოფიციალური ხელშეკრულების გაფორმებით დასრულდა.

**(გაგრძელება იქნება)**



# ჰუსიტებმა მეკობრეობა დაიწყეს!



**ახლო აღმოსავლეთში დაძაბულობის ახალი კერა გაჩნდა: წითელ და არაბეთის ზღვებში, ჰუსიტებმა მეკობრეობა დაიწყეს. ჰუსიტები იემენის შიიტური სამხედრო დაჯგუფებაა. ისინი თავიანთ მოძრაობას ალლაჰის-დამცველებს უწოდებენ, არაბულად, ანსარ-ალლაჰ. ჰუსიტებს, ფულითა და სამხედრო აღჭურვილობით, ირანი ეხმარება, ზუსტად ისე, როგორც სხვა ცნობილ ისლამისტურ სამხედრო ძალებს, ჰამასსა და ჰეზბოლას.**

2014 წელს, ჰუსიტებმა იემენის კანონიერ ხელისუფლებასა და საუდის არაბეთს ომი გამოუცხადეს, რის შემდეგ, იემენი სამოქალაქო ომში ჩაეფლო. ქვეყანა დღემდე, ზონებადაა გაყოფილი. ნაწილს კანონიერი ხელისუფლება აკონტროლებს, ნაწილს ჰუსიტები. საუდის არაბეთი არ აღიარებს ჰუსიტებს და კანონიერ ხელისუფლებას ეხმარება, რის გამოც, მათ შორის კონფლიქტია. ჰუსიტები, ხშირად, დრონებით და რაკეტებით უტევენ საუდის-არაბეთს.

2019 წელს, მათ საუდის-არაბეთის ნავთობგადამმუშავებელ ქარხნებს შეუტიეს. საუდის-არაბეთი ყველაფერ ამაში ირანს ადანაშაულებს. ჰუსიტებმა ისრაელ-ჰამასის დაპირისპირებაშიც მოინდომეს წვლილის შეტანა. ისრაელის მიმართულებით, რამდენჯერმე გაუშვეს რაკეტები, თუმცა, დიდს ვერაფერს მიაღწიეს და ძალისხმევა სხვა მიმართულებით გადაიტანეს, მეკობრეობა დაიწყეს.

19 ნოემბერს, ჰუსიტებმა წითელ ზღვაში კონტეინერებით დატვირთული დიდი გემი გაიტაცეს, რომელიც ბაჰამის დროშის ქვეშ ცურავდა. ჰუსიტების თქმით, გემი ისრაელელ ბიზნესმენს ეკუთვნის. 26 ნოემბერს, ჰუსიტებმა სატვირთო გემი Central-Park გაიტაცეს, მაგრამ გემის ეკიპაჟმა ხსნის სიგნალის გაშვება მოასწრო, რომელიც იქვე მცურავმა ამერიკულმა გამანადგურებელმა SSS-Mason-მა მიიღო, საშველად მოვიდა და შეიარაღებულ გამტაცებლებს ტანკერის გაშვება მოსთხოვა. მოთხოვნის შემდეგ, მეკობრეებმა გემი დატოვეს და ნავით გაქცევა სცადეს, თუმცა, მათ ამერიკული ხომალდი აედევნა, და გამტაცებლები დააპატიმრეს.

მომხდარის გამო, ბევრმა ქვეყანამ გამოთქვა შეშფოთება, რადგან რეგიონის წყლებზე ნავთობისა და სხვა ტვირთების მსოფლიო გადაზიდვების ერთ-ერთი მთავარი მაგისტრალი გადის. ამერიკამ რეგიონში დამატებითი სამხედრო ხომალდები გაგზავნა. დასავლეთი ხმამაღლა ამბობს, რომ ჰუსიტების გააქტიურებაში დიდი წვლილი ირანს მიუძღვის.

ირანი ბრალდებას უარყოფს, მაგრამ ფაქტები სულ სხვა რამეზე მეტყველებს. ჰუსიტების გარდა, რეგიონში სხვა პრო-ირანული ძალებიც გააქტიურდა. ისრაელ-ჰამასის დაპირისპირების დაწყებიდან დღემდე, ამ დაჯგუფებებმა, სირიასა და ერაყში განთავსებულ ამერიკულ სამხედრო ბაზებზე 61 სარაკეტო შეტევა განახორციელეს.

არავინ დაშავებულა, მაგრამ დარტყმები ამერიკის სამხედრო ძალებისთვის დიდი გამოწვევა იყო. საპასუხოდ, ამერიკელებმა სირიასა და ერაყში ამ დაჯგუფებების სამხედრო ობიექტები დაბომბეს.

რესპუბლიკელი სენატორები პრეზიდენტისგან პრობლემაზე მყისიერ რეაგირებას ითხოვენ, მაგრამ ბაიდენის ადმინისტრაცია ჯერ-ჯერობით გაფრთხილებებითა და რაკეტების მოგერიებით იფარგლება, შიშობენ რა, რომ პენტაგონისგან ხისტი სამხედრო პასუხი უფრო მეტად დაძაბავს მდგომარეობას რეგიონში. დაძაბვა კი, ხელს არ აძლევს ბაიდენის ადმინისტრაციას.

დაძაბულობა მხოლოდ რუსეთისა და ჩინეთის წისქვილზე თუ მიუშვებს წყალს, რადგან ვითარების გართულება ამერიკის ყურადღებას უკრაინისა და ტაივანის მიმართ მოადუნებს. ამერიკელი ექსპერტების აზრით, ასე თუ გაგრძელდა, ესკალაცია უეჭველად მოხდება. ეს, უბრალოდ, დროის ფაქტორია. პენტაგონიც აღიარებს, რომ რეგიონში დაძაბულობა მატულობს და მისი განეიტრალების გზებს ამერიკა, ჯერ-ჯერობით, ვერ ხედავს.

ბაიდენი არ ამწვავებს მდგომარეობას, რადგან ერაყსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში სამხედრო ბაზების შენარჩუნება სურს. თუ რეგიონში მდგომარეობა გამწვავდა, ამერიკას, ალბათ, მოუწევს ბაზების დათმობა. წინასწარმეტყველება კი, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

# ჰოლანდიელი ტრამპი 60 წლის უილდერსია

**ჰოლანდიაში სენსაცია მოხდა: საპარლამენტო არჩევნებში, პირველად ჰოლანდიის ისტორიაში, ულტრა-მემარჯვენე პოლიტიკურმა ძალამ გაიმარჯვა, თუმცა, ვერც იმდენი ხმა დააგროვა, რომ დამოუკიდებლად მართოს ქვეყანა. პირველ ადგილზე გასულ „თავისუფლების პარტიას“ კოალიციის შექმნა მოუწევს. ჰოლანდიის მომავალი პრემიერ-მინისტრი, ალბათ, პარტიის ლიდერი, გიირტ-უილდერსი გახდება. ეს კი, ამბობენ, მართლაც რომ სენსაცია იქნებაო.**



60-წლის უილდერსი ახალი სახე არ არის ნიდერლანდების პოლიტიკაში. 1998 წლიდან პარლამენტის წევრია. 2006 წლამდე, ყოფილი პრემიერ-მინისტრის მარკ-რიუტეს პარტიის წევრი იყო, რომელიც დატოვა და ეს ულტრა-მემარჯვენე პარტია დააფუძნა. ის ცნობილი ორატორია. ვის არ გაუგონია მისი ცეცხლოვანი გამოსვლები პარლამენტში, თუმცა, სწორედ ასეთი გამოსვლებით ეხვევა ხოლმე სკანდალებში. არ ერიდება ხისტ შეფასებებსა და არა-პოლიტკორექტულ გამოთქმებს, აკრიტიკებს ჰოლანდიის ისლამიზაციას და ქვეყანაში მიგრანტების მოზღვავებას. თმის ფერისა და ვარცხნილობის გამო, ჰოლანდიის ტრამპს ეძახიან.

ექსპერტებს არც გაკვირვებიათ გერტ-ვილდერსის გამარჯვება. დასავლეთში, ამ ბოლო დროს, ულტრა-მემარჯვენე პარტიების აღზევება შეიმჩნევა. ჯერ, ყველგან არ მოსულან სათავეში, მაგრამ ევროპის ქვეყნების პარლამენტებში, უკვე, დიდ ძალას წარმოადგენენ. მაგალითად, გერმანელი ულტრა-მემარჯვენეები, „ალტერნატივა გერმანიისთვის“ რეიტინგებში მეორე ადგილზე არიან. ზოგან, უკვე, მართავენ კიდეც ქვეყანას, მაგალითად იტალიაში. ულტრა-მემარჯვენეების აღზევების მთავარი მიზეზი მიგრანტთა გამო ევროპის მოსახლეობის უკმაყოფილებაა. ლიბერალური ბრიუსელი, ადამიანის უფლებების დაცვის მოტივით, მიგრანტებს ფართოდ უღებს კარს. ამ დროს, მიგრანტების დაცვით ევროპელთა უფლებები ილახება. ევროპაში შესულ მიგრანტთა უმრავლესობა აფრიკიდან და ახლო-აღმოსავლეთიდანაა, რომლებიც კატეგორიულად არ იზიარებენ ევროპულ ფასეულობებს. უბრალოდ, მათ სამშობლოში სიდუხჭირეა და ევროპაში ამიტომ გამორბიან, მაგრამ ევროპას თავშეფარებულნი, პატივს არ სცემენ ევროპული ცხოვრების წესსა და ტრადიციებს. ისრაელის მოვლენებმა მასიური ანტისემიტური ტალღა გამოიწვია ევროპაში, რომლის სულის ჩამდგმელნი ახლო აღმოსავლელი ემიგრანტები არიან. ევროპის პოლიტიკური მეინსტრიმი კი, მტკიცედ დუმს ამ თემასთან დაკავშირებით. ვინმე თუ იღებს ხმას, ისევ ულტრა-მემერჯვენეები. სწორედ, ეს გარემობა განსაზღვრავს მოსახლეობის მიერ მათ ასეთ უპირობო მხარდაჭერას!



# სომხეთი ძალიან სუსტია იმისთვის, რომ რუსეთთან ხიდები დაწვას!

**სომხურ-აზერბაიჯანული დაძაბულობა არა და არ ცხრება. სამშვიდობო მოლაპარაკებები ჩიხშია და როდის განახლდება, არავინ უწყის. განახლებას ვინ ჩივის, სალაპარაკო ადგილზეც კი ვერ თანხმდებიან. აზერბაიჯანს თურქეთში უნდა სომხეთთან შეხვედრა. სომხეთს არა. მოდავე მხარეებს მთელი მსოფლიო სთავაზობს მასპინძლობას, მათ შორის, მოსკოვი, ამერიკა, ევროპა, საქართველო, მაგრამ არ იქნა და არ მოხდა შეთანხმება. შეხვედრის ადგილზეა საუბარი, მეტზე კი არაფერზე! სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის მოგვარებაზე ბევრი ქვეყანა წუხს. ერთმანეთს ხვდებიან, საუბრობენ თემაზე და გამოსავალს ეძებენ. საკითხთან დაკავშირებით, ამერიკის სახელმწიფო მდივანი პირადად შეხვდა სომხეთის ლიდერს. ენტონი ბლინკენმა არაერთი სატელეფონო საუბარი გამართა აზერბაიჯანის მეთაურთანაც.**

სომხეთი საკმაოდ შესამჩნევად და გამომწვევად ცდილობს, დასავლეთს დაუახლოვდეს და რუსეთს ჩამოშორდეს. ფაშინიანის მთავრობა, თითქმის, ყოველდღიურ დემარშებს მიმართავს რუსეთის წინააღმდეგ. საუბარია უკრაინასთან ფუსფუსზე, რომის სტატუტის აღიარებაზე, რუსეთის პოლიტიკოსების მიმართ მწვავე კრიტიკაზე, ოდეკაბეს სამხედრო წვრთნებში არმონაწილეობაზე და სხვა. ფაშინიანი 23-ნოემბერს ბელორუსიაში გამართულ ოდეკაბეს შეხვედრაზეც არ ჩავიდა, რამაც ძალიან გააღიზიანა ლუკაშენკო. მისი გამოსვლის პათოსი მთლიანად ოდეკაბეს ერთიანობის შენარჩუნებას მიეძღვნა. მწვავედ გააკრიტიკა ფაშინიანი, თითქმის, ღალატში დაადანაშაულა და მუქარის ტონში მოუწოდა, რომ დემარშებზე უარი თქვას. ერთი რამ კი, ნამდვილად უცნაურია: პუტინისგან არ ისმის რაიმე კრიტიკული სომხეთის მიმართ. მხოლოდ სინანული გამოთქვა სომხეთის ბოლოდროინდელ ქცევებზე. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ლუკაშენკოს დაავალა სომხეთის ჭკუაზე მოყვანა. რუსეთის პრეზიდენტის პრეს-მდივანმაც თავი შეიკავა მწვავე კრიტიკისგან, მაგრამ, ირიბად, მაინც დაემუქრა სომხეთის პრემიერს, განაცხადა რა, რომ ფაშინიანი თავისუფალი კაცია და თავად გადაწყვეტს, დაესწრება თუ არა შესაბამის შეხვედრებს, მაგრამ, ამავდროულად, ხაზი გაუსვა, რომ ფაშინიანი სომხეთს ვერ დააშორებს რუსეთს და არც რუსეთი მიატოვებს ძველ პარტნიორს. თავად ფაშინიანმა პესკოვის განცხადებაზე ბუნდოვანი კომენტარი გააკეთა, განაცხადა რა, რომ სომხეთი სამომავლოდ მხოლოდ თავის ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედებს. რას ნიშნავს ეს და რა მომავალი გეგმები აქვს სომხეთის მთავრობას, ფაშინიანმა ამაზე არაფერი არ თქვა.

**ექსპერტების აზრით, ფაშინიანს კი უნდა, რომ სომხეთმა რუსული ვექტორი დასავლეთის ვექტორით შეცვალოს, მაგრამ სომხეთი, ჯერ-ჯერობით, ძალიან სუსტია იმისთვის, რომ რუსეთთან ხიდები დაწვას.** ოდეკაბეს შეხვედრებს არ ესწრება, მაგრამ არც ოდეკაბედან გამოსვლის განცხადებას არ აკეთებს. ფაშინიანი, ახლა, ცდილობს რუსეთის გაღიზიანების გარეშე დაუახლოვდეს დასავლეთს, მაგრამ ძნელი სათქმელია, გამოუვა თუ არა ეს ეშმაკობა. ალბათ, უფრო არა, ვიდრე კი! სომხეთის პრემიერს, რაღაც, არაჩვეულებრივი აკრობატულ-პოლიტიკური ილეთი დასჭირდება, ეს რომ მოახერხოს. რუსეთი, ჯერ-ჯერობით, მშვიდად რეაგირებს ფაშინაინის დასავლურ ვოიაჟებზე და მხოლოდ იშვიათად იყენებს ეკონომიკურ ბერკეტებს სომხეთის მიმართ. დიდი-დიდი, შეაყოვნოს ხოლმე სომხური პროდუქციის რუსეთში შეტანა და სხვ. სომხეთი კი მართლა გააქტიურდა დასავლეთში. ფაშინიანი ამერიკისა და საფრანგეთის სომხური დიასპორების გამოყენებას ცდილობს.

ამერიკამ და საფრანგეთმა სომხეთისთვის სამხედრო დახმარების სურვილი გამოთქვა. საფრანგეთმა და სომხეთმა ოფიციალურ ხელშეკრულებასაც მოაწერა ხელი, რომლის მიხედვით, საფრანგეთი მატერიალურ, სამხედრო და და საკადრო დახმარებას გაუწევს სომხეთის არმიას. უკვე, გაუგზავნა 20 ერთეული ჯავშან-მანქანა „ბასტიონი“. სომხეთი საფრანგეთისგან რადარებსა და მისტრალის რაკეტებსაც მიიღებს. სომხეთის მილიტარიზაციის მიმართ მწვავე კრიტიკა გამოთქვა ჰეიდარ ალიევმა, ხაზი გაუსვა რა, რომ საფრანგეთი ასეთი ნაბიჯებით ჩამქრალი კონფლიქტის თავიდან გაღვივებას უწყობს ხელს. ის სხვა ქვეყნებსაც დაემუქრა, ვინც სომხეთს იარაღს მიაწვდის. მისი თქმით, აზერბაიჯანი მშვიდად ვერ შეხედავს სომხეთის მილიტარიზაციას და შეტევაზე გადავა. ფაშინაინს მშვიდობა თუ უნდა, სამშვიდობო ხელშეკრულებას მოაწეროს ხელიო, განაცხადა ალიევმა. აზერბაიჯანის მუქარაზე ფაშინიანმა თქვა, რომ სომხეთს არ უნდა ომის დაწყება. ის არმიის მოდერნიზირებას ცდილობს მხოლოდ, თუმცა, არა აგრესიისთვის. მას უნდა, რომ სომხეთს შვეიცარიისნაირი არმია ჰყავდეს, პატარა, მაგრამ ძლიერი, რომ თავი დაიცვას. ნათქვამი კი, იმით გაამართლა, რომ დასავლეთი ჯერ არ არის მზად სომხეთისთვის სუვერენიტეტის გარანტიების მისცემად.



**ნუგზარ ბ. რუხაძე**
POSTV

# „ჰამასელთა“ გვირაბები წყლით ამოივსება



**„ისრაელმა დაამონტაჟა სატუმბი სისტემა, რათა დატბოროს გვირაბები, რომლებსაც ღაზის სექტორში „ჰამასის“ წევრები იყენებენ.**

ისრაელი ამ გზით შეეცდება, მებრძოლებს გვირაბებიდან გამოსვლა აიძულოს. „უოლ სთრით ჯორნალის“ ცნობით, ისრაელის არმიამ, სულ მცირე, ხუთი სატუმბი დაამონტაჟა იძულებით გადაადგილებული პირების ბანაკის, აშ-შატის ჩრდილოეთით. გამოცემის ინფორმაციით, ათასი კუბური მეტრი წყლის გვირაბებში გაშვების შემთხვევაში, მთელი ქსელის დატბორვა რამდენიმე კვირაში იქნება შესაძლებელი. ამასთან, „როიტერის“ ცნობით, ისრაელის არმიამ „უოლ სთრით ჯორნალის“ სტატიაში მოყვანილი გეგმის დეტალებთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთებაზე უარი განაცხადა, თუმცა ისრაელელმა სამხედროებმა აღნიშნეს, რომ „ისრაელის არმია მუშაობს, რათა გაანადგუროს „ჰამასის“ ტერორისტული პოტენციალი და ამისთვის სხვადასხვა სამხედრო თუ ტექნოლოგიურ საშუალებებს იყენებს“.

# ერდოღანი: ღაზაში ისრაელის მიერ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები უპასუხოდ არ უნდა დარჩეს



**თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი აცხადებს, რომ ღაზაში ისრაელის მიერ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები უპასუხოდ არ უნდა დარჩეს,** – ამის შესახებ ერდოღანმა კატარში ვიზიტისას განაცხადა.

**„თურქეთის პრიორიტეტია, რომ უზრუნველყოს მუდმივი ცეცხლის შეწყვეტა და ჰუმანიტარული დახმარების შეუფერხებლად მიწოდება ღაზაში. ნეთანიაჰუ საფრთხის ქვეშ აყენებს რეგიონის უსაფრთხოებასა და მომავალს, რომ გაახანგრძლივოს თავისი პოლიტიკური ცხოვრება“,** – აცხადებს თურქეთის პრეზიდენტი.

# დროა, „ჰამასის“ სისასტიკეზეც ალაპარაკდეთ



**ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ უფლებადამცველ ორგანიზაციებს, ქალთა ორგანიზაციებსა და გაეროს აკრიტიკებს და ა, რომ აღნიშნული ორგანიზაციები ხმამაღლა არ საუბრობენ „ჰამასის“ მიერ ისრაელელი ქალების მიმართ ჩადენილი გაუპატიურებებისა და სხვა სისასტიკეების შესახებ.**

თელ ავივში გამართულ პრესკონფერენციაზე საუბრისას, პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ის შეხვდა გათავისუფლებულ მძევლებს და მძევლად მყოფთა ნათესავებს: **„მე მოვისმინე ძალადობის გულის ამაჩუყებელი ისტორიები“, თუმცა, როგორც ნეთანიაჰუ ამბობს, მას არ გაუგია ქალთა და უფლებადამცველი ჯგუფების შეშფოთება ამის თაობაზე.**

**„მე მივმართავ ქალთა უფლებების დამცველ ორგანიზაციებს, უფლებადამცველ ორგანიზაციებს, გსმენიათ ისრაელელი ქალების გაუპატიურების, მათ მიმართ საშინელი სისასტიკისა და სექსუალური დასახიჩრების შესახებ? სად ჯანდაბაში ხართ? მე ველოდები, რომ ყველა ცივილიზებული ლიდერი, მთავრობა, ერი ილაპარაკებს ამ სისასტიკის წინააღმდეგ“,** – განაცხადა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა.

# ტრამპს გამარჯვების უფლება არ უნდა მივცეთ



**აშშ-ის პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის განცხადებით, ტრამპი 2024 წლის არჩევნებში კენჭს რომ არ იყრიდეს, არაა დარწმუნებული, რომ არჩევნებში მიიღებდა მონაწილეობას,** – ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა ბოსტონში საარჩევნო კამპანიის დამფინანსებლებთან შეხვედრაზე განაცხადა. ბაიდენის შეხვედრაზე გადაღება და ჩაწერა აკრძალული იყო, თუმცა პრეზიდენტის ეს კომენტარი მასთან მყოფმა ჟურნალისტებმა გაავრცელეს.

„სიბიესთან“ საუბრისას პრეზიდენტის მრჩეველმა განმარტა, რომ ბაიდენის განცხადება იმ „ნარატივის“ გაგრძელებაა, რომლის მიხედვითაც, 2024 წლის არჩევნებზე ფსონზე დემოკრატია დევს. დონალდ ტრამპი რესპუბლიკური პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის ფავორიტია და შიდა პარტიული არჩევნები დღეს რომ გამართულიყო, პრეზიდენტობის კანდიდატად დონალდ ტრამპის დასახელებას დელეგატების 61%-ი დაუჭერდა მხარს. ამასთან, ნოემბერში ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული კვლევის მიხედვით, დონალდ ტრამპი ჯო ბაიდენს სამი პროცენტით უსწრებს.

# რაში სჭირდება მოსკოვს „საკავშირო სახელმწიფოში“ აფხაზეთი, რომელიც რუსეთის შემადგენლობაში შესასვლელად იღვწის?



**რის საფუძველზე უნდა განიხილავდეს მოსკოვი აფხაზეთს თანასწორ პარტნიორად, თუ სოხუმს თავად ინახავს და მის უსაფრთხოებასაც თავად უზრუნველყოფს?! ან რა სარგებელს მიიღებს რუსეთი „საკავშირო სახელმწიფოში“ აფხაზეთის შეყვანით? – ფაქტობრივად ხომ აფხაზეთი სრულადაა დამოკიდებული რუსეთის ფედერაციაზე და უკვე გაცილებით ღრმადაა ინტეგრირებული მასში, ვიდრე მინსკი.**

**2022 წელს უკრაინაში ომის გაჩაღების შემდეგ მოსკოვის პოლიტიკის საბოლოო მიზანი მსოფლიოსთვის სრულიად გამჭვირვალე გახდა: რუსეთი თავისი საზღვრების პერიმეტრზე ყველას და ყველაფრის ინკორპორირებას ეცდება, სანამ არ შეეჩეხება დაუძლეველ წინაღობას თანაწონადი სამხედრო და პოლიტიკური ძალის სახით. უკრაინის ომის პარალელურად რუსეთის პოლიტიკამ უფრო კონკრეტული კონტურები შეიძინა აფხაზეთთან დაკავშირებით. შეიძლება, ითქვას, რომ რუსეთმა ომი აქაც გააჩაღა, ოღონდ ჯერჯერობით – უიარაღოდ! ყველას ესმის, რომ სოხუმის იძულება, მიიღოს მთელი რიგი კანონები, მათ შორის – ე.წ. აპარტამენტების შესახებ, ისევე, როგორც სტრატეგიული ეკონომიკური აქტივების ხელში ჩაგდება მხოლოდ ფორმით განსხვავდება 2008 წელს საქართველოს „მშვიდობისთვის იძულების ოპერაციისა“ და უკრაინის ამჟამინდელი „დენაციფიკაციის სპეციალური სამხედრო ოპერაციისგან“.**

რუსეთის ექსპანსიური ზრახვებისთვის ფარდის საბოლოოდ ახდის მიუხედავად, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება სულ უფრო ხშირად ახსენებს „რუსეთ-ბელარუსის საკავშირო სახელმწიფოში“ გაწევრებას. სოხუმელი მმართველების მტკიცებით, მასში წევრობა საერთაშორისო არენაზე ნაწილობივ აღიარებული რესპუბლიკის სტატუსს გაამყარებდა, კიდევ უფრო საიმედოდ უზრუნველყოფდა მის უსაფრთხოებას და ამასთანავე, აფხაზეთს რუსეთისგან მეტი პრეფერენციებისა და დოტაციების მიღების შესაძლებლობას მოუტანდა. ამასთან, ისინი ჯიუტად დუმან კრემლის ამ პროექტის ყველა მინუსის თაობაზე. მოსკოვთან ურთიერთობების გაფუჭების შიშით მაინცდამაინც აქიურად ამ ინიციატივას არც აფხაზური ოპოზიცია აპროტესტებს. თავშეკავებული შეშფოთება მხოლოდ ადგილობრივი ჟურნალისტების, არასამთავრობო სექტორისა და საზოგადო მოღვაწეებისგან ისმის.

მაგრამ მთავარი აქ არა დებეტსა და კრედიტს შორის ბალანსის სკურპულოზური თვლაა, არამედ გაცილებით უფრო გლობალური საკითხი: რატომ არ მოახდინა კრემლმა და უპირველესად ვლადიმირ პუტინმა ამ დრომდე რეაგირება სოხუმის ამ „დაჟინებულ თხოვნაზე“?

აქ, უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ „საკავშირო სახელმწიფოში“ ახალი წევრის მისაღებად აუცილებელია საკითხის ფორმალური მხარის მოგვარება, კერძოდ, მისი აღიარებულობის მიღწევა არა მარტო რუსეთის, არამედ ბელარუსის მხრიდანაც, მინსკი კი აფხაზეთის დამოუკიდებლობას არ აღიარებს, რაც თავისთავად ამ იდეას განუხორციელებელს ხდის!

შეგახსენებთ: ლუკაშენკო თანმიმდევრულად იკავებს თავს მსგავსი ნაბიჯისგან 2008 წლიდან, როცა რუსეთმა ცალმხრივად, საერთაშორისო სამართლის დარღვევით აღიარა სოხუმისა და ცხინვალის „დამოუკიდებლობა“. ერთ-ერთ ინტერვიუში თავისი მოტივაციის განმარტებისას მან განაცხადა, რომ მოსკოვმა უარი განუცხადა მინსკს იმ ზარალის ანაზღაურებაზე, რომელიც მას საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით ამ ტერიტორიების აღიარების შემთხვევაში ელოდა. მას შემდეგ საერთაშორისო ვითარება მხოლოდ დამძიმდა: ამ დროისთვის რუსეთი მსოფლიო რეკორდსმენია მისთვის დაკისრებული სანქციების რაოდენობით და ამმხრივ ირანსა და ჩრდილოეთ კორეასაც კი გადაუსწრო. ასე, რომ არსობრივად, ლუკაშენკო არაა მოტივირებული, ამ საკითხში პოზიცია შეიცვალოს. მით უფრო, რომ მსგავსი „სამთა კავშირი“, უპირველესად, დააქვეითებდა თავად ლუკშენკოსა და ბელარუსის სტატუსს სოხუმის დონემდე.

გარდა ამისა, არსებულ 1+1 ფორმატში მინსკისთვის გაცილებით ადვილია, მოსკოვთან საკუთარი ინტერესების ლობირების საკითხები გადაჭრას, ვიდრე ფორმატის კიდევ ერთი, იმ ახალი წევრით გაფართოების შემთხვევაში, რომელიც ასევე იქნებოდა მოწადინებული, რუსეთისგან შეღავათები მიიღოს: ეს მინსკს ექსკლუზიურ წვდომას წაართმევდა რუსულ რესურსებზე, რომლებიც ისედაც დაპირებულზე ბევრად მწირია. ზღაპრები ბელარუსისთვის მომზადებული „ოქროს მდინარეების“ შესახებ კრემლის მორიგი ფეიქი აღმოჩნდა. რეალურად, მსოფლიო ბანკის 2021 წლის ანგარიშის თანახმად, ბელარუსი რუსეთის უმსხვილეს მოვალეს წარმოადგენდა, 2022-ის ბოლოსთვის კი მოსკოვის წინაშე ჯამური \$26,54 მლრდიანი ვალი 38 ქვეყანას ჰქონდა და მათგან ბელარუსზე ლამის \$8,5 მლრდ მოდიოდა. ამასთანავე, რუსეთის პირდაპირი დახმარება აფხაზური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის დაახლოებით 40%-ს შეადგენს, მისით იფარება ყველა სოციალური ვალდებულება, ხელფასები და მრავალი სხვა, მაშინ, როცა ბელარუსს ფულს არავინ ჩუქნის და მოსკოვი სკურპულოზურად უბიძგებს მინსკს ვალების ხაფანგისკენ. ასე, რომ თუკი აფხაზეთში მართლაც აქვთ „საკავშირო სახელმწიფოში“ გაწევრების შემთხვევაში მოსკოვის ხარჯზე გამდიდრების იმედი, მაშინ ეს ძალზე მნიშვნელოვანი ნიუანსები უნდა გაითვალისწინონ.

**აქედან გამომდინარე, ძნელი წარმოსადგენია ვითარება, რომ კრემლი ბელარუსს აფხაზეთის აღიარებას აძალებდეს, ლუკაშენკო კი პუტინს უარს ეუბნებოდეს. ეს კი მხოლოდ ერთს ნიშნავს: პუტინი რაღაც მიზეზით არაა დაინტერესებული არც მინსკის მიერ სოხუმის აღიარებით, არც მით უფრო აფხაზეთის „საკავშირო სახელმწიფოში“ მიღებით. ეს, სავარაუდოდ, იმით შეიძლება, იყოს განპირობებული, რომ ბოლო წლებში მოსკოვი კმაყოფილია საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკით და დაძაბულობის ახალი ეტაპის დაწყებას არ ისურვებდა. თუმცა არსებობს სხვა ვერსიაც: პუტინს აფხაზეთის ანექსიის კონკრეტული გეგმა გააჩნია. ამ უკანასკნელის სასარგებლოდ მეტყველებს როგორც უკრაინის დაყოფისა და ტერიტორიების შთანთქმის მიზნით წამოწყებული ომი, ისე რუსეთის შიდა პრობლემებიც: რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში 7 ეროვნული ავტონომიური რესპუბლიკაა, რომელიც თავისი სტატუსით საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის ანალოგიურია. ჩეჩნეთის მაგალითზე პუტინმა ნათლად მოახდინა იმის დემონსტრირება, როგორ აგვარებს სეპარატიზმის პრობლემებს. ამ ფონზე კავკასიაში სეპარატიზმის წარმატებული მაგალითის დატოვება რუსეთის მიერ საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის საძირკველში ბომბის ჩადების ტოლფასი იქნებოდა.**

და საერთოდაც, რის საფუძველზე უნდა განიხილავდეს მოსკოვი აფხაზეთს თანასწორ პარტნიორად, თუ სოხუმს თავად ინახავს და მის უსაფრთხებასაც თავად უზრუნველყოფს?! ან რა სარგებელს მიიღებს რუსეთი „საკავშირო სახელმწიფოში“ აფხაზეთის შეყვანით? - ფაქტობრივად ხომ აფხაზეთი სრულადაა დამოკიდებული რუსეთის ფედერაციაზე და უკვე გაცილებით ღრმადაა ინტეგრირებული მასში, ვიდრე მინსკი: მთელი მისი საფინანსო სისტემა მიბმულია რუსულ ცენტრალურ ბანკს; საგადახდო ერთეული რუსული რუბლია; „არმია“ პრაქტიკულად დათხოვნილია და მის ფუნქციას რუსულ სარდლობას დაქვემდებარებული რუსული ჯარები ასრულებენ; განათლების სისტემა ასევე რუსულია; მოსახლეობის უმრავლესობას ჯიბეში რუსული პასპორტი აქვს; პენსიები, ხელფასები და სოციალური დახმარებები რუსული დოტაციებიდან გაიცემა; ადგილობრივი ელიტა ეკონომიკურად სრულადაა მიბმული რუსეთს, სადაც მისთვის გამოყოფილია „კვოტები“ ბიზნეს-საქმიანობაზე, სადაც ინახავს საკუთარ კაპიტალს, ელიტურ უძრავ ქონებას, ფინანსურ სახსრებს, სადაც ამჯობინებს ცხოვრებას მისი შთამომავლობა. ასე, რომ პრინციპში, დარჩენილია მცირედი: აფხაზეთში რუსული პროვინციებიდან ჩაასახლონ რუსი მოქალაქეები – და რუსეთის ფედერაციის ახალი რეგიონი მზად იქნება!

ამასთანავე, აფხაზეთს, რომელიც ამ დრომდე ინუგეშებს თავს ილუზიებით მოსკოვის მიერ ფორმალური აღიარების თაობაზე, მყარად უჭირავს კურსი რუსეთთან კიდევ უფრო მეტ დაახლოებაზე. მაშ, რაში სჭირდება მოსკოვს, „საკავშირო სახელმწიფოში“ მიიღოს სოხუმი, როცა აფხაზეთი, არსობრივად, რუსეთის შემადგენლობაში ნებაყოფლობით შესვლაზე მიდის?!

**რაჟდენ ქაჯაია**

◉ პოზიცია

# ვაი ასეთ ყრილობასა!

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა განცხადება გამოაქვეყნა, რომელსაც შემოკლებით გთავაზობთ:

„ჩვენთვის, ისევე როგორც ფართო საზოგადოებისთვის, ცნობილი გახდა ერთი უსიამოვნო და დამაფიქრებელი ინციდენტის შესახებ, რაც წინ უძღოდა საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ამასწინანდელ საანგარიშო ყრილობას. როგორც ირკვევა, ყრილობაზე მისული ჩვენი სახელოვანი ფალავანი, მსოფლიოს ორგზის და ევროპის ხუთგზის ჩემპიონი, ორი ოლიმპიური ბრინჯაოს მედლის მფლობელი **ლუკა კურტანიძე** არასასურველი სტუმარი აღმოჩნდა ფედერაციის ხელმძღვანელებისთვის. როგორც თვითონ ამბობს, როცა მან მოკრძალებით ითხოვა ყრილობაზე დასწრების უფლება, ჯერ ფედერაციის პრეზიდენტმა თამაზ გეგეშიძემ, მერე კი გენერალურმა მდივანმა კარისკენ მიანიშნეს – აქ შენი ადგილი არ არის, ყრილობაზე არავის მოუწვევიხარო.



ნაცვლად იმისა, რომ ჩვენი სპორტისთვის თავდადებული და განსაკუთრებული დამსახურების მქონე პიროვნება, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრი, საქართველოს ოლიმპიელთა ასოციაციის თავმჯდომარე, ვახტანგ გორგასლის და ღირსების ორდენების კავალერი ყრილობის დარბაზში საპატიო სტუმრისთვის განკუთვნილ ადგილას დაესვათ, იქ შეკრებილი საზოგადოების თვალწინ ზურგი შეაქციეს და კარისკენ მიუთითეს.

ფედერაციის ხელმძღვანელთა ამ გადაწყვეტილებას, რა თქმა უნდა, ვერ გაამართლებს ის ფორმალური მოტივი, რომ კურტანიძე ყრილობაზე მოწვეულთა სიაში რატომღაც არ ყოფილა და არც ის, რომ შესაძლო სტუმრობის თაობაზე ყრილობის ორგანიზატორები წინასწარ არ გაუფრთხილებია. ამ შემთხვევაში, არგუმენტად ვერ გამოდგება ვერც ყრილობის რეგლამენტი (თუ რომელიმე პარაგრაფი ამგვარს ითვალისწინებს), ან შესაბამისი მუხლი ფედერაციის წესდებისა (თუ ასეთი რამ წესდების რომელიმე მუხლით რეგულირდება). ამასთან ერთად, არსებობს ეთიკური და ზნეობრივი კანონები, ურთიერთობის წესი და ელემენტარული კეთილგონიერება, რომელიც გვავალდებულებს პატივი ვცეთ და დავაფასოთ ერთმანეთი, გავუფრთხილდეთ თითოეული ადამიანის სახელს და ღირსებას.

მით უმეტეს, თუ ამ ადამიანს გამორჩეული ღვაწლი აქვს შეტანილი ქართულ სპორტში, კონკრეტულად კი – ჭიდაობაში;

მით უმეტეს, თუ ეს ადამიანი არც თუ ისე დიდი ხნის წინათ თავად ხელმძღვანელობდა ჭიდაობის ფედერაციას;

მით უმეტეს, თუ მისი დამსახურება ქართული სპორტის წინაშე შესაძლოა გაცილებით მეტი იყოს, ვიდრე იმ ყრილობაზე შეკრებილი ადამიანებისა.

ჭიდაობის ფედერაცია, ისევე, როგორც ამ სტატუსის მქონე ნებისმიერი სხვა ორგანიზაცია, არ გახლავთ რომელიმე კერძო დაწესებულება, რომელიც მოქმედებს კერძო ინტერესების შესაბამისად და აქვს შეზღუდული ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე. პირიქით, ფედერაციის სტატუსისა და ქართული სპორტისთვის ჭიდაობის განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, ფედერაციის ხელმძღვანელობა მოვალეა ერთგვარი ანგარიში ჩააბაროს გულშემატკივრებს, მათ შორის, ვეტერან ფალავნებს, იმ ხალხს, ვისი დამსახურებითაც ჭიდაობა სპორტის ეროვნულ სახეობად იქცა საქართველოში.



◉ ტალანტი

# გაგრძელება იქნება

**სასიხარულო ინფორმაცია მოვიდა ბრძენთა თამაშის ქართველ გულშემატკივართა მრავალრიცხოვან ბანაკში – 8 წლის მარიამ რეხვიაშვილი თანატოლთა შორის ევროპის ჩემპიონია!**

**მისი ნიჭის თაყვანისმცემელნი დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია წარმატებული კარიერისა. ვულოცავთ!**

◉ მსოფლიო თასი

# ბრინჯაოს დუბლი




**საქართველოს ეტლით მოფარიკავე ქალთა ნაკრებმა გუნდმა წარმატებით აიღო სტარტი ტაილანდში მიმდინარე მსოფლიო თასის გათამაშებაზე.**

**ირმა ხეცურიანი** და **ნინა თიბილაშვილი** ხმლით ასპარეზობაში ბრინჯაოს მედლების მფლობელები გახდნენ.

პრესტიჟულ ტურნირზე ხეცურიანმა მესამე ადგილისთვის ბრძოლა ჩინელ აო ლანძუს მოუგო ანგარიშით 15:13 და მესამე პრიზიორი გახდა, ხოლო ნინა თიბილაშვილმა, ნახევარფინალური ბრძოლა ასევე ჩინელ გუსთან დათმო და მესამე ადგილზე გავიდა. ირმა ხეცურიანი, ნინა თიბილაშვილი და გვანცა ზადიშვილი ტაილანდის 2023 წლის მსოფლიო თასზე დღეს რაპირით იასპარეზებენ, ხვალ კი გუნდურ შეჯიბრში გამოვლენ.

◉ ოვალური ბურთი

# თვიქნემზეც მიიწვიეს




**რაგბიში ექვსი ერის გათამაშებაში 2024 წლის 9 მარტს ლონდონში თვიქნემზე ინგლისის ნაკრები ირლანდიას დაუპირისპირდება. ამ შეხვედრას ქართველი არბიტრი ნიკა ამაშუკელი განსჯის, მას ანდრის პიარდი და კრეიგ ევანსი დაეხმარებიან, – ამის შესახებ ინფორმაციას irishrugby-ი ავრცელებს.**

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ქართველი არბიტრი ასეთი მაღალი დონის შეხვედრას მოემსახურება. შეგახსენებთ, რომ ამაშუკელმა რაგბის მსოფლიო თასზე რვა თამაში განსაჯა, ჯგუფურ ეტაპზე იგი სამ შეხვედრაში (ირლანდია-რუმინეთი, იაპონია-ინგლისი, ავსტრალია-პორტუგალია) მთავარი მსაჯი იყო, ხოლო ხუთ მატჩში (სამხრეთ აფრიკა-შოტლანდია, არგენტინა-სამოა, შოტლანდია-ტონგა, ინგლისი-სამოა, არგენტინა-ინგლისი) ასისტენტის რანგში იმუშავა.

◉ სეზონის ფინიშზე

# აქეთურ – იქითური

**საფეხბურთო სეზონის ფინიში, ტრადიციისამებრ, წლის ლაურეატთა დაჯილდოებით აღინიშნა როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო მასშტაბით.**

უპირველესად, ბათუმის დინამოს საუკუნოვანი იუბილისადმი მიძღვნილი ქვეყნის მეორედ გაჩემპიონებისა და ინდივიდუალური პრიზების სიუხვის შესახებ. კერძოდ, კრისტალბეთ ეროვნული ლიგის საუკეთესო მოთამაშე და ბომბარდირი ჯოვანი ფლამარიონი გახდა, ხოლო საუკეთესო მცველი – მამუკა კობახიძე.

რაც შეეხება საუკეთესო მეკარეს, ასეთად თბილისის დინამოელი გიორგი ლორია მიიჩნიეს, ქუთაისის ტორპედოს ლიდერი და ეროვნული ნაკრების მესვეურთაგან რატომღაც იგნორირებული გიორგი არაბიძე კი – საუკეთესო ნახევარმცველად.

ბუნებრივია, ზღვისპირელთა უკრაინელმა თავკაცმა ანდრეი დემჩენკომ დამსახურებულად გაიმარჯვა საუკეთესო მწვრთნელის ნომინაციაში. ცნობისთვის – მან გუნდი დავით ყიფიანის თასის ფინალშიც გაიყვანა.

*   *   *

**გრძელდება ნაპოლის ტრიუმფალური გაზაფხულის შემოქმედთა დაფასების პროცესი და მათ შორის გამორჩეულია ხვიჩა კვარაცხელიას როლი.** ამჯერად ჯვაროსანთა ვარსკვლავის მიერ ბერგამოს ატალანტას კარში გატანილი ბურთი წლის ულამაზეს გოლად დაასახელეს და იგი სერია – ა-ს სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანეს. იტალიის საუკეთესო ფეხბურთელი ვიქტორ ოსიმენი გახდა, საუკეთესო მცველი – მიუნხენის ბაიერნში გადაბარგებული კიმ მინ-ჯე, ხოლო საუკეთესო მწვრთნელი – ლუჩანო სპალეტი, რომელმაც სკუადრა აძურა ევროპის ჩემპიონატზე გაიყვანა.

**სიმბოლური ნაკრები: მენიო (მილანი), დი ლორენცო, კიმ მინ-ჯე (ორივე ნაპოლი), ბასტონი (ინტერი), თეო ერნანდესი (მილანი), ლობოტკა (ნაპოლი), ჩალჰანოღლუ, ბარელა (ორივე ინტერი), კვარაცხელია, ოსიმენი (ორივე ნაპოლი), ლეაო (მილანი).**

*   *   *

გულშემატკივართათვის ცნობილია, რომ ავტორიტეტული აპენინური გამოცემა ტუტოსპორტი 2003 წლიდან 21 წლამდე ასაკის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელის გამოსავლენად გოლდენ ბოის გამოკითხვას ატარებს და მის გამარჯვებულთა შორის ტყავის ბურთის მრავალ დიდოსტატს ვხვდებით ლეო მესის თამადობით. ამჯერად დიდი უპირატესობით კონკურენტებს ინგლისელმა აღმოჩენამ ჯუდ ბელინგემმა გაუსწრო, რომელიც ფეერიულად გადავიდა დორტმუნდის ბორუსიიდან მადრიდის რეალში და უკვე სამეფო კლუბის ნამდვილი სახეა.



სანთელი

# მევლუდ მიმინოშვილი



**40 დღე გავიდა მევლუდ მიმინოშვილის გარდაცვალებიდან. იგი დაიბადა 1938 წლის 13 თებერვალს აბაშის რაიონის სოფ. სუჯუნაში. 8-წლიანი განათლების მიღების შემდეგ წავიდა თბილისში, სადაც მისაღები გამოცდები ჩააბარა მანქანათმშენებლობის ტექნიკუმში, პარალელურად დაკავებული იყო სპორტით – ჯერ ჭიდაობდა, შემდეგ ფეხბურთმა გაიტაცა. ბოლოს გადაწყვიტა გამხდარიყო კვალიფიციური მსაჯი. ქალაქის სპორტკომიტეტში მსაჯობის სემინარებზე უკონკურსოდ ჩაირიცხა. კურსების წარმატებით დამთავრების შემდეგ რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის ხარისხს ანიჭებენ და მრავალი საფეხბურთო მატჩი აქვს ჩატარებული უმაღლეს დონეზე.**

**1974 წლიდან კი ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით საკავშირო მნიშვნელობის მსაჯობის უფლება დართეს და როგორც პერსპექტიულ ახალგაზრდას, 1978 წელს ანიჭებენ „საკავშირო კატეგორიის არბიტრის წოდებას. 1983 წელს პირველად იმსაჯა საერთაშორისო მატჩზე და გამოცდა ფრიადზე ჩააბარა. აქედან მოყოლებული იგი არაერთი საერთაშორისო, საკავშირო თუ რესპუბლიკური მნიშვნელობის მატჩების მსაჯია. მისი ხარისხიანი მსაჯობა არ გამორჩენია მხედველობიდან ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას და მ. მიმინოშვილს მცირე ოქროს მედალი გადასცა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ იგი ჯერ ღირსების მედლით, ხოლო შემდეგ ღირსების ორდენით დააჯილდოვა, სპორტისა და განათლების მინისტრმა კი სპორტის რაინდის წოდება მიანიჭა. მას ერგო პატივი ემსაჯა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ეროვნული ჩემპიონატის პირველი შეხვედრა თბილისის „დინამოსა“ (მაშინ „იბერია“) და ფოთის „კოლხეთს“ შორის. იყო ფეხბურთის ფედერაციაში მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე. ცხოვრებაში უკეთილშობილეს, უპრეტენზიო, პატიოსან ადამიანს შეეძლო ყველასთან ემეგობრა. სამწუხაროდ, მძიმე სენმა ლოგინს მიაჯაჭვა და მის სურვილისამებრ სოფ. სუჯუნაში საკუთარ ოჯახში გამოეთხოვა ყველას. დღეს აბაშის ცენტრალური სტადიონი მის სახელს ატარებს.**

**ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი კეთილი სული.**

**ზაურ თელია, ვახტანგ ბაბელაია, მამუკა ქვილითაია და საფეხბურთო კლუბ აბაშის „ზანას“ ფეხბურთელთა გუნდი.**

# ლევან დავითაშვილი: ახალი ენერგეტიკული ობიექტები დამატებით სიმძლავრეებს მოგვცემს!

**მრავალი წლის შემდეგ პირველად მივიღეთ ენერგეტიკული ობიექტები ექსპლუატაციაში, გეგმაშია ასევე არაერთი პროექტის მიღება და, შედეგად, ქვეყანას დამატებითი სიმძლავრეები შეემატება. მომავალი წელი კიდევ უფრო აქტიური უნდა იყოს, ტენდენცია და ტრენდი მნიშვნელოვნად არის შეცვლილი,** – ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, **ლევან დავითაშვილმა** მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.



დავითაშვილის განცხადებით, ზოგადად, ენერგეტიკულ პროექტზე გადაწყვეტილების მისაღებად ორი მნიშვნელოვანი ასპექტია გასათვალისწინებელი – ეკონომიკური და გარემოსდაცვითი.

**„ჩვენ ეკონომიკურ ნაწილში შემოვიღეთ მხარდაჭერის მექანიზმი, რომელიც კარგად მუშაობს და რეზონანსი არის დადებითი როგორც ინვესტორების, ისე საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან. ვფიქრობ, საერთაშორისო საზოგადოებას ვაჩვენეთ, მაღალი კონკურენციის პირობებში როგორ უნდა სახელმწიფოს მხარდაჭერის მექანიზმების ამოქმედება და სექტორის მხარდაჭერა. ახლა მეორე აუქციონს ვაცხადებთ და ამ პერიოდშიც ინტენსიური დიალოგი მიმდინარეობს კერძო სექტორთან, რათა მათი შენიშვნები, მოსაზრებები მაქსიმალურად ავსახოთ და ენერგეტიკული სექტორის პრიორიტეტები გავითვალისწინოთ“,** – აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

ლევან დავითაშვილის განცხადებით, ენერგეტიკის სექტორის მხარდაჭერის მიუხედავად, ყველა ენერგოპროექტი ვერ განხორციელდება სოციალური და გარემოსდაცვითი გარემოებების გამო. მისივე თქმით, ეკონომიკური თვალსაზრისით პროექტის განხორციელება შეიძლება მიზანშეწონილი იყოს, მაგრამ არსებობდეს პრობლემა გარემოსდაცვითი ფაქტორების გამო. ლევან დავითაშვილმა კომენტარი გააკეთა „ნამარა ჰესთან“ დაკავშირებითაც, სადაც, მისი თქმით, ინვესტორსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის დიალოგის პროცესი მიმდინარეობს.

**„იმ შემთხვევაში, თუ იქნება მხარდაჭერა მოსახლეობის მხრიდან, რა თქმა უნდა, პროექტი განხორციელდება. ყოველ შემთხვევაში, ეს არის ინვესტორის პასუხისმგებლობა. ინვესტორმა თავის დროზე მიიღო გადაწყვეტილება, მიიღო მონაწილეობა კონკურსში, ფასისმიერი მხარდაჭერა და, შესაბამისად, ეკონომიკური მდგომარეობა გაიმყარა. როდესაც საუბარია მოსახლეობასთან ურთიერთობაზე, ასეთ დროს კომპლექსურად ბევრი საკითხი განიხილება – ეს არის სოციალური თემები, კომპენსაციისა და ეკონომიკური საკითხები და ასე შემდეგ. ინვესტორი თუ ფიქრობს, რომ მას ახალი პაკეტით შეუძლია, მეტი შესთავაზოს მოსახლეობას და მიიღოს მხარდაჭერა, ამას მივესალმებით, თუმცა ჰესი აშენდება იმ შემთხვევაში, როდესაც შედგება კონსენსუსი. ეს შეეხება კონკრეტულად ამ შემთხვევას“,** – განაცხადა ვიცე-პრემიერმა.

*საქმე № 01-10/189*

*დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა*

*საარბიტრაჟო სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მოპასუხეზე ჩასაბარებლად მისი საჯაროდ მოწვევის შესახებ.*

*ქ. ბათუმი* *4 დეკემბერი, 2023 წელი*

*შპს „აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟი“-ს არბიტრი: დავით კეკენაძე*

*საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ბერმელი“, ს/კ 245431108;*

*წარმომადგენელი: ლანა ფარტენაძე (პ/ნ 61006076996), თანახმად მინდობილობისა ვადით 31.01.2024წ.;*

*საარბიტრაჟო მოპასუხე: ფ/პ პაატა თურქია (პ/ნ 02001004695).*

*დავის საგანი: კრედიტისა და გირავნობის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავალიანებების მოპასუხეზე დაკისრება.*

*ერთპიროვნულად განვიხილე საარბიტრაჟო მოსარჩელის წარმომადგენელის შუამდგომლობა „საარბიტრაჟო სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მოპასუხეზე ჩასაბარებლად მისი საჯაროდ მოწვევის შესახებ“.*

*ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი  ნ ა წ ი ლ ი:*

*2023 წლის 09 ოქტომბერს, შპს „აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟი“-ს არბიტრმა დავით კეკენაძემ მივიღე დადგენილება „საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღების და არბიტრაჟის კომპეტენციის ცნობის შესახებ“. არბიტრაჟის რამდენიმე მცდელობა მოპასუხეს ჩაბარებოდა საარბიტრაჟო სარჩელი და თანდართული დოკუმენტები, დასრულდა უშედეგოდ. ყველა დაზღვეული საფოსტო გზავნილი, იმ მისამართზე რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში, უკან დაბრუნდა.*

*გარდაა ამისა, მობილური ტელეფონით არბიტრაჟის თანამშრომელი არაერთხელ დაუკავშირდა მოპასუხე პაატა თურქიას და აცნობა საარბიტრაჟო სარჩელის შესახებ და მასალებთან ერთად მისი ჩაბარების აუცილებლობაზე, რაზეც მხარემ უარი განაცხადა.*

*ასევე, არბიტრაჟის თანამშრომელი დაუკავშირდა აბაშის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის თემის, სოფელ გაუწყინარის წარმომადგენელს ნესტორ ძიძიგურს (მობ.ტელ. 599855739), რომელმაც განმარტა, რომ პაატა თურქიას სოფლის მაცხოვრებელია, თუმცა დღეის მდგომარეობით ოჯახთან ერთად გადავიდა სხვა მისამართზე და მისი ადგილსამყოფელი უცნობია.*

*2023 წლის 4 დეკემბერს, საარბიტრაჟო მოსარჩელეს წარმომადგენელმა არბიტრაჟს მომართა შუამდგომლობით „საარბიტრაჟო სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მოპასუხეზე ჩასაბარებლად მის საჯაროდ მოწვევის შესახებ“, რაც საფუძლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს*

*ვიხელმძღვანელე რა „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8; მე-16; 27-ე; 32-ე მუხლებით და მუდმივმოქმედი „არბიტრაჟის დებულების“ მე-13 მუხლის 1 და 6 პუნქტებით;*

*დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:*

1. *განხორციელდეს სამოქალაქო საქმეზე, №01-10/189, საარბიტრაჟო სარჩელის თანდართულ მასალებთან ერთად მოპასუხეზე ფ/პ პაატა თურქიაზე (პ.ნ. 02001004695) საჯარო გამოქვეყნების გზით ჩაბარება.*
2. *განემარტოს ფ/პ პაატა თურქიას (პ.ნ. 02001004695), რომ წინამდებარე დადგენილების საჯაროდ გამოქვეყნებიდან შვიდი დღის განმავლობაში, გამოცხადდეს შპს „აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო არბიტრაჟში“ (ქ. ბათუმი, ახ. მელაშვილის ქ. № 26, მე-3 სართული, საკ. ტელ: 577 28 52 98, 10.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე, დასვენების და უქმე დღეების გარდა), საარბიტრაჟო სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მისაღებად. წინააღმდეგ შემთხვევაში, საარბიტრაჟო სარჩელი და თანდართული მასალები ჩაითვლება ჩაბარებულად საჯაროდ გამოცხადებიდან შვიდი დღის გასვლის შემდგომ.*
3. *საჯარო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ საქართველოს რესპუბლიკაში მოსარჩელე მხარის ხარჯით.*
4. *არბიტრაჟის დადგენილება საბოლოოა და არ საჩივრდება.*

*შპს „აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან*

*არსებული საერთაშორისო არბიტრაჟი“-ს*

*არბიტრი: /დავით კეკენაძე/*

სანთელი



# თენგიზ არჩვაძის არდავიწყება

**ბავშვობის უახლოესი მეგობრები თბილისის ყოფილი პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დრამატურგიული წრიდან – იდა ხელაძე, ლამარა ჯაფარიძე, ლეო ანთაძე და თემო ებრალიძე უდიდესი გულისტკივილით იხსენებენ, რომ 40 დღის წინ გარდაიცვალა და დიდუბის პანთეონს მიაბარეს რუსთაველის და მარჯანიშვილის პრემიების ლაურეატი, პრეზიდენტის ბრწყინვალების ორდენით დაჯილდოებული, თბილისის საპატიო მოქალაქე, საქართველოს სახალხო არტისტი**

## თენგიზ არჩვაძე

**და სამძიმარს უცხადებენ მის შვილებს – ნატოს და ნათიას, დას – ფლორას, ძმას – ნუგზარს და ახლობლებს.**

**ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი კეთილი სული.**

# გალელი მოძალადე ზუგდიდში დააკავეს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს აფხაზეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 1991 წელს დაბადებული მ.კ. ოჯახში ძალადობის და ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი მუქარის ბრალდებით დააკავეს.**

დანაშაული 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული გალის რაიონში სისტემატურად ძალადობდა მეუღლეზე – 1989 წელს დაბადებულ ა.კ.-ზე. სამართალდამცველებმა ჩატარებული ღონისძიებების შედეგად ბრალდებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტში დააკავეს.

# ქვეყნის მასშტაბით უაქციზო თამბაქო ბრუნავს

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში, საქართველოს მასშტაბით გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გამოავლინეს მარკირებას დაქვემდებარებული დიდი ოდენობით აქციზური საქონლის, აქციზური მარკის გარეშე შენახვა-გადაზიდვა-რეალიზაციის 25 ფაქტი, რაზეც ბრალდებულის სახით, პასუხისგებაში მიეცა 24 პირი, მათგან დაკავებულია 12 პირი, – ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.**

მათივე ინფორმაციით, საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულში მხილებული პირებისგან ამოღებულია სარეალიზაციოდ განკუთვნილი, სხვადასხვა დასახელების, ჯამში 25 748 კოლოფი უაქციზო სიგარეტი, რომლის საერთო საბაზრო ღირებულება 150 000 ლარს აღემატება. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 8 წლამდე ვადით.



# სიურრეალისტი მხატვრის, ნინო ლორთქიფანიძის პერსონალური გამოფენა ხელოვნების სასახლეში

**საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმში საზეიმოდ გაიხსნა სიურრეალისტი მხატვრის, ნინო ლორთქიფანიძის, პერსონალური გამოფენა და გაიმართა საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გამოცემული მხატვრის ნამუშევრების კატალოგის პრეზენტაცია,** – ამის შესახებ ინფორმაციას კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ავრცელებს.



მათივე ინფორმაციით, ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, ხელოვნების სასახლის დირექტორი გიორგი კალანდია და მხატვრის ოჯახის წევრები ესწრებოდნენ.

**„აღსანიშნავია, რომ ეს მხატვრის გარდაცვალების შემდეგ პირველი გამოფენაა. ნინო ლორთქიფანიძე პანდემიის დროს უცხოეთში მოულოდნელად გარდაიცვალა. მხატვრის ნამუშევრებს მისმა დამ მოუყარა თავი, დააბრუნა სამშობლოში და სამინისტროს ნინო ლორთქიფანიძის უმდიდრესი სიურრეალისტური სამყაროს ფართო აუდიტორიისთვის გაცნობა შესთავაზა. მოულოდნელი გარდაცვალების გათვალისწინებით, მხატვრის პერსონალური გამოფენის მოწყობა მეტად მნიშვნელოვანია.**

**ნინო ლორთქიფანიძის შემოქმედების ამსახველი კატალოგის დაბეჭდვა კულტურის სამინისტროს კონკურსის – „კულტურის სექტორში თავისუფალი პროექტების ხელშეწყობა“ – გამარჯვებული პროექტია. ორენოვანი კატალოგი აერთიანებს მხატვრის სხვადასხვა პერიოდის ნამუშევრებს. ალბომის ტექსტზე იმუშავეს გიორგი კალანდიამ და ჟურნალისტმა მარიკა ბაკურაძემ, დიზაინერია ირაკლი ზამბახიძე, სარედაქციო კონსულტანტი – რუსუდან ლორთქიფანიძე.**

**რთულია, ნინო (დოდო) ლორთქიფანიძის შემოქმედებას საზღვრები დავუწესოთ. მის ტილოებზე გამოსახული ფორმებისა და ფერების ზუსტი ახსნა შეუძლებელია, უფრო სწორად, მისი ახსნა იმდენგვარად შეიძლება, რამდენი ადამიანიც გადაშლის მის ალბომს. გამოფენაზე, რომელიც 11 დეკემბრამდე გაგრძელდება, დამთვალიერებელი იხილავს მხატვრის 30-ამდე უაღრესად საინტერესო და შთამბეჭდავ ნამუშევარს.**

**ნინო ლორთქიფანიძის დამ, ქალბატონმა რუსუდანმა, მხატვრის ორი ნამუშევარი დიმიტრი შევარდნაძის სახელობის საქართველოს ეროვნულ გალერეასა და ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმს საჩუქრად გადასცა“.**

## უმშვენიერესი სკვერი, რომელიც მოსწავლეებმა დააპროექტეს

**სამგორის რაიონის გამგეობამ, თბილისის 108-ე საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეების მიერ შემუშავებული მაკეტის მიხედვით, ვარკეთილის მესამე მასივში ახალი სკვერის მოწყობის სამუშაოები დაასრულა.**

სკვერი 3 500 კვ.მ-ზე, მესამე მასივი, მეათე კვარტალი, კორპუსი №23-ის მიმდებარედ არის განთავსებული. აღნიშნული სამუშაოებისთვის გამგეობის ბიუჯეტიდან 505 000 ლარი გამოიყო.



აღსანიშნავია, რომ სკვერის მაკეტი მოზარდებმა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში, მათემატიკის საგანში კომპლექსური დავალების შედეგად გეომეტრიული ფიგურებისა და მათემატიკური გამოთვლების გამოყენებით შექმნეს. მოსწავლეები სკვერის განაშენიანების პროცესის ყველა ეტაპზე აქტიურად იყვნენ ჩართულები. პროექტის ფარგლებში, ადგილზე მოეწყო დასასვენებელი და საბავშვო სივრცეები, დამონტაჟდა გარე განათებისა და სარწყავი ქსელები. ტერიტორია ღობითა და საბალე გაზონით შემოისაზღვრა. სკვერი გამწვანდა, დაირგო სხვადასხვა ჯიშის ხე-მცენარე. დამონტაჟდა სკამები, და სეპარირებული ურნები. ასევე, დაიგო ბეტონის საფეხმავლო ბილიკები. ადგილზე სკვერისათვის საჭირო ყველა თანამედროვე ინვენტარი განთავსდა და მოეწყო ახალი საპარკინგე სივრცე.

## წინანდლის პრემიის მოლოდინში

**8 დეკემბერს ვასო აბაშიძის სახელობის ახალ თეატრში 2023 წლის „წინანდლის პრემიის“ გამარჯვებულების დაჯილდოების ცერემონია გაიმართება.**

ორგანიზატორების ინფორმაციით „2024 წლის წინანდლის პრემიის“ ლაურეატები მეცნიერებისა და ხელოვნების 8 დარგში გამოვლინდებიან: თეატრალური ხელოვნება; პროზა; პროზა; პოეზია; მუსიკალური ხელოვნება; ჰუმანიტარული მეცნიერებები; სახვითი ხელოვნება; საბუნებისმეტყველო მეცნიერებები.

მოამზადა **რუსუდან ქობულიამ**

## გაიხსენეთ... „უდიპლომო სასიძო“



**დიდ ბრიტანეთში სტრესის მოსახსნელად ფერმაში ძროხების მოფერების სერვისი დანერგეს. სტრესთან ორიგინალური მეთოდით ბრძოლას მოქალაქეებს იორკშირში მდებარე ფერმის მფლობელები სთავაზობენ. როგორც ისინი ამბობენ, ეს თერაპია საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს.**

ყველა ბილეთი ერთი თვით ადრე უკვე გაყიდულია. ფერმაში ოთხსაათიანი ვიზიტი 58 ევრო ღირს. მედიის ცნობით, ამ ფასში შედის ძროხების მოფერება, დავარცხნა, ასევე საგანმანათლებლო აქტივობები.

## „წლის სიტყვა“ ოქსფორდის ლექსიკონის მიხედვით

**ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონმა 2023 წლის სიტყვად Rizz დაასახელა, რომელიც Z თაობაში დიდი პოპულარობით სარგებლობს.**

Rizz ნიშნავს, რომ ადამიანს აქვს სტილი, ქარიზმა და მიმზიდველობა, რომელიც მას საშუალებას აძლევს მოხიბლოს სექსუალური პარტნიორი. უფრო კონკრეტულად კი, Rizz სიტყვა ქარიზმის შემოკლებული ვერსიაა. ეს სიტყვა ძალიან პოპულარული გახდა აგრეთვე Tik-Tok-ის მომხმარებლებში. ვიდეოებს, ჰეშთეგით Rizz, სოციალურ ქსელში მილიარდობით ნახვა აქვს.

## დიდთოვლობა ევროპაში

**უხვი ნალექის გამო, გერმანიაში მიმოსვლის პრობლემები გრძელდება. დიდი ოდენობით მოსულმა თოვლმა ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში სარკინიგზო მიმოსვლა შეაფერხა.**

მიუნხენში კი გადაადგილებასთან დაკავშირებით მასობრივი შეზღუდვა მოქმედებს, მათ შორის აეროპორტებშიც. ბავარიაში საშობაო ბაზრობაც დაიხურა. უხვი თოვლის გამო გამოწვეულ კრიზისს უმკლავდება ინგლისის სამხრეთით, კამბრიის რაიონიც. ავდარმა იქ ელექტროენერგიის გათიშვა გამოიწვია. მოყინულია გზები, რის გამოც ავტომობილების გადაადგილება შეიზღუდა. სკოლები დაიხურა შოტლანდიის ჩრდილო-აღმოსავლეთითაც. იქ განგაშის ნარინჯისფერი ნიშნულია გამოცხადებული.




საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია გაბრიჭიძე
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 11 დეკემბერს**

### უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.6860; ევრო - 2.8987;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3846;
100 რუბლი - 2.9330; თურქული ლირა - 0.0931;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5831;
1000 სომხური დრამი - 6.6800

### ამინდი 7 დეკემბრისთვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +3, | დღე | +14 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | 0, | დღე | +12 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +7, | დღე | +21 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +2, | დღე | +16 |
| თბილისი: | ღამე | +7, | დღე | +13 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge